

# ინტელექტუალური საქართველო



საქართველოს მხარეთა ეროვნული აკადემია \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРЫЛИ САКАРТВЕЛО

11 ოქტომბერი, 2013 წ.

№65 (3675)

ბამოცემის 77-ე წელი

ფასი 1 ლარი

ჩრდილოეთიდან მავთულხლართების შემოტევა გრძელდება. კიდევ უფრო მცირდება ჩვენი ქვეყნისთვის ღვთის ბოძებული მინა-წყალი...

ტონდენ, ტყვიების წვიმაც ვიხილეთ ჩვენს თავზე და სისხლიც ბევრი დაიღვრა, მაგრამ დოლარის ტყვიები გაცილებით მზაკვრული აღმოჩნდა, რადგან მათი შემწეობით ინვესტიცია ანექსიად გარდაიქმნა. ჩვენი მინა-წყალი უცხოელებს ჩაუვარდათ ხელში და ამ დუხჭირ მინაზე ყველაზე ხშირად გვხვდება აბრა „შესვლა აკრძალულია“. დღეს სწორედ ამ დო-

ლოლარებმა, რომლებიც უხვად შემოდის საქართველოში? გახსოვთ, ფირმა „ბაიერის“ დაპირებები ჩაის კულტურის აღორძინებაზე, რასაც საქართველოში ჩაის მრეწველობის სრული განადგურება მოჰყვა? იქნებ, ვინმემ ერთი დადებითი მაგალითი მაინც გაიხსენოს? სამაგიეროდ, აღიმართა მავთულ-

**მერაბ ჯიბლაძე**  
მთებში მხოლოდ მცირე ჰესები შეიძლება აშენდეს და ისიც ქართველთა კაპიტალდაზღვევებით და ადგილობრივ მოსახლეობასთან სრული შეთანხმებით. რამდენი მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურია საქართვე-

## საქართველო მავთულხლართებში

უნდობლად იბადება და იზრდება ქართლშიც, კახეთშიც, სამეგრელოშიც და მთელ საქართველოში. ამისი მიზეზი სწორედ ის უცხოური „ინვესტიციაა“, რომელსაც თავდაუზოგავად ეძიებს ჩვენი ხელისუფლება. არის კი განსხვავება „ინტერვენციასა“ და „ინვესტიციას“ შორის? რასაკვირველია: პირველი ცეცხლითა და მახვილით შემოდის და გართმევს საცხოვრებელ მიწას, მეორე კი ფულითა და ღირსებით გართმევს იმავე საცხოვრებელს. პირველს მტერს ეძახი, მეორეს – მოყვარულს, თუმცა შედეგი ერთია: **შენ საკუთარ მიწა-წყალს კარგავ და ზოგან ხდები!** ამდენად, თავისი მნიშვნელობით ერთმანეთისგან დიდად განსხვავებულ ორ სიტყვას რატომღაც ჩვენს ქვეყანაში ერთნაირი შედეგი მოაქვს?! მართლაც საოცარია. ორი ათეული წელია, სულ ინვესტორების ძიებაში ვართ და, ჩვენდა გასაოცრად, ინტერვენციის მაგვარს ვიღებთ – **კვარავთ მშობლიურ მიწას!** ინვესტიციას დოლარები მოაქვსო! – გაიძახიან ეკონომისტ-მმართველები და ვერ ხედავენ, რომ ეს ის ოცდაათი ვერცხლია, რომელიც საქართველოს წამების ჯვარზე გააკრავს. თუ რა „სამუშაო ადგილები“ მოჰყვა უცხოელთა ინვესტიციებს, ქართველმა ხალხმა კარგად იცის, განსაკუთრებით ბურების, ინდოელების, ჩინელების, არაბებისა და, კიდევ უფრო, თურქების შემოტევების შედეგად. მართალია, ინტერვენციის წყალობით დაეკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო. ჩვენს მინებზე სხვები გაბა-

ლარებით ხდება თურქების ინტერვენცია აჭარაში და, ალბათ, სამხრეთ საქართველოსაც დაეკარგავთ. სწორედ ეს ინვესტიციებია, რითაც თურქები, ჩინელები, არაბები თუ ინდოელები დაეპატრონენ ჩვენს მიწებს. ქართველებს შავ მუშებად თუ გამოიყენებენ, ისიც მონური შრომისთვის. განა ცოტაა ამისი მაგალითები? ჩემმა მეგობარმა, იტალიელმა პროფესორმა გაეტანო ფერანტემ ერთხელ, ამ ათიოდე წლის წინათ მითხრა: იტალიელები გერმანელებს ვერ იტანენ, რადგან მდიდარმა გერმანელებმა საუკეთესო ვილები და მიწები შეიძინეს იტალიაში და მონებად იტალიელები დაიქირავეს. ჩვენთან უცხოელებმა არა მარტო ქართული მიწა შეისყიდეს გროშებად, არამედ მათი მოდემის ხალხიც ჩამოგვისახლეს. შეხედეთ, რა ხდება თბილისის ზღვის შემოგარენში. მითური ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩატარების საბაბით ჩინელები თავისიანებისთვის 120-ათასიან ოლიმპიურ ქალაქს აშენებენ. მშენებლობაზე 50-იოდე ქართველი აიყვანეს შავ მუშად და ორ გროშად „ვირივით ამუშავენ“.

ხლართები და ბეტონის ღობეებით თვით საქართველოს შიგნით და წარწერებით: „შესვლა აკრძალულია“ განიღვენა ქართველი! ასეა ბათუმშიც, სადაც არაბებმა მთელი პორტი იყიდეს და ქართველებს ორმოციოდე მეტრი სანაპირო ზოლი დაუტოვეს, სადაც მეთევზეების კარჭაპები ერთმანეთის მიჯრით ჩანყობილა ნაპირიდან სიღრმისკენ. თუ რა დღეში ჰყავთ თურქებს აჭარლები, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ **აჭარელთა ერთი ნაწილი რუსეთთან შეერთებას მოითხოვს!** დიდი უბედურების მომასწავებელია ინვესტიცია სვანეთში და მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის აშენება, თანაც ინდოელების მიერ. ეს არა მარტო სრულიად უგუნური, არამედ საქართველოსთვის ძალიან საშიში პროექტია. ნუთუ ენერგეტიკის მესვეურებმა არ იციან, რომ კაშხლის სიმძლავრის გაზრდით კოლოსალურად იზრდება ავარიის საფრთხე? ავარიის ალბათობის სიმძლავრეზე დამოკიდებულება დიდი ხანია თეორიულად დამტკიცებულია და დიდი კატასტროფებიც ამას გვიჩვენებს. ეს საფრთხე კიდევ უფრო იზრდება კავკასიის სეისმური არამდგრადობის გამო და შეიძლება წყალმა ნახევარი საქართველო წაღუკოს. ეკოლოგიურ საფრთხეებზე რომ არაფერი ვთქვათ, ავარიების თვალსაზრისით თვით დიდი სიმძლავრის გენერატორებია საშიში. გაიხსენეთ კრასნოიარსკის ჰესი და ჩერნობილი. განა ერთი ენგურჰესი არ გვეყოფნის, ამ საშინელი საფრთხეს რომ გვიქადას, ხაიშიც რომ არ დაემატოს?

ლოში? რას ფიქრობს ენერგეტიკის სამინისტრო ფეხბურთელ მინისტრთან ერთად? იქნებ, თვითონ ჩადო ინვესტიცია რომელიმე ჰესის ალსადგენად? ნუთუ საერთოდ დაიკარგა, გაქრა ნორმალური აზროვნების უნარი? და, თუ დამშეული ინდოელების სვანეთის მიწა იმდენად საოცნებოა, რომ ცხრა მთა გადმოიარეს, თვით ქართველებს რა გონი დაგვიბნელდა, რომ ჩვენ ძირძველ მიწას ვანიავებთ გადამთიელთა საამებლად? ნუთუ ქართველები იმდენად უუნარონი და ბეჩავნი ვართ, რომ მადნეულიც გავასხვისეთ, ჭიათურაც და ზესტაფონიც? თუ უცხოელები აქ ფულის საშოვნელად ჩამობრძანდნენ, ჩვენი ფულიანი მილიარდერები რატომ არ ახორციელებენ ინვესტიციას საკუთარ ქვეყანაში? თუმცა ქართველებიც ყიდულობენ სახელმწიფოსგან მიწას, რათა შემდეგ უცხოელებს მიჰყიდონ. სწორედ ამას ჰქვია „წმინდა ქართული ბიზნესი“, რასაც ადრე „სპეკულაცია“ ვუწოდებდით. მათთვის მთავარი ყიდვა-გაყიდვაა და ეს არის ჩვენი უბედურება, თორემ ნამდვილი ბიზნესმენი ძალზე ცოტაა. უბედურებაა, როცა დოლარის ბრჭყვიალებით დაბრმავებული ქართველები საქართველოს მომავალს ქმნიან. ეს უბედურება „ნაცებმა“ დაგვიტოვეს, მაგრამ ნუთუ „ოცნება“ გააგრძელებს მათ ტრადიციებს? ამას წინათ „ოპიექტივის“ ეკრანიდან შევიტყვე, თუ როგორ ჩაიგდო ხელში ორიოდე წლის წინათ რომელიღაც კანადურმა ფირმამ ონკო-

პირველი გვერდიდან

ლოგიის სამეცნიერო-სამკურნალო ცენტრი და რა ნაგვის ბუდედ გადააქცია ის. თუ რა მდგომარეობაა, თურქების გადასვლით, იაშვილის სახელობის კლინიკაში, უკვე ყველასთვის ცნობილია. ჩემი სახლის წინა დიდი ორმო დარჩა „ლეჩკომბინატის“ ადგილზე. ეს ხომ ქართული მედიცინის გასანადგურებლად გადადგმული ნაბიჯები იყო, რომელიც დამპყრობმა ინვესტორებმა გადადგეს და ასეთ ნაბიჯებს მრავლად უნდა ველოდოთ, თუ სასწრაფოდ გონს არ მოვეგეთ. „სასწრაფო დახმარება“, პირველ ყოვლისა, ჩვენს გონს სჭირდება და კვლავ დიდი ვაჟას ვედრება ჩამესმის: „ღმერთო, მიეცი გონი ქართველებს“.

იმედია, გონს მოვეგებით და ჩვენს „ოცნებას“ დასავლეთის ქარს არ ვაგატანთ.

იმედის ნაპერწკალი აინთო, როცა პარლამენტმა მიწების გაყიდვა 2014 წლის ბოლომდე აკრძალა. თუმცა, საუბედუროდ, ახლა ამ მორატორიუმის გადასინჯვას აპირებენ და წამოვა იუდას ვერცხლი საქართველოში ახალი მავთულხლართების და რკინა-ბეტონის ლობებების ასაგებად.

ჩვენ გვყავდა და ახლაც გვყავს მეცენატი მილიონერები. მათი ქველმოქმედება ცნობილია და დაფასებული, მაგრამ, ქართულ მიწას უცხოელები რომ ეპატრონებიან, სად არის თქვენი საკუთარი ინვესტიციები, ბატონო მილიონერებო?

თქვენ კი უცხოელებს იმას მოუწოდებთ, რასაც თავად თავს არიდებთ!

და, თუ მიგაჩნიათ, რომ ფულის ინვესტირება საქართველოში ფინანსურად ხელსაყრელი არ არის, უცხოელი რატომ მიდის ამ რისკზე? იქნებ, ამაში მდგომარეობს ფინანსური ინტერესების არსი, რათა საქართველო შიდა მავთულხლართებით მთლიანად დაიფაროს და უცხოტომელთა ურდოებმა ქართველები ამ მიწიდან განდევნონ?

მესმის, რომ ხალხის განათლება და მეცნიერების ბედი ჩვენი მილიონერების უმრავლესობას სულაც არ აწუხებს, არც ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებია მათთვის მნიშვნელოვანი, რადგან სამკურნალოდ საზღვარგარეთ გარბიან; ეკონომიკის განვითარება არაფრად უღირთ, რადგან ჯიბეები ზომაზე მეტად გაისქელეს; არც კულტურა აინტერესებთ, რადგან მასთან არც არასდროს ყოფილან ახლოს, მაგრამ ქართველთა რისხვის მაინც არ ეშინიათ ამ მევახშე სოლომონ ისაკიჩ მეჯღანაშვილებს, ასე რომ დააბეჩავეს და მათხოვრად აქციეს ხალხის უდიდესი ნაწილი?

ალბათ, არც ეშინიათ, რადგან დააბეჩავეს და გაამათხოვეს.

სულმნათი ილია წერდა: „სხვისი იმედის მქონებელი გლახაა, მათხოვარია და გლახა-მათხოვარობით ცხოვრება პირველი რომ სათაკილოა, თითონ ადამიანის ღონის მომშლელი და დამდუნებელია, და მეორე – არც შემძლებელია, რომ ადამიანი მართლა ფეხზე დააყენოს, გამოაბრუნოს და ოდესმე თავისით აცხოვროს, თავისით გამოაკეთოს“.



საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია

ბრძანება № 3

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის დარბაზის წევრი, მწერალი ავთო ჩხაიძე დაინიშნოს საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის საგამომცემლო-პოლიგრაფიული დეპარტამენტის თავმჯდომარედ და მასვე დაევალოს გამომცემლობა „იბერიის“ გენერალური დირექტორობა.

საგამომცემლო-პოლიგრაფიული დეპარტამენტის წარდგინებით, გამომცემლობა „იბერიის“ მთავარ რედაქტორად ინიშნება მწერალი გულადი ფეტელავა (გური ოტობაია).

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი თამაზ წივნივაძე

ქ.თბილისი, 8 ოქტომბერი, 2013 წელი

ბრძანება № 4

მწერალთა ეროვნული დარბაზის წევრი, მწერალი გივი სიხარულიძე დაინიშნოს უცხოეთის შემოქმედებით ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი თამაზ წივნივაძე

ქ.თბილისი, 8 ოქტომბერი, 2013 წელი

ბრძანება № 5

მწერალთა ეროვნული დარბაზის წევრი, მწერალი რევაზ კვერენჩილაძე დაინიშნოს საორგანიზაციო დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი თამაზ წივნივაძე

ქ.თბილისი, 8 ოქტომბერი, 2013 წელი

ამა წლის 16 ოქტომბერს, 18 საათზე, საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის II სართულის საგამოფენო დარბაზში გაიმართება გივი სიხარულიძის წიგნის – „ლადო ათანელის ბიოგრაფია გაცოცხლებული ნოველებში“ – პრეზენტაცია.

ბატონ გოგი სარაბაძეს!

ბატონო გოგი! მიწა გაგახსენოთ 40-45 წლის წინანდელი ამბავი – გვიანი შემოდგომის საღამო, სასტუმრო „თბილისი“, მგონი, მესამე სართულზე, მყუდრო ბუფეტი, თუმცა რაღა მყუდრო – ბახუსის ემზში შესულები, თქვენ, ბატონო გოგი, და თქვენი თანამეინახე, კარგად შეზარხოშებულები, არცთუ ხმადაბლა რაღაცაზე კამათობდით; ის თქვენი თანამეინახე კი რამაზ ჩხიკვაძე იყო.

ჩვენ, მე და ჩემი ორი მეგობარი – ახლად გამომცხვარი არქიტექტორები – ბუფეტის არცთუ დიდი სათავსოს წინ თქვენს მოპირდაპირე მხარეს მოვკალათდით და პირდაპირ იმპროვიზირებულ წარმოდგენაზე ამოვყავით თავი.

საქართველოში ყველამ იცის, კარგ ტონად არ ითვლება, მიაყურადო მეზობელ მაგიდასთან მსხდომთა საუბარს; ვეცადეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა – ყველაფერი გვესმოდა; ბატონი რამაზი დროდადრო კედელს გაშლილი ხელით თითქოს სილას გააწანავდა და თან სჭექდა – მიხარის, ო, რა ძალიან მიხარის?!

მართლაც რომ უსცენო სპექტაკლზე აღმოვჩნდით და, თუ ამის შემდეგ თეატრთან დაკავშირებულ ძალიან საინტერესო ამბებს გავიხსენებდი, მაგალითად, თუ როგორ მოვხვდი თვით ჭაბუკიანის „ოტელოს“ პრემიერაზე (რა თქმა უნდა, დახატული ბილეთით), როგორ ვიჯექი, თითქმის მთელი კვირა რუსთაველის თეატრში, სადაც ყოველ მესამე დღეს სამა გენიოსმა – ეროსიმ, სერგომ და აკაკიმ

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის საგამომცემლო-პოლიგრაფიული დეპარტამენტი და გამომცემლობა „იბერია“

გთავაზობთ:

- 1. ნაბეჭდი პროდუქციის (ნიგნები, ბროშურები, ჟურნალ-გაზეთები...) გამოცემას;
- კომპიუტერული აწყობა-დაკაბადონება;
- რედაქტირება;
- თარგმნა.
2. ნაბეჭდი პროდუქციის წიგნადი ფორმით გამოცემას ნებისმიერი ტირაჟით.
3. რეფერატების, ბროშურების, მცირეფორმიანი ნიგნების (A-5 ფორმატი, 80-100 გვ.) გამოცემას შეზღუდული ტირაჟით (ათიდან ორმოცდაათამდე ეგზ.).
მომსახურებაში შედის: აწყობა-დაკაბადონება, რედაქტირება, კორექტირება, დაბეჭდვა (სურვილის შემთხვევაში ყდა – ცარცის, ფერადი: შიგა საბეჭდი ფურცლები – ოფსეტური).
4. გამომცემლობა „იბერია“ მიიღებს დაკვეთებს: მემუარული, ავტობიოგრაფიული, საგვარეულო თუ სხვა სახის ნაწარმოებების შედგენა-დამუშავებისთვის შემდგომში გამომცემის უზრუნველყოფით.
5. გამომცემლობა შემკვეთის სურვილისამებრ დაამუშავებს სალიტერატურო და პირად არქივებს.
6. გამომცემლობა „იბერიის“ მომსახურება იაფფასიანი და მაღალხარისხიანია.
7. საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრები ისარგებლებენ შეღავათით.
8. თქვენ მოგემსახურებიან კომპიუტერის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, გამოცდილი რედაქტორები, კორექტორები...
აზრს გაგიზიარებენ თქვენი კოლეგა – ქართველი მწერლები!

ჩვენი მისამართია

ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #4; მეოთხე სართული, ოთახი # 499; საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია.
საკონტაქტო ტელეფონები:
595 400 371 ავთო ჩხაიძე
599 293 967 – ალექო გაბელაია
571 212 770 – გულადი ფეტელავა (გური ოტობაია)

მაშ ასე:

ჩაგვაბარეთ დედანი – მიიღეთ წიგნი!
მკითხველს კი ის თავად იპოვნის!



(ხორავამ) – რუსთაველის სცენაზე „ოიდიპოსების“ „ფოიერვერკი“ მოაწყო, იქვე ყოველთვის ვიხსენებდი სასტუმროს ბუფეტში ნანახ „სპექტაკლსაც“.

ოო, როგორ მიხარის შენი წარმატება! – განაგრძობდა ბ-ნი რამაზი, თქვენ კი მხიარულად ყვებოდით ამბებს ბერლინში კინოფილმ „განთავისუფლების“ ჩვენების პერიპეტეიბზე; თქვენი (ქანთარია) და რომელიღაც რუსი მსახიობის (ეგოროვი) მიერ რაიხსტაგის დალაშქვრის შესახებ და, რაც მთავარია და რამაც ეს წერილი დამანერინა, თქვენ გაიხსენეთ ერთი საინტერესო ამბავიც, რომ სტალინის (ალბათ, ბუხუტი ზაქარიაძე) გამოჩენისას მასობრივ სცენებში მონაწილე რუსი ჯარისკაცები და სხვანიც მას თითქოსდა ნამდვილ სტალინად აღიქვამდნენ და მისდამი უდიდესი პატივისცემით გამსჭვალულნი არაბუნებრივ მდგომარეობაშიც ვარდებოდნენ. შეიძლება რაღაცებს ზუსტად ვერ ვიხსენებ, თემა კი ნამდვილად ეს იყო.

ბატონო გოგი! გთხოვთ „ლიტერატურულში“ ჩემთვის ძალიან საინტერესო თქვენს გვერდზე ერთხელ კიდევ გაცოცხლოთ წარსული, გაიხსენოთ ის საღამო „თბილისის“ ბუფეტში დიდი მსახიობის მიერ აკვიატებული სიტყვით – „მიხარის!“

გისურვებთ სიკეთეს!

პატივისცემით

ჯემალ ჯანელიძე

ჩვენი უახლესი ისტორიის ბოლო 23 წლის განმავლობაში აშკარაა საქართველოს პარლამენტის უმინარსობა, მისი კრახი, რასაც მონაწილე ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სურვილი, ჩატარდეს ვადამდელი, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რასაც ხელბით, ფეხებით და ფრჩხილებით ენიხანდებოდა განსაკუთრებით პარლამენტართა ის ნაწილი, რომელსაც ხელახალი არჩევის იმედი არა აქვს.

პარლამენტთან დაკავშირებით ჩემთვის საგულისხმოა ერთი ისტორიკოსის ნათქვამი: „ნარსული, რომელიც არ გადის, მომავალი, რომელიც არ მყარდება“. ვის აქვს იმედი, რომ ხალხი უკეთესებს აირჩევს ახალ პარლამენტში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მალალი ტრიბუნაიდან თავად პრემიერ-მინისტრის მიერ ითქვა, რომ ქართველ ხალხს დაბალი პოლიტიკური კულტურა აქვს და რაღაც ამის მსგავსი? მაგრამ საინტერესოა, პარლამენტის ასეთი ვითარება, ეს უბედურება, მართო ჩვენთვის არის დამახასიათებელი? ამ მიზნით გადავწყვიტე, მიმემართა გამოჩენილი გერმანელი მოაზროვნის, სამართალმცოდნის, იურისტისა და პოლიტიკის თეორეტიკოსის კარლ შმიტის (Carl Schmitt) ნაშრომისთვის – „თანამედროვე პარლამენტარიზმის სულიერი-ისტორიული მდგომარეობა“, რომელიც გამოიცა მიუნხენში 1923 წელს.

რას გვაუწყებს აქ კარლ შმიტი? იმ დროინდელი პრესის მიმოხილვის შედეგად, მისთვის თვალსაჩინოა ხდება პარლამენტარიზმის აშკარა ნაკლი და შეცდომები: პარტიათა ბატონობა, მათი არაობიექტური პოლიტიკა თანამედროვეებზე დანიშნის სფეროში, დილტანტთა მმართველობა, საპარლამენტო სიტყვებისა და რიტორიკის უმიზნობა-ბანალურობა, პარლამენტარული ობსტრუქციის დამანგრეველი მეთოდები, რადიკალური ოპოზიციის მხრიდან საპარლამენტო იმუნიტეტებისა და პრივილეგიების ბოროტად გამოყენება. თანდათანობით, დაკვირვების შედეგად (რაც, თავისთავად, დიდი ხანია, ცნობილია), გავრცელდა თვალსაზრისი, რომ პროპორციული არჩევითი უფლება და მისი სისტემა სიებით ხმის მიცემისა აუქმებს კავშირს ამომრჩეველსა და დეპუტატს შორის და ეგრეთ წოდებული რეპრეზენტაციის პრინციპი (გერმანიის კონსტიტუციის 21-ე პარაგრაფი: „დეპუტატები მთელი ხალხის წარმომადგენლები არიან; ისინი ემორჩილებიან მხოლოდ საკუთარ სინდისს და არ არიან დაკავშირებული ვალდებულებებთან“) კარგავს თავის აზრს.

ამის შემდეგ შმიტი გადადის დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის ურთიერთდამოკიდებულების განხილვაზე. „სანამ დემოკრატია, – წერს იგი, – წარმოადგენდა არსებითად საპოლიტიკო ცნებას, ე. ი. არსებული მონარქიის უარყოფას, შესაძლო იყო, დემოკრატიული დარწმუნებულობა შესაბამებოდა და გაერთიანებული ყოფილიყო სხვადასხვა, განსხვავებულ პოლიტიკურ მისწრაფებებთან. მაგრამ იმ მოცულობით, რამდენადაც დემოკრატია სინამდვილე ხდებოდა, ცხადი იყო, რომ იგი ემსახურებოდა მრავალ ბატონს და არ გააჩნდა შინაარსობრივად ერთი მიზანი. როდესაც გაქრა მისი უმთავრესი მონიხანდებეგი, მონარქისტული პრინციპი, მან დაკარგა შინაარსობრივი სიზუსტე და ნებისმიერი პოლიტიკური ცნების ბედი გაიზიარა. თავდაპირველად დემოკრატია თავისთავად ცხადად იყო „მეუღლებული“ ლიბერალიზმთან და თავისუფლებასთან, და თვითგაიგივებული იყო მათთან. სოციალ-დემოკრატიაში იგი სოციალიზმთან ერთად ხელჩაკიდებული მიიბიჯებდა. მაგრამ ნაპოლეონ III-ის წარმატებამ და შვეიცარიულმა რეფერენდუმებმა გვაჩვენა, რომ დემოკრატია შეიძლება ყოფილიყო ასევე კონსერვატიული და რეაქციული, რასაც ჯერ კიდევ ურდონიც წინასწარმეტყველებდა. ის, რომ ყველა პოლიტიკურ მოძრაობას შეეძლო დემოკრატიის გამოყენება, ადასტურებს, რომ დემოკრატიას არ გააჩნდა არავითარი

პოლიტიკური შინაარსი და წარმოადგენდა მხოლოდ ორგანიზაციის ფორმას“.

შმიტი განაგრძობს: „სხვადასხვა ხალხებს ან სოციალურ და ეკონომიკურ ჯგუფებს, რომლებიც ორგანიზებულნი არიან დემოკრატიული სახით, მხოლოდ აბსტრაქტულად გააჩნიათ ერთი და იგივე სუბიექტი – ხალხი. In concreto, მასები სოციოლოგიურად და ფსიქოლოგიურად სხვადასხვაგვარია. დემოკრატია შეიძლება იყოს მილიტარისტული ან პაციფისტური, პროგრესული ან რეაქციული, აბსოლუტისტური ან ლიბერალური, ცენტრალისტური ან დეცენტრალისტური, და, გარდა ამისა, მას განსაზღვრავს სხვადასხვა ეპოქები, მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით. [...]

არსებობს სამიშრობა, რომ დემოკრატია გამოყენებული იქნას დემოკრატი-

ბენ ნაციონალური თვითგამორკვევისა და ავტონომიის ჩაკეტილ ჩარჩოებში“. და შემდეგ მე ვაგრძელებ: „მაგრამ რა დროს გადადის ნაციონალიზმი ფაშიზმში? ეს მით უფრო საგულისხმო შეკითხვაა, ვინაიდან, როგორც ერნსტ ნოლტე გვაძეცვინობს, „მარქსიზმისგან განსხვავებით, ფაშიზმი არ განვითარდა უშუალო კავშირში ფილოსოფიურ აზროვნებასთან; იგი თავის საწყისებში გაგებულ იქნა, როგორც სავსებით არათეორიული პოლიტიკური დაჯგუფება გარკვეული ემპირიული მიზნის მისაღწევად (მაგალითად, იტალიაში სოციალისტური რევოლუციის მცდელობის ჩასახშობად). თავდაპირველად ასეთივე იყო მუსოლინის შეხედულებაც, რომელმაც მთავარ პრინციპად ქმედების უპირატესობა მიიჩნია“. „ვარდების რევოლუციის“ დასაწყისში, ტელემაყუ-

ვიტორ რუსილაძე

ბით... თუკი ვაშინგტონში თქვენ შეხვალთ მთავრობის წარმომადგენლების დარბაზში, თქვენზე ამ დიდი კრების გამომეტყველება შთაბეჭდილებას მოახდენს. ტყუილბრალად ეცდებით იქ სახელგანთქმული პიროვნების ძებნას. თითქმის ყველა მისი ნევრი ბნელი ფიგურაა, რომელთა სახელი თქვენ არაფერს გეტყვით“. ზუსტად ორი საუკუნის შემდეგ, – განაგრძობს მასიმო ფინი, „ჩვენ უფრო ნაკლები გაცემა არ შეგვიპყრობს, ვიდრე ტოკვილს: მმართველთა უფერულობა წარმოადგენს იმ საფასურს, რაც დემოკრატია უნდა გადაიხადოს, თუკი მას სურს საკუთარი პრინციპების ერთგული დარჩეს. დემოკრატიასთან მიმართებით დიქტატურის დროს ბერტოლდ ბრეხტ-

მა ნამოიდახა: „ნეტარ არს ქვეყანა, რომელსაც არ სჭირდება არც წმინდანები და

რა სარგებელი აქვს ჩვენთვის პარლამენტის არსებობას?

ის მოსასპობად... მაშინ აქტუალური ხდება ხალხის აღზრდის ძველი პროგრამა: ხალხი იქამდე შეიძლება მიიყვანოს, რომ იგი სწორად აღიქვამს თავის ნებას, სწორად ქმნის მას და სწორად გამოსახავს... აღზრდის ამ მეცნიერებიდან თანმიმდევრულად გამომდინარეობს დიქტატურა, დემოკრატიის შეჩერება ჭეშმარიტი დემოკრატიის სახელით... თეორიულად (ხოლო კრიტიკულ ეპოქებში, პრაქტიკულად) დემოკრატია უძალოა იაკობინური არგუმენტის წინაშე, ე. ი. იმ გადაწყვეტილების წინაშე, რომ უმცირესობა გაიგვივებული იყოს ხალხთან და ცნება გადატანილი იყოს რადიკალიზაციის სფეროდან თვისობრივ სფეროში“.

საბოლოო ჯამში კარლ შმიტი დაასკვნის: „შესაძლოა, დემოკრატია იყოს იმის გარეშე, რასაც უწოდებენ თანამედროვე პარლამენტარიზმს და, შესაძლოა, იყოს პარლამენტარიზმი დემოკრატიის გარეშე. ყოველი შემთხვევაში, დიქტატურა არ წარმოადგენს გადამწყვეტ დაპირისპირებულობას დემოკრატიისადმი, ხოლო დემოკრატია – დიქტატურისადმი“.

გერმანიაში ჩემი ერთ-ერთი ვიზიტის დროს საუბარი მოხდა კობლენცის უნივერსიტეტის პროფესორთან, პოლიტოლოგიის დოქტორ ჩერვიკთან. „ა-ჰა, – მითხრა მან, – თქვენ გიყვართ შმიტი? მაშასადამე, თქვენ ფაშიზმი გიყვართ!“ „არავითარ შემთხვევაში, – ვუპასუხე მე, – როგორ შეიძლება, ფაშიზმი მიყვარდეს მისი მსუთავი გაზის კამერებით და უზარმაზარი მსხვერპლებით? მე იგი „მიყვარს“, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც ამას გულისხმობს რუსი ფილოსოფოსი ივან ილინი, როდესაც იტალიურ ფაშიზმზე წერს: „ხოცვა-ჟლეტა შეაჩერა დიქტატურამ, ხოლო დიქტატურას სანქცია მისცა მევეს“.

რაკი კარლ შმიტთან დაკავშირებით სიტყვა ფაშიზმზე ჩამოვარდა, საჭიროდ მიმაჩნია, მკითხველს გავაცნო ფაშიზმის მოკლე განსაზღვრება თავად მუსოლინის და ფაშიზმის ისეთი მცოდნის მიხედვით, როგორც გერმანელი ისტორიკოსი ერნსტ ნოლტეა. ამ მიზნით მოგიყვან ციტატას ჩემი წიგნიდან „ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში“, რომელიც გამოიცა თბილისში 2006 წელს. გამოცემის თარიღს აქ ხაზგასმით აღვნიშნავ, რათა არავინ დამწამოს ნაქცეულის ცემა, ვგულისხმობ სააკაშვილ-ნაცებს, რომლებსაც უკვე მაშინ, მათი პოლიტიკური ძლიერების პიკში ყოფნის დროს, ვაცხადებ ფაშიზტებად (ცხადია, არა უანგარო ფაშიზტებად). ამ წიგნის 356-ე გვერდზე მე მომიყვას მუსოლინის სიტყვები, რომელიც ფაშიზმს განსაზღვრავს, როგორც „ორგანიზებულ, კონცენტრირებულ, ავტორიტარულ დემოკრატიულ ნაციონალურ საფუძველზე“. ერნსტ ნოლტეს განსაზღვრება კი ასეთი გახლავთ: „ფაშიზმი წარმოადგენს ანტი-მარქსიზმს, რომელიც ისწრაფვის, გაანადგუროს მონიხანდებეგი რადიკალურად განსხვავებული და მაინც მსგავსი იდეოლოგიის გამოუმუშავების მეშვეობით და თითქმის იგივეობრივი, მაგრამ დამახასიათებლად სახეცვლილი მეთოდების გზით, რომელნიც ყოველთვის მოქმედ-

რებელს ალბათ კარგად დაამახსოვრდა გადაცემა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკეების დარბაზიდან, როდესაც მიკროფონთან მდგარმა ელდარ შენგელიამ მრისხანე სახით რიხიანად განაცხადა – ვინც წინ დაგვიდგება, გადავუვლით და გავსრესთ... ასეთი ძალმომრეობითი მუქარა აშკარად ფაშიზტურია, ხოლო თავად ამის ხილვამ რობერტ მუზილის ერთი პატარა მოთხრობა გამახსენა, რომლის გმირი, პატარა კაცუნა, დამცირებული და ორიენტაციადაკარგული ობივანტელი, სუსტი „მე“-ს საკომპენსაციოდ, ცდილობს ძლიერ „ჩვენ“-თან იდენტიფიცირებას. ამ კაცუნას, მოთხრობის მიხედვით, ერთი სიამოვნება დარჩა: იგი თავს აფარებს ავტობუსს და იმის ხილვით ტკბება, თუ როგორ ერიდება ხალხი მას (სინამდვილეში – ავტობუსს) და გზას უთმობს“.

პარლამენტარიზმისა და დემოკრატიის კრიტიკაში მარტოოდენ გასული საუკუნის, თუნდაც დიდი მეცნიერის ნააზრევს რომ არ დავეყრდნობ, გადმოვინაცვლოთ ჩვენს საუკუნეში. 2004 წლის მარტში ვენეციაში გამოცხადდა სახელწოდებით „მანიფესტი ამ დემოკრატიის წინააღმდეგ“. მისი ავტორია მასიმო ფინი (ასსიმო ინი). წიგნი ისე მნიშვნელოვნად მიიჩნის გერმანელებმა, რომ მისი გერმანული თარგმანი უკვე 2006 წელს გამოიცა მაინის ფრანკფურტში. წიგნის გარკვეულ მოთავსებულა აშშ-ის, როგორც დემოკრატიის სანიშნო ქვეყნის, „თავისუფლების“ სკულპტურა, ოლონდ სულ მავთულხლართებში, გარშემორტყმული პირახეული და ხელებზე ჯაჭვებდადებული ფიგურებით. მრავლისმეტყველი სიმბოლო! წიგნს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ჯონ სვენტონის, დიდი ხნის განმავლობაში „ნიუ იორკ ტაიმის“ დირექტორის გამოსამშვიდობებელი სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა პოსტის დატოვების ჟამს. მოკლედ რომ გადმოვცეთ ამ სიტყვის შინაარსი, იქნება შემდეგი: არ არსებობს არავითარი თავისუფალი პრესა და ჩვენ ვართ მხოლოდ სათამაშოები ფინანსური ძალების ხელში. ჩვენი შრომისმოყვარეობა და თვით ჩვენი სიცოცხლე მათი საკუთრებაა. ჩვენ წარმოვადგენთ მხოლოდ ინტელექტუალურ მებავეს.

ჩვენი წერილის მოცულობის გათვალისწინებით, მოგიხილება მხოლოდ მოკლედ ჩამოთვლა იმისა, რაზეც ეს წიგნი მეტყველებს. პირველ ყოვლისა, ეს არის „აგრესიული დემოკრატიული ტოტალიტარიზმი“, რომელმაც ძველი კულტურები მოსპო და მათ ადგილზე მხოლოდ ნევროზი დაამკვიდრა. კოლონიალიზმი შეიცვალა (უფრო დახვეწილი ფორმით) – დემოკრატიით. დემოკრატია წარმოადგენს ჩაგვრის უფრო შენიღბულ ფორმას. დემოკრატია არ ენდობა ინტელექტუალებს, ამიტომ მისი პრინციპი არჩევნებია, სადაც უფერული უმრავლესობა იმარჯვებს.

ავტორს მოჰყავს ციტატა მეცხრამეტე საუკუნის ფრანგი არისტოკრატის, ალექსის დე ტოკვილის წიგნიდან „დემოკრატია ამერიკაში“. „ჩემი ჩამოვლისას შეერთებულ შტატებში განცვიფრებული დავრჩი მმართველების მხრიდან განათლე-

ბით... თუკი ვაშინგტონში თქვენ შეხვალთ მთავრობის წარმომადგენლების დარბაზში, თქვენზე ამ დიდი კრების გამომეტყველება შთაბეჭდილებას მოახდენს. ტყუილბრალად ეცდებით იქ სახელგანთქმული პიროვნების ძებნას. თითქმის ყველა მისი ნევრი ბნელი ფიგურაა, რომელთა სახელი თქვენ არაფერს გეტყვით“. ზუსტად ორი საუკუნის შემდეგ, – განაგრძობს მასიმო ფინი, „ჩვენ უფრო ნაკლები გაცემა არ შეგვიპყრობს, ვიდრე ტოკვილს: მმართველთა უფერულობა წარმოადგენს იმ საფასურს, რაც დემოკრატია უნდა გადაიხადოს, თუკი მას სურს საკუთარი პრინციპების ერთგული დარჩეს. დემოკრატიასთან მიმართებით დიქტატურის დროს ბერტოლდ ბრეხტ-

მა ნამოიდახა: „ნეტარ არს ქვეყანა, რომელსაც არ სჭირდება არც წმინდანები და არც გმირები!“ ხოლო ბურჟე, როდესაც შევიცარიაზე მსჯელობს, სადაც ის დიდ ხანს ცხოვრობდა, ამტკიცებს, რომ ქვეყანა ნამდვილად დემოკრატიულია, რადგან პრეზიდენტის სახელი არ იცინა. დემოკრატია არ ენდობა არაჩვეულებრივ პიროვნებებს. ამის მაგალითია თუნდაც ჩერჩილი, რომელიც დემოკრატიას მიჩიწევდა ყველაზე საუკეთესო სახელმწიფო მმართველობის ფორმად, ომის დამთავრების შემდეგ კი იგი პრემიერად აღარ აირჩიეს – კაცი, რომელმაც დიდ ბრიტანეთს გამარჯვება მოუტანა მეორე მსოფლიო ომში. ამერიკაში, „დემოკრატიის სანიშნო ქვეყანაში“, ისეთი კოლოსალური სხვაობაა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, როგორც ფეოდალურ სახელმწიფოში წარმოუდგენელი იყო. პრამატული ინტერესებიდან აღმოცენებული დემოკრატია რადიკალურ იდეოლოგიად გადაიქცა, მას სურს სულთა მოქცევა“ (ჩვენ დავამატებთ: ქართველების დასავლურ ყაიდაზე გადაკეთება).

მასიმო ფინი ახდენს ცნობილი გერმანელი სოციოლოგის, მაქს ვებერის სიტყვების ციტირებას იმასთან დაკავშირებით, რომ პროფესიონალი პოლიტიკოსი თავს ირჩენს პოლიტიკით და, შესაბამისად, იგი ამ ვითარების გამყარებაზე ზრუნავს (ქართულ პოლიტიკაში ეს, როგორც იტყვიან, გულისამრევი ფორმებით ხდება). დემოკრატიის სისტემა მოქალაქეს ღირსებას აკარგვინებს და ახდენს მის მორალურ და მატერიალურ მოსყიდვას. დემოკრატია არის მხოლოდ მეთოდი, მას არავითარი ღირებულება არა აქვს, მაშინ, როცა მონარქიას და თვით დიქტატურას მოსახლეობის თვალში ღირებულება გააჩნიათ. ის, რომ პარლამენტარული დემოკრატია აუცილებლად დემოკრატიის ფორმაა, ილუზიას წარმოადგენს. რაც არ გამოუვიდა იმპერატორ კალიგულას (სენატში ცხენის დასმა), ეს გამოსდის დემოკრატიათ. განსხვავებით მეფისა და იმპერატორისგან, დემოკრატი ბელადი არის დემოკოგი, იგი ცოცხლობს სიტყვით. ის არ არის საქმის კაცი (ამის თვალნათელი მაგალითი მახსენდება: როდესაც ელიავას შეიარაღებული დაჯგუფება მოდიოდა თბილისზე და ის გენერალმა თევზაძემ გაფანტა, ერთმა დეპუტატმა გენერლის კრიტიკა დაიწყო – ეს საქმე ჯერ პარლამენტში უნდა განგვიხილო!).

შემდეგ მასიმო ფინი აკრიტიკებს კარლ პოპერს, ცნობილი წიგნის „ლია საზოგადოება და მისი მტრები“ ავტორს, რომელიც მან ორმოციანი წლების პირველ ნახევარში დაწერა. სანამ დემოკრატიას განსაცდელი ელოდა ფაშიზტური, ნაციონალ-სოციალისტური და კომუნისტური ტოტალიტარიზმისგან, მისი დაცვა გასაგები იყო. მაგრამ აი, დემოკრატიამ ყველა მტრზე გაიმარჯვა და დასავლეთში გაბატონდა. სწორედ ახლა გამოჩნდა მისი ტოტალიტარიზმით განმსჭვალული სახიფათო სახე, რომელსაც შესძინეს რელიგიური და მესანისტური ნიშნები, როგორც ეს მოხდა ჯორჯ ვ. ჰუშის „მოდერნიზმი“. მესიანიზმი, რომელიც არაფრით განსხვავდება მარქსიზმისგან, რომელსაც

►► დასასრული მე-4 გვ.

►► მე-3 გვერდიდან

ასე ხშირად ესხმოდნენ თავს ლიბერალ-დემოკრატები და თავად პოპერი. „გულნ-რფელი რომ ვიყო, – აცხადებს მ. ფინი, – ჩვენ იშვიათად წაწყდომივართ ისეთ ჩაკეტილ და ტოტალიტარულ აზრებს, როგორებიც გააჩნია „ლია საზოგადოების“ ავტორს, ლიბერალური დემოკრატიის ამ უდიდეს გურუს. დემოკრატიის თეორეტიკოსების ურყევი რწმენაა, რომ შეიძლება დემოკრატიის რეფორმირება და გაუმჯობესება, მაგრამ, მას რომ ალტერნატივა გააჩნდეს, მათთვის ყოვლად გამორიცხულია. ეს გულისხმობს პოლიტიკური რეჟიმის „უსასრულო ძალაუფლებას“, რომელიც, იმავე პოპერის მიხედვით, ავტორიტარულ სისტემებს ახასიათებს. დემოკრატია, აღმოცენდა რა ძალდატანებითი რევოლუციებით (ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა), რომელთაც ძველი რეჟიმები დაამხეს სისხლის ნაკადებში, – ახლა, როდესაც ძალაუფლებას ფლობს, უარს ამბობს, რომ მასაც იმნაირადვე გადაუხადონ და ამიტომ აცხადებს რევოლუციას თვით ცნებისეულად მიუღებლად, დაუსვევლად, „ტერორისტულად“. იგი საკუთარ თავს განიხილავს საბოლოო სისტემად და ამერიკელი პოლიტოლოგის, ფრენსის ფუკუ-იამას სიტყვებით რომ ითქვას, „ისტორიის დასასრულად“.

ყურადღებია, აგრეთვე, გერმანელი პროფესორის, ჰანს ფორლენდერის ნიგნი „დემოკრატიაზე“, რომელიც გამოცა მიუნხენში 2003 წელს. აქ ავტორი პირდაპირ აცხადებს: დემოკრატია არ არის დაცული იმისგან, რომ ქარიზმატულმა ლიდერმა იგი ავტორიტარულ სისტემად აქციოს. ავტორი ჩამოთვლის აშშ-ის დამსახურებებს დემოკრატიის გავრცელების თვალსაზრისით. იგი ასევე მიუთითებს: „მაშინ, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-მა დაამკვიდრა დემოკრატიული სისტემები დასავლეთ გერმანიაში, იტალია-სა და ავსტრიაში, თუმცა ეს გახლდათ „ხიშტებით შემოტანილი დემოკრატია“, იგივე აშშ, თავისი ეგოისტური მიზნებიდან გამომდინარე, დემოკრატიას ამბობს ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში“ (ჩვენ აქ დავამატებდით: მაშინ, როდესაც აშშ პატარა საქართველოსგან განუხრულად ითხოვს „ადამიანის უნივერსალური უფლებების“ დაცვას, რომლის ერთ-ერთი მთავარი მომენტი თურმე ჰომოსექსუალების პარადისთვის ხელის არშეშლა ყოფილა, მაშინ, როცა ამ ჰომოსექსუალთა თავგასულობა და მათდამი უზნეო დათმობები სახელმწიფოს მხრიდან უკვე თვით საფრანგეთის მოსახლეობასაც ყელში ამოუვიდა, იგივე აშშ პირმოკუმულია და თვალდახშულია ყოველივე იმის მიმართ, რაც, დავუშვათ, საუდის არაბეთში ხდება, სადაც არათუ ასეთი პარადებია წარმოუდგენელი, არამედ კანონით არის აკრძალული ქრისტიანული ტაძრის აგება და სუნიტური ისლამის გარდა ნებისმიერი სხვა რელიგიის პროპაგანდა. განა ეს არ არის ადამიანის უნივერსალური უფლებების ხელყოფა? თუ რატომ ატარებს აშშ ასეთ პოლიტიკას საუდის არაბეთის მიმართ, გასაგები ხდება იმ ფაქტით, რომ მან ამ უკანასკნელთან 1945 წელს ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც აშშ-ს ეძლევა ექსკლუზიური უფლება საუდის არაბეთის ტერიტორიაზე ნავთობის აღმოჩენის, მოპოვებისა და შექენისა. სამაგიეროდ, აშშ გარანტიას აძლევს საუდის რეჟიმს, რომ დაიცავს მას ყოველგვარი გარეშე საფრთხისგან).

საინტერესო და დასაბუთებულ კრიტიკურებებს საიმისოდ, თუ როგორ უნდა იარსებოს თანამედროვე დემოკრატია, ზემოთ უკვე ნახსენები ჰანს ფორლენდერი გვთავაზობს. მისი აზრით, თანამედროვე დემოკრატიის წინაპირობაა ის (რასაც ეთანხმებოდნენ არისტოტელედან მოყოლებული, რუსოს ჩათვლით), რომ საზოგადოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს მძაფრ სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობას. რაც უფრო ღარიბია ქვეყანა, მით უფრო მეტია საშიშროება იმისა, რომ დემოკრატია დაემხო. შემდეგ: საზოგადოების მხრიდან უნდა ხდებოდეს ეფექტური გაკონტროლება სამხედრო და პოლიციური ძალისა; პოლიტიკური კულტურის არსებობა, რომელიც ხელს შეუწყობს დემოკრატიულ პროცესებს თვით კრიზისების დროს (სამხედრო, ინსტიტუციონალური და მისთ. კრიზისები); დემოკრატიის არსებობისთვის უნდა იყოს ხელშემწყობი საერთაშორისო მდგომარეობა; დაბოლოს – თანამედროვე დემოკრატიის არსებობის წინაპირობაა მისი საზოგადოების ჰომოგენურობა: ერთი და იგივე წარმოდგენები საკუთარ და უცხო სამყაროზე, მსგავსი პოლიტიკური ინტერესები და სხვ. ამ მხრივ საფრთხის შემცველია მულტიკულტურული ემიგრანტული საზოგადოებები თავიანთი ერთი, კულტურით, რელიგიით, ეთნიკური კუთვნილებით და რეგიონული ნიშნებით.

მსურს, მკითხველი დაუკვირდეს: თუკი ყოველივე ზემოჩამოთვლილი საშიშროებას წარმოადგენს დიდი სახელმწიფოებისა და ერებისთვის, რამდენად დაცულია ამ მხრივ პატარა საქართველო? წლების განმავლობაში საქართველოს რუსეთისა და მისი პრეზიდენტის პუტინის წინააღმდეგ აქეზებდნენ, ახლა კი პუტინი სირიის კონფლიქტს აგვარებს და დასავლეთში ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ მას მშვიდობის დარგში ნობელის პრემია ეუთვნის. საქართველო კი არავის ახსოვს, არც მისი გასაჭირი. სად არის გამოსავალი, სად არის ხსნა? მე თუ მკითხავთ, გულწრფელად გიპასუხებთ – არ ვიცი! არის მხოლოდ ერთი, რასაც „მეოცნების სურვილს“ ვუნოდებდი, რამაც, შესაძლოა, „საკუთარ სახლში“ რიგი პრობლემებისა მოგვიგვაროს. არსებობს მხოლოდ სურვილი, მხოლოდ ოცნება. ეს ოცნება იმ შემთხვევაში ახდება, რომანი გუარდინის რომ დავესხებო, თუკი რეალპოლიტიკიდან იდეალპოლიტიკაზე გადავალთ, რაც პოლიტიკაში იდეების, ზნეობრივი ღირებულებების, სულიერი კავშირების გათვალისწინებას გულისხმობს. ისე, კაცმა რომ თქვას, საქართველო რეალპოლიტიკისგანაც ისევე შორს არის, როგორც იდეალპოლიტიკისგან, ქართული „პოლიტიკა“ ცალკე განხილვის საგანია. ასევე დავძენ, რომ იდეალპოლიტიკა სულაც არ ნიშნავს რეალობისგან მოწყვეტას.

ისტორიკოს-მედიევისტისთვის ცნობილია, რომ მეფედ კურთხევის რიტუალი ექვს საათამდე გრძელდებოდა. მყვირალა პარლამენტიდან ეკლესიურ ცხოვრებაში აღმოჩენა – ნეტარებაა. მეფე – უდიდესი მორწმუნე. ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ვასილი ზენკოვსკი შემდეგნაირად ახასიათებს როიალისტურ იდეოლოგიას: „სამეფო ხელისუფლებას თუმცა კი გააჩნია დამოკიდებულება ადამიანთა მიწიერ ცხოვრებასთან, მაგრამ ამ იდეოლოგიის მიხედვით, იგი წარმოადგენს შიდასაკლესიო წესის ფაქტს... სამეფო ძალაუფლების განდიდება არ წარმოადგენდა უბრალო უტოპიას და ცხადია, არ იყო საეკლესიო სერვილიზმის გამოხატულება

(საეკლესიო წრეებმა ხომ თვითონ შექმნეს იდეოლოგია სამეფო ძალაუფლების შესახებ), არამედ იყო გამოხატულება ისტორიის მისტიკური გაგებისა. თუკი ისტორიის საზრისი მიღებულია (მომზადება ლეთიური სამეფოსთვის), მაშინ თვით ისტორიის პროცესი თუმცა კი უკავშირდება მას, მაგრამ უკავშირდება ადამიანური გონებისათვის მიუწვდომლად. სამეფო ძალაუფლება სწორედაც ის ნერტილია, რომელშიც ხდება ისტორიული ყოფიერების შეხვედრა ლეთის ნებასთან. სადღესასწაულო წესი მეფედ კურთხევისა თავის თავში შეიცავდა საგანგებოდ შექმნილ ლოცვებს და, რასაკვირველია, საეკლესიო აზროვნებისათვის მეფე სრულიად არ იყო კეისრული საწყისის მატარებელი: პირიქით, მასში უკვე დაძლეული ხდება ლეთის ნებისა და კეისრული საწყისის დაპირისპირება. ეს მოძღვრება მეფეზე არ არის უტოპია, არ არის რომანტიკა, არამედ თავისებური ისტორიოლოგია; მეფეში მტკიცდება „იდუმლება“, ე. ი. რაციონალური გააზრებისათვის მიუწვდომელი შეთავსება ლეთაბრივისა და ადამიანური საწყისისა, მასში ხდება ისტორიული ყოფიერების განმინდანება. ეს იდეოლოგია მით უფრო ძვირფასი იყო საეკლესიო ცნობიერებისათვის, რომ მასში მთელი ისტორიული პროცესი იაზრებოდა, როგორც თავისი გაეკლესიოებისკენ მისწრაფებული ხელისუფლების გადაქცევა საეკლესიო ხელისუფლებად: „მეფე“, ამ იდეოლოგიის მიხედვით, არის სწორედ რომელიც „საეკლესიო ხარისხი“.

დავუბრუნდეთ ისევ კარლ შმიტს. შმიტის მიხედვით, დემოკრატია აღმოცენდება „ქვემოდან“, მონარქია, ამის საპირისპიროდ, „ღვთის მადლით მოვლენილია ზემოდან, მისტიკურად. ამაშია მისი ძლიერება“.

რომანი გუარდინის მიხედვით, შეცდომაა, როდესაც ტოტალიტარიზმს უკავშირებენ ძველ მონარქიას, თუნდაც მისი აბსოლუტისტური ფორმით. ტოტალიტარიზმის წინაპარი ტირანიაა, რომელიც ყოველთვის განიცდებოდა, როგორც ბოროტმოქმედება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრი უნდა იყოს, თუ რას წარმოადგენს ჩემი ოცნება-სურვილი: საქართველოში უნდა აღსდგეს მონარქია! როგორც მახსოვს, ერთ დროს ჩვენმა პატრიარქმაც გამოთქვა ასეთი სურვილი, მაგრამ შემდეგ პრესაში ზოგ-ზოგმა დაწერა – მონარქის შენახვა ძვირი დაუჯდება საქართველოს! თითქოს უმაქნისი პარლამენტის შენახვა იაფი უჯდებოდა ან დაუჯდება მომავალში.

1919 წელს დამარცხებულ გერმანიაში არაიდეალური მონარქიის დამხობის შემდეგ ოსვალდ შპენგლერი წერდა: „ჩვენ გვჭირდება ინგლისურ-ფრანგული დემოკრატიის ფორმებისაგან გათავისუფლება. ჩვენ გავგანძობ ჩვენი საკუთარი“. საუბარი იყო განსაკუთრებულ, „გერმანულ“ გზაზე, რამაც ეს ერი ნაციონალ-სოციალიზმის ჩიხში შეიყვანა.

სამწუხაროდ, ჩვენც წილად გვერგო „ნაცების“ ბატონობა, რასაც უკვე 2006 წელს „ფაშისტური“ ვუნოდე, და ხსნას, დიდად მორწმუნე (რაც თავისთავად პატიოსნებასაც გულისხმობს) და განათლებული მონარქის აღმოჩენაში ვხედავ. მაგრამ აქ არის ერთი „მაგარამ“ დიდი ასოებით: არავითარ შემთხვევაში მონარქიასთან არ უნდა გადავაჯაჭვოთ ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი რომანტიკული გრძობა. თუ რას ვგულისხ-

ხმობ ამით, კარგად აქვს ნათქვამი ერთ პოლონელ ავტორს თავის ნაშრომში (ა. ი. იაციმირსკი, უახლესი პოლონური ლიტერატურა 1863 წლის აჯანყებიდან დღევანდელ დღემდე, ტ. 1, ს-პეტერბურგი, 1908 წ., გვ. 4, რუს. ენაზე): „პოლონელი ხალხის უბედურებაში დამნაშავეა რომანტიზმი, როგორც მოვლენა არა მარტო ლიტერატურული, არამედ საზოგადოებრივიც. იგი განწყობდა გონებებს გარკვეულ ყაიდაზე, ამზადებდა ახალ აჯანყებას და მოიტანა მხოლოდ სასტიკი იმედგაცრუება“.

ჩვენ მცირე ერი ვართ პოლონელებთან შედარებით, მაგრამ ამბიციები დიდზე დიდი გვაქვს. ჩვენ არ ვცხოვრობთ რუსთაველის ეპოქაში, რომლის მიერ აღწერილი რაინდობა და თავგადასავლები დღესაც ალგავრთოვანებს. ფილოსოფოსი კურტ ჰიუნზერი თავის „მითოსის ჭეშმარიტებაში“ გვაფრთხილებს, რომ დემოკრატია იყენებდნენ ხალხის ცნობიერებაში ჩამარხულ მითოსებს და მათი მოხმობით ხალხს სახიფათო გზისკენ უბიძგებდნენ.

ვახტანგ მეფე ლმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა, იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა ინწყეს დრეკა.

ამ მითოსური ლექსის გაღვიძებით ქართველმა რომ „მთების დრეკა“ მოისურვოს, უფსკრულში გადაიჩხებება. ბრძენი და წინდა მეფე გვჭირდება ჩვენ საზოგადოების დაბრძენებისათვის და მასში სინმინდის შემოტანისთვის. ნუთუ აუსრულებელ „ქართულ ოცნებას“ ეს ოცნებაც შეემატება?

დაბოლოს, ეს ნერილი მსურს დავასრულო ერთი ციტატირებული ნაშრომიდან კირკეგორის შესახებ: „კირკეგორი მიმართულია ცალკეული ადამიანისადმი. აქ მხოლოდ ერთადერთობა არ იგულისხმება, არამედ გამოთქმულია ის, რასაც კირკეგორისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს: რომ ექსისტენცია და ამით ადამიანის ჭეშმარიტება მხოლოდ და მხოლოდ მის ერთადერთობაში ვლინდება. ფაქტობრივად მასისა, მრავლისგან შემდგარი გროვა დევრადირებას უკეთებს ცალკეულს, ხდის მას არაანგარიშგასაწევი სიდიდედ, აქცევს მას მომენტად, ჯამის რაღაც ნამსხვრევად, რომელიც ართმევს მას ყოველგვარ თავისთავადობას. თავის „დღიურებში“ კირკეგორი ასეთ ჩანაწერს აკეთებს: „ამბობენ: ხმა ხალხისა – ხმა ლეთისა. ნუთუ ეს ძალაშია მამინაც, როდესაც ებრაელები ყვიროდნენ: „ჯვარს აცე ეგე?“ კირკეგორის განსაკუთრებულ ზიზღს იმსახურებენ ისინი, რომლებიც „პროფესიად იხდიან მასის მწვერვალზე მოქცევას“. მისი აზრით, თუკი ვინმე ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტება არის საგანი საყოველთაო კენჭისყრისა, მას უნდა ახსოვდეს, რომ „ხალხის მასა, როგორც ინსტანცია, ეთიკურად და რელიგიურად არაჭეშმარიტს წარმოადგენს“. სხვანაირი ფორმულირებით: რწმენისა და მორალის საკითხები არ შეიძლება, კენჭისყრით გადაწყდეს. რასაკვირველია, ყოველივე ამის მიღმა პოლიტიკური კონსერვატიზმი იკვეთება. ხალხის მმართველობის პრინციპის კრიტიკით კირკეგორი მონარქიის დამცველად გვევლინება. „ნუთუ ეს არის ტირანია, როდესაც ერთს სურს მბრძანებლობა?“ – კითხულობს კირკეგორი და აგრძელებს: „ნამდვილი ტირანია მამინაა, როდესაც ყველას სურს მბრძანებლობა და, გარდა ამისა, ყველას ავალდებულებენ მმართველობაში მონაწილეობის მიღებას“.



# როგორ არ უნდა იყოს ანაიანი (ციკლიდან – ომი ბნელეთთან)

ვეჟო, ხომ არ მიწყენენ, ქალბატონი ნინი („პეგასის“ კორესპონდენტი) და ქალბატონი ნინო („პეგასის“ მთავარი რედაქტორი), რომ გავახსენო რევაზ მიშველაძის მართლაც ძირგამომთხრელი საქმიანობა ეროვნულობისადმი, ქართველებისადმი და ჩვენი სამშობლოსადმი?

აჰა, თქვენი „ფალავანი“ ქალბატონებო:

„ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა გამოქომაგება, მათი დაცვა არამკითხველად და დიდებულად ჩანს მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში სკკპ XXVII ყრილობაზე... მეტ ყურადღებას ნატვრითაც ვერ ინატრებ. ჩვენი დავაგვალა უზარმაზარი მისია – ვზარდოთ ადამიანები (კომუნისტურად!-ჯ.დ.), განვსაზღვროთ მათი სულიერი სიჯანსაღე, ხოლო მეორე მხრივ იმით, ვისაც კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი ხელმძღვანელობის სადავები ჩააბარა, მოსთხოვოს ტაქტიანობა“.

„არამკითხველ ლიტერატურულ ნათლიათა თვითნებობას ბოლო უნდა მოეღოს. დღეს ჩვენი ოფიციალური აზრი მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა სიტყვით და საქმით (მიშველაძის ამ წიგნსაც „სიტყვა და საქმე“ ჰქვია!-ჯ.დ.) მწვავე საკითხთა დასამაგადანყვეტის მაგალითს იძლევა“.

„მსოფლიო თანდათანობით მოწესრიგებულ სახეს იღებს. გარდა ეროვნული პრობლემების სწორად გადაწყვეტისა, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობის პროგრამით და სსრკ ახალი კონსტიტუციით იქნა ლიბოდადებული, ჩვენი დღეების სინამდვილეს გაუჩნდა სხვა მრავალი“.

„საბჭოთა წყობილების არსებობის მთელს მანძილზე ქართული მწერლობის საიმედო ბირთვი (მიშველაძის თაოსნობით!-ჯ.დ.) ყოველთვის იქ იდგა, სადაც მწერლის მკლავი და გონება ყველაზე მეტად იყო საჭირო. მკითხველთა გულის შესაიდუმლე იგი (მიშველაძე!-ჯ.დ.) ნიდაღ უხსნიდა და ასწავლიდა საბჭოთა ქვეყნის (ეს რუსეთის იმპერიაა, ქალბატონებო – ნინი და ნინო!-ჯ.დ.) მშრომელებს, თუ როგორ მოეწყობა ცხოვრება ახლებურად“.

„კოლექტივიზაციის პერიოდი, პირველ ხუთწლედითა პერიოდი დღეები იყო და ჩვენი ლიტერატურა, პირველ კოლმეურნეთა, კომუნისტთა უანგარო შექმნით ეპოქის სწორეპოვარ მატანეს ქმნიდა“.

„ქართულ საბჭოთა ლიტერატურას რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზის გავლა მოუხდა, ჩვენი ლიტერატურის მაგისტრალურ ხაზს ხშირად ირიბად კვეთდა ვულგარული სოციალოგიზმის, ცალმხრივად გაგებული სოციალისტური რეალიზმის მკაცრი თეორიები, მაგრამ დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მწერლობა მაღლა ატარებდა ჰუმანიზმისა და მაღალი კომუნისტური იდელების წმინდათაწმიდა დროს“.

ვეჟო, თვალნათლივია თუ არა 1987 წელს გამოსულ მიშველაძის წიგნში („სიტყვა და საქმე“) ვინ და რა არის ეს კომუნისტი პროფესორი?

გაზეთ „პეგასში“ 2002 წელს რომ ნივის მიშველაძე – საქართველოს დამოუკიდებლობისთვის უნდა ვიბრძოლო პარლამენტშიო, ნუთუ ახლაც სჯერათ ნინის და ნინოს?

იმედია, ეს ორი ქალბატონი ბოლომდე ნაიკითხავს ჩემს წიგნს და ნახავს (ჯერ სად ხართ, გოგონებო!) როგორი კომუნისტური გამაგებებით ებრძოდა მიშველაძე 1990-1991-1992-1993-1994-1995-1996-1997 (და ა.შ.) წლებში საქართველოს დამოუკიდებლობას, თავისუფლებას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებს, თვით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას.

თუმცა, ჯერ აქ ვართ და ვნახოთ, ნინის თუ ნინოს ანუ „პეგასელებს“, ჰყავთ თუ არა მიშველაძის სიყვარულში მოქიშპეები.

ვნახოთ, ვნახოთ...

ეს, ალბათ, ჟურნალისტი ციცო ჯაფარიძეა, – „დილის გაზეთის“ სპეცკორი („დილის გაზეთი“, 1998 წ., 18 აპრილი):

„ლექციიდან გამოსულ რევაზ მიშველაძეს აუდიტორიის წინ დავხვდი. ჯიქურ წარუდგეი (რადგან ციცო „ჯიქურ“ მივიდა რევაზ მიშველაძეზე, მაშასადამე მისით მოხიბლული და ცოტა გამბედავი ქალიც ყოფილა!-ჯ.დ.) – ბატონო რევაზ, მე თქვენი ნოველის ერთ-ერთი პერსონაჟი ვარ (როგორც ჩანს, აღმერთებს ციცო-კორესპონდენტი მიშველაძე!-ჯ.დ.) ცარიელ მერხისკენ ნავუძეხი, წინ დავჯექი და დიქტოფონი ჩავრთე. დაჯდა, არცთუ ნასიამოვნები. დაბნეულობისგან პირველი კითხვა უთავბოლო გამოვივიდა: – ვინ არის რევაზ მიშველაძე, ასე რომ იჭრება ჩვენს ცხოვრებაში?“

ვეჟო, წარმოიდგინეთ ამა თუ იმ ადამიანის, მით უმეტეს, ქალის ცხოვრებაში „შეჭრილი“ მიშველაძე და... მეტი რაღა გინდათ?

ციცოს „ცხოვრებაში შეჭრილი“ მიშველაძე ალტაცებით პასუხობს:

„ვინ ვარ და კაცი, ჩემი კარგებო...“

მიშველაძეში შეჭრილი ქალბატონი ციცო, თავის მხრივ, აგრძელებს:

„25 წლისამ დაიცვა საკანდიდატო, 33 წლისამ – სადოქტორო დისერტაცია... 29 წლისამ გამოსცა პირველი წიგნი! და მას შემდეგ, მგონი, კალამი არ მოუტყდენია. 40 წიგნი მთქნარებით და მუთაქაზე თავის დებით რომ არ იწერება, ცხადია. ბატონმა მწერალმა თავისი „მილიონი“ პერსონაჟი ჩამოთვალა და რომ ვერ მიცნო, მკითხა: რა გინდა, ჩემს ნოველაში მოხვედრა ხომ არ გინდა?“

არ მაინტერესებს, ციცო ჯაფარიძე „მოხვდა“ თუ არა მიშველაძის ნოველაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, – ამ ქალბატონს და თან ჟურნალისტს, – მიშველაძის 40 წიგნი რომ ნაკითხა, მისით აღფრთოვანებული უფრო ნაკლებად იქნებოდა.

მიშველაძის ქებას, ცოტა არ იყოს, ერიდება გაზეთი „საქართველო“ (48, 1997 წ.), რომელიც ნოდარ გრიგალაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა. მიშველაძის დღიურების გამოქვეყნებისას ქვესათაურებშივე ვკითხულობთ:

„ვეფიქრობ, განათლებულ მკითხველს არ დასჭირდება იმის შესხენება, რომ ავტორის აზრი ყოველთვის შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქტორისას. ამას იმ პირთა გასაგონად ვამბობ, რომლებმაც, მიშველაძის დღიურების გამო განაწყენებულებმა, შეიძლება გაზეთის მისამართითაც (არა მხოლოდ მიშველაძის მისამართით!)-ჯ.დ.) აღავლინონ „ლოცვა-შეკურთხება“.

ნოდარ გრიგალაშვილი ჭკვიანი კაცია, ჯერ იმიტომ, რომ მიშველაძის დღიურები დაბეჭდა, მეორეც იმიტომ, რომ იცის, მიშველაძის დღიურებში უამრავი სიცრუეა და აუცილებლად არ გამოილევა მანყევარ-მაგინებელი.

ახლა ვნახოთ მიშველაძეთი აღფრთოვანებული ჟურნალისტი გიორგი კვიციანი („ახალი თაობა“, 124, 1999წ.):

„ – ბატონო რევაზ, თქვენ ხალხი გიცნობთ (უკვე სიცრუეა!-ჯ.დ.) როგორც ნაციონალისტური მიმდინარეობის მწერალს“.

„ – თქვენს გამოსვლებში ქებით იხსენიებთ ხოლმე ე.წ. კანონიერ ხელისუფლებას“ (კვიციანი ზვიად გამსახურდიას დაუძინებელ მტერს – მიშველაძეს ესაუბრება და მართლაც კანონიერ ხელისუფლებას „ეგრეთწოდებულს“ უწოდებს).

ვეჟო, წინ-წინ ვიაროთ და ვნახოთ, გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (32, 1996 წ.):

„როგორც კი სიტყვა საქართველოს დამოუკიდებლობაზე ჩამოვარდა, ცნობილმა ქართველმა მწერალმა, თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა. ბატონმა რევაზ მიშველაძემ „ასავალ-დასავალის“ კორესპონდენტს ზურაბ რცხილაძეს ჩვეული პირდაპირობით განუცხადა: მთელმა მსოფლიომ იცის, რომ საქართველო დღეს რუსეთის მიერ არის დაპყრობილი“.

P.S.

რევაზ მიშველაძე, გარდა გარყვნილებისა, უსინდისობისა, უღირსობისა, უზნეობისა, ამპარტავნობისა, ანტიქართველობისა, მზაკვრობისა, ურწმუნოებისა (ღმერთო, კიდევ რამდენი უბედურება სჭირს ამ ლორწოვან არსებას, ჩამოთვალაც აღარ მსურს), მაზოხიზმის და ავადმყოფური თვითგვემის მორევის მარადიული ბინადარია! მისი უდიდესი მისწრაფება და სურვილი ჰეროსტრატეობა გახლდათ, მაგრამ ესეც კი ვერ შეძლო ერთი მეტად უბრალო მიზეზის გამო – მის სხეულში სიმშვენიერის შეგრძნების ყოველგვარი შესაძლებლობა ატროფირებულია ანუ, ქართულად რომ ვთქვათ – სიკეთე ძირფესვიანადაა ამოწყვეტილი! ჰეროსტრატეს რა უჭირდა, მიშველაძესთან შედარებით – არტემიდა ეფესელის ტაძრის დიდებულება მაინც აღიქვა, შემდეგ შურმა დალია, ცეცხლს მისცა და თავისი სახელი ამითი უკედელავს!

მიშველაძეს არა მხოლოდ ჰეროსტრატეობა, არამედ იუდას ამბორიც არ ძალუძს! უფრო მეტიც – ლუარსაბ თათქარიძისგანაც შორსაა და მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში“ მოსხმარტლე, მოსრილე, წირპლიან გიგოლასაც ვერ დაედარება!

ამიტომაც, სულ სხვა გზა აირჩია, საკუთარი, უკიდევანო სილაჩრის გამო – ქვეყნის საგინებლად გაიხდა თავი და ამგვარი ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტად აქცია!

წლიდან წლიმდე კიდევ შეეჩვია ლაფში გასვრას და ლანძღვას! ბოლოს იქამდე მიიყვანა თავფეკლა თავი, მასში მხოლოდ ერთხელ გამკონათლი სიყვარული ამ ამაზრზენ უკეთურობაში ჩაახრჩო!

და, მას შემდეგ, მოთხოვნილებად ექცა უწმინდურობის კეთება, რათა პასუხად მიიღოს წყველა-კრულვა, გინება, ფურთხი და ზიზღის ღვარცოფი!

ამ უბედურ დღეზე გაჩენილმა, იმდენი „იღანა“, რაც გინდ დააბრალა, უკვე ეჭვი აღარავის ეპარება – მიშველაძეზე ამბობენ? რა თქმა უნდა, იკისრებდა და იზამდაო!

არსებობს ასეთი მაგალითი: მიშველაძემ, დღისით-მზისით მათხოვარს ერთი ლარი უწყალობა, რის გამოც მადლობა დაიმსახურა, მაგრამ... დგას და უშნოდ იტყვარაქება! მათხოვარმა კითხვის ნიშნად ამოხედა თურმე და... მიშველაძეს სახალხოდ, სპეციალურად ხმამაღლა უთქვამს (რათა მასხრად აეგდო საპყარი!): ხურდა სად არის, ხურდაო!

მათხოვარმა ფული უკანვე მიუბრუნა, სახეში თხლიშა, ქოქოლა მიაყარა: შენაირი მათხოვრისგან მოწყალებას არ მივიღებო!

აქ მთავარი ის არის, რომ მიშველაძე კმაყოფილი დარჩა თავისი საქციელით, რადგან მათხოვარი გაამაიმუნა, ამავდროს, ირგვლივ მყოფთაგან ზიზღიც დაიმსახურა და ამაყად გაიზლანა!

სხვა შემთხვევაცაა: მიშველაძე დიდი ხნის წინ დამდურებულ ნაცნობს, ერთ-ერთ ცნობილ ფოლკლორისტს, კორპუსის კიბეზე შეხვდა და ნაქიფარ მეგობრებთან ერთად თავისთან მიიწვია: როდემდე უნდა ვიყოთ ერთმანეთის მტრები, შევრიგდეთო! იმ ცხოხუნულს უთქვამს: მტრობა კაცს შეუძლია, შენ ხომ კაცობის ნატამალი არ გაგაჩნია, ამიტომაც ვერანაირად ვერ შეძლებ მტრად მომეკიდო!

ეს ნათქვამიც დედის რძესავით შვირგო ბატონმა „ცოცხალმა კლასიკოსმა“. მიშველაძის შემხედვარე, იმ მონღოლი ნონის საქციელსაც მოიწონებ, ვინც

## ჯეპალ დავლიანიძე

ცოტნე დადიანის ვაჟკაცური თავგანწირვა შეამჩნია!

ახლა ვნახოთ, საკამათოდ საღერღელ-ლაშლილ მიშველაძეს როგორი ჭიტლაცი ამოუჭირა ცნობილმა კრიტიკოსმა ნოდარ გრიგალაშვილმა (გაზ. „ასავალ-დასავალი“, 24, 2006 წ.):

1. „როცა უგვანი კაცი გაქვებს, ნუხდები. როცა უგვანი გლანძღავს, მაინც სწუხარ, თუმცა უკეთურისგან ქებას, მაინც ლანძღვა ჯობია. უკეთურს თუ მოსწონხარ, ეს უბედურებაა, სინდისგარეცხილი თუ გლანძღავს, მთლად უბედურება არ არის. ბოლო ხანებში ისეთი ზნეობის ხალხი მერჩის, რომელთაგან ქებაც კი ლამის ტყვიის სროლის ტოლფასია ნამუსიანი კაცისთვის. ვერ ვიტყვი, რომ მიშველაძე ერთი მათგანია. მიშველაძის შედარება არავისთან არ შეიძლება... ეს არის ჭურჭელი სიმყრალისა. ვწუხვარ, რომ ერთდროულად ასეთი სუბიექტის ქების ობიექტადაც მატკია ბედმა და ლანძღვისაც“.

2. „ეგზ, ბატონო რევაზ, არ ვარგა ხან ისე და ხან ასე. ჩემი თავი ჯანდაბას, სამშობლოსთან არ ვარგა – ხან ისე და ხან ასე.“

ასაკით უფროსი ბრძანდებით. რჩევა რა საკადრისია, მაგრამ არასოდეს არ არის გვიან კაცმა ჯოჯოხეთის ბილეთი დაწვა და გაანადგურა.

ამ სოლიდურ ასაკში მაინც გახდით ქრისტიანი, მოეპვი ტყუილებს, მოეპვი ინტრიგების თესვას. რამ შეგაძულა ადამიანი და ადამიანობა. ნულარ მაიძულე მოვცდე ისეთ უმადურ საქმეზე, როგორც რევაზ მიშველაძის პორტრეტის ხატვაა.

კარგი, ავდექი და მართლა ჩაგახედე სარკეში, მოგონილი იქნება ის, რასაც „დორიან გრეის“ სულის სიბნელე ჰქვია“.

ბატონი ნოდარ გრიგალაშვილი მიშველაძეს ურჩევს: ჯოჯოხეთის ბილეთი დანვიო, მაგრამ რაღა დროსია, როცა „ცოცხალი კლასიკოსი“ კარგა ხანია მოუსავლეთის მატარებელში ზის და სიხარულით, ალტყინებით, ლღინ-სიმღერით, უდიდესი სიამოვნებით მიჰქრის დანიშნულების სადგურამდე... რომელიც ახლოა! მთავარია, რომ... მას ეს მოსწონს და ეწადილება!

## მინანერის მინანერი:

მსურს მკითხველს ვაცნობო, რომ გასულ ორშაბათს, 7 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა და „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარმა რედაქტორმა, ბატონმა თამაზ წიგნიაძემ მთხოვა: ვგონებ დროა, შევწყვიტოთ მიშველაძის შესახებ შენი წიგნის ბეჭდვა, ნამეტანი მეტბრალეა ეს საცოდავი, არაფერი მოუვიდეს და ცოდვა არ დავიდოთ კისერზეო!

საპასუხოდ, ჩემი გაოცება რომ შენიშნა, ბატონმა თამაზმა გამიღიმა: ვიცი, ვიცი, რაც გაიფიქრე, მიშველაძე არ მოისვენებს, ისევე გამოხტება, მაგრამ... პასუხს აღარ გვაძლევს, როგორც ჩანს, ინანიებს, ცოდვავაო!



◀◀ გე-5 გვერდიდან

შევთანხმდით კიდევ! სულ ორიოდ ნომრის შემდეგ ვწყვეტდით ბეჭდვას ე.წ. „საგანგებო მდგომარეობამდე“, მაგრამ... წინათაც და ახლაც მართალი გამოვდექი: „მწერის გაზეთის“ ბოლო ნომერში ლანძღვა-გინების მთელი ნიაღვარია გამოქვეყნებული და, რაც მთავარია, დამხმარე ძალაც გამოჩნდა მურმან თავდიშვილის სახით! ეს უკანასკნელი ერთ დროს, სტუდენტობისას, ჩემი თანაკურსელი იყო და ცუდზე-ცუდი, უფრო კი საზიზღარი, გულისამრევი, ბინძური ამბების ჩამდენი გახლდათ. რადგან მახსოვრობას არ ვუჩივი, წერაც მეხერხება და კამათიც, ვაფრთხილებ არა მხოლოდ თავდიშვილს, არამედ მის მთელ ოჯახს და ნათესაობას: დროზე თუ არ გააჩერებთ, დროებით მართლაც შევწყვეტ მიშველადის შესახებ წიგნის ბეჭდვას და მოვდგები მურმან თავდიშვილის ლერლვა-დაფქვას იმგვარად, რომ გარწმუნებთ, მხოლოდ სახლიდან კი არა, თბილისიდანაც მოიშორებთ!

წინათ, როცა ვაჟუაცები ჩხუბს აპირებდნენ, ის, ვინც პირველ დარტყმას აპირებდა, აფრთხილებდა ხოლმე მონინალმდეგეს – მაგრამ დადექი, გამაგრდი, უნდა დაგარტყაო! მეც ასე მოვიქცევი: პირველ რიგში ვაფრთხილებ მურმან თავდიშვილს და მთელ მის ახლობლებს – მურმანი მხოლოდ „მართლწერას“ კი არა, ბედისწერას აუტყანია!

მურმან ბატონო, არ დამანწყებინო! მიშველადეს ნუ იცავ! ის შენ პირში გაძლევს... გველუშაპს, რომელთანაც უთანასწორო ბრძოლას უთუოდ წააგებ და ამითი მხოლოდ მიშველადე გაიხარებს! მისკენ გასროლილი და მის მიერ დამსახურებული ლაფის ღვარცოფში მთლად თუ არ ჩაიხრჩობი, გვარიანად ამოიგანგლები, ამოისვრები და შენს საკუთარ ოჯახში დიდი დრამა გათამაშდება! მიშველადის საშველი მაინც არ არსებობს, შენ კომუნისტ „თავნითელას“ რატომ იჩირი ერთ ადგილში?

ასე და ამგვარად! მე ჩემი გითხარი, დანარჩენი შენ იცი და შენმა საყვარელმა მიშველადემ!

ახლა, რაც შეეხება მთავარ წარწყმედილს, მიშველადეს. შემატყობინეს, რომ დაძრწის, მუცელზე ხოხავს და ზოგიერთ აკადემიკოსს ემუდარება: აი, ხელში მაქვს ქალაქი, სადაც დიდი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბიცი აწერს ხელს, შუამდგომლობა შესაჭიროება, რათა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა მრჩეველად მიმიღოსო!

ამავ დროს, ეს მარადიული მკრეხელი, უნივერსიტეტის რექტორს უთვლის: თუ მრჩეველთა საბჭოში არ მიმიღებ, აქვე, შენს კაბინეტთან მოვიკლავ თავსო!

ამ საქვეყნო მასხარამ, რამდენიმე წლის წინ, პარლამენტის სხდომაზე, გულის ნასვლის, გარდაცვალების სცენა გაითამაშა, მაგრამ მსახიობური „ოსტატობა“ არ ეყო, მონყვევით ვერ დავარდა იატაკზე, მაგიდას მოეჭიდა, ნელა დაეშვა და შემდგომ გაიშხლართა!

ბატონ ლადო პაპავას შეუძლია მოიძიოს ზემოთხსენებული სხდომის ვიდეოჩანაწერი და საკუთარი თვალით ნახოს მასკარადის ეს ეპიზოდი!

სხვათა შორის, იქ ჩინებულად მოჩანს, საშველად მისული რამდენიმე ადამიანი (რომლებმაც მართლაც დაიჯერეს მიშველადის ფსევდოსიკვდილი), მცირე ხანში როგორ იფურთხება – მთლად უსინდისო ყოფილხარ, შენი ასე და ისეო!

მართლმადიდებელი პანთეონის წმინდანთა მარადიული მანყევარ-მაგინებელი მიშველადე თავს არასოდეს არ მოიკლავს, მაგრამ მას ტანი უგრძობს – შავ საქმეში ბოლომდე რომ გაეპიშვლება, – ჩვენი დედა-ეკლესიის მიერ, ფაქტებზე დაყრდნობით, რეზო ავქსენტის ძე მიშველადე თავისუფლად შეიძლება გადაეცეს ანათემაზე!

ისე, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოებას შეუძლია მშვიდად იყოს და მიშველადის პროვოკაციაზე არ წამოეგოს!

▶▶ გაგრძელება შემდეგ ნომერში

### ლია წერილი

## საქართველოს მწერალთა კავშირის ხელშეწყობის, ლიტერატურული პრემიების გამგებლებს



„ძალოჯან, მაშ, გიგოსთან ორ სიტყვას დაგაბარებ, ესე უთხარი: შენ გენაცვალე, გიგოჯან, როგორც იმ ხალხს ჩემი სახელი უჩვენე და გადაამკიდე, ისე მომამორე. მაგათი არც ქება-დიდება მინდა, არც არაფერი! გაზეთში გამომიშვეს, გამლანძღეს!.. როგორც აქამდე მიხნავ და მითესავს, ისე უნდა ვხნა და ვთესო!“

ნიკო ფიროსმანაშვილი

ში „მცირე განმარტება“ მიმეტანა. აი, ისიც!

„საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ახლახან გამოცემულ „უახლესი ქართული პროზის ანთოლოგიის“ ორტომეულში რაკი მეც არ ვარ შეყვანილი, ნაცნობი მწერლები, ჩემი მკითხველები და ნათესავ-ახლობლები სადმე შეხვედრისას თუ ტელეფონით ნამდაუნუმ მეკითხებიან: არ შემატყობინეს, ანთოლოგია რომ მზადდებოდა თუ მე თვითონ არ ვისურვე მასში მოხვედრა.“

მწერალთა კავშირის გამომცემლობიდან თავის დროზე შემატყობინეს, მეც დროულად წარვადგინე ხუთგვერდიანი მოთხრობა, მაგრამ სარედაქციო საბჭოს შვიდივე წევრს დაეწინაურა, რის გამოც, ცხადია, ანთოლოგიაში ვერ მოხვედებოდი.

იმოდა, ჩემი გულშემატყობრები ამ განმარტების შემდეგ თვითონაც მოისვენებენ და მეც მომასვენებენ“.

ყველა მიხვდება: ამ განმარტებაში არავის რას ვერჩი და მხოლოდ სინამდვილეს ვამბუერებ. მაგრამ გაზეთის თავკაცმა ესეც კი არ დამიბეჭდა — „მაცყალას ეწყინება“-ო!

2010 წლის ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი ფიროსმანის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ წიგნზე „გათავისუფლება“ მუშაობით ისე ვიყავი შთანთქმული, სხვა ველარაფრისთვის ვიცლიდი და არ ვიცოდი, ირგვლივ რა ხდებოდა. ერთხელ ავტობუსში შემთხვევით შეხვედრილ მწერალ ელგუჯა ლებანიძისგან შევიტყვე – იმ მწერალს, ვისაც 70 წელი შეუსრულდებოდა, მწერალთა კავშირი თურმე ათფორმიან წიგნს უსასყიდლოდ გამოუცემდა! მისივე გულთბილი რჩევითა და გაფრთხილებით – გეგმაში აქედანვე თუ არ შეგიტანეს, მერე გვიანი იქნებოდა, ჩემდა სამასხროდ და სავალალოდ, 27 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის სახელზე დანერილი ასეთი განცხადება სამდივნოს მეც ჩავაბარე.

„2012 წლის თებერვალში მისრულდება დაბადების 70 წელი. ამასთან დაკავშირებით გთხოვთ, მიღებული დადგენილების ფარგლებში უსასყიდლოდ გამომიცეთ მოთხრობების წიგნი“.

ბედის ირონიით, ორიოდ დღის მერეა გავიგე, რომ ცოტა ხნის უკან გამოცემულ პროზის ანთოლოგიაში თურმე არ ვიყავი შეყვანილი! მაგრამ ანთოლოგიის ჯავრი ვიღას ჰქონდა: იქ ჩემი ხუთგვერდიანი მოთხრობაც კი არ გააჭაჭანეს, მე კიდევ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს „მიღებული დადგენილების ფარგლებში“ ათთაბახიანი წიგნის გამოცემას ველრიჯებოდი – გაგონილა, მეტი სიბეცე თუ უტიფრობა?!

მწერალთა კავშირში სასწრაფოდ მივედი, რათა ის თავის მომჭრელი განცხადება უკანვე გამომეთხოვა, სანამ ადრესატამდე მიაღწევდა! მაგრამ დამაგვიანდა: სამდივნოს გაკვირვებულმა თანამშრომელმა, ქ-ნმა ნინო ვარდიამვილიმა, რაკი ეგონა, ასე სულსწრაფად

„საიუბილეო“ წიგნის ბედ-იღბლის შესატყობად მივადექი, სათქმელი არც მათქმევინა და წრფელი თანაგრძობით მომისამძიმრა – მაცყალამ ნახა, მაგრამ... არავითარი საშუალება არ გვაქვს... დიდ მწერლებსაც ძლივს ვუხერხებთო და... ურეზოლუციო ჩემი განცხადება უკანვე შემომაჩერა.

დაე, ახლა მალაღმა ღმერთმა განსაჯოს – ამგვარ მდგომარეობაში ჩაყენებულ მწერალს რა შეიძლება ჰქონდეს მისალოცი?! ნუთუ მხოლოდ ის, რომ სამოცდაათ წლამდეც ვერ მოახერხა ჩაძალღება და ჯერ ისევ სჩრია სული?!

„იუბილეო“ მიულოცონ კი არა, ჩემისთანა მაჩანჩალა მწერალი – პროზის ანთოლოგიის სარედაქციო საბჭოს წევრების მოსაწონი ხუთგვერდიანი მოთხრობაც რომ ვერ მოაცილოდვილა, ორგოჯიანი „განმარტებაც“ არ გამოუქვეყნეს და არც ათთაბახიანი წიგნაკის გამოცემის ღირსი აღმოჩნდა!!! – იმაზეც მაღლობელი უნდა იყოს, თავის ჭაბუკობისდროინდელი ნაოცნებარი წმიდათაწმიდა ტაძრიდან, საქართველოს მწერალთა კავშირიდან რომ არ რიცხავენ!

ყველაფერს გულწრფელად რომ ვამბობ და მე მილოცვ-მოლოცვის, ჩინმედლებისა და ლიტერატურული პრემიების მოტრფიალ-მაღვეარი კაცი არა ვარ, ამას თვით მოვლენებიც ამოწმებს მთელი თავისი თანამიმდევრული მშვენიერებით. თუგინდ მარტო ბოლო ოციოდე წლის ლიტერატურულ პრესას გადაჰკარით თვალი – რამდენ კალმოსანს გულთბილად ულოცავენ დაბადების 50, 55, 60, 65 და ა.შ. წლისთავს! მაგრამ სადმე გინახავთ, ჩემ მომართ ვინმეს მსგავსი სტრიქონი დასცდენოდეს?! მიპოვეთ ისეთი დიდმოხელე, ოდესმე ჩემდაში რომელიმე თარიღის მოლოცვის თადარიგისთვის ვხლებოდე ანდა იგნორირებისთვის ნართაული უკმყოფილება გამომეხატა?!

მაშ, მე რაღა დავაშავე – ნუთუ მართლა ასეთი გადასაგდები მწერალი ვარ?

გადასაგდები მწერალიო?! გადასაგდებ მწერლად მაინც რომ მიმიჩნევდნენ, რაღა მიჭირდა – ესეც ხომ რაღაცა ნიშნავს! მაგრამ ამგვარ „საპატიო“ რანგს მე ვინ მალირსებს, როცა ლიტერატურის ფეოდალ-დიდმოხელეთათვის ბუნებში საერთოდ არ არსებობს ჩემი გვარ-სახელის მქონე მწერალი! ჰოდა, დანარჩენი კი კრიალოსნისებურად იკინძება: თუ არ არსებობს ამ გვარ-სახელის მწერალი, მაშ, პროზაიკოსთა ანთოლოგიაში ვინ შევიყვანოთ ანდა ვის მივულოცოთ რომელიმე თარიღი!!!

ბარემ ვისარგებლებ შემთხვევით და ამგვარი „სამსახურისთვის“ ყველას მიწამდე თავდახრით გადავუხდი მადლობას, ვინაიდან მათ მიერ გამოჩენილი ამგვარი რეგენული შურ-ბოროტისგან მე ღმერთმა მწერლისთვის გამოსადეგი უმალღესი ხარისხის საავიაციო სანჯავის გამოხდა მასწავლა!!!

ჰოდა, მწერალთა კავშირის ხელშეწყობას არც ჩემი დაბადე- ▶▶

►► ბის 70 წლისთავის „საიუბილეო მილოცვის“ თადარიგისთვის გავაკარებოვარ და არც მერე და მერე, მიზეზის გასარკვევად – პროზის ანთოლოგიისა არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, რატომ გგონივართ მწერალთა საქმოდან ამოსაშლელი-მეთქი, ვინაიდან მათი ეს დუმილიც ჩემი მწერლობაში გამოჩენის დღიდან მავანთაგან ჩემ სანინალმდე-გოდ შემუშავებული გრძელვადიანი ზეპირი პროგრამის ბუნებრივ გაგრძელებად წარმოვიდგინე! ის კი არა, გულში მიხაროდა კიდეც, ამ „საიუბილეო მილოცვას“ რომ გადამარჩინეს, ვინაიდან მე ასე მწამს: ამდენი გრაფომანული, მდარე, უნიჭო და უხამსი, აღვირანყეტილი მაკულატურის ღვარცოფისაგან გატანჯულ-გალიზიანებულ მკითხველ საზოგადოებას ნიჭითცხებული მხატვრული ნაწარმოებების ხილვა ენატრება და არა მწერალთა კავშირის შებლახურ-დაშაქრული „საიუბილეო მილოცვების“ კითხვა და ჩვენი ფოტოსურათების ცქერა!

ჰოდა, საკითხავია, მწერალთა კავშირმა რა პირით ან რანაირი ფრაზებით უნდა მომილოცოს?! ანდა თვით ღირსებადაკორტინილმა უბედურმა „იუბილარმა“ რა სინდისით უნდა მოისმინოს და შეიმშენოს საახალწლო ნამცხვარით დამტკბარი „საიუბილეო მილოცვა“, რომელიც, ღმერთმა უწყის, რანაირი ფორმის, კილოსი და შინაარსის იქნება!!!

ამრიგად, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას ვთხოვ, თავი შეიკავოს ჩემდამი ამ ტრადიციული „საიუბილეო მილოცვისაგან“, ვინაიდან ეს თავისთავად ბუნებრივ-ჰუმანური ფორმა ჩემს შემთხვევაში გადაიქცევა ფორმადეხელ ტაკიმასხარაობად და, ჩემზე რომ აღარაფერი ვთქვით, მკითხველი საზოგადოების დაცინვაც გამოვა.

უფრო პირდაპირი ვიქნები: საქართველოს მწერალთა კავშირისგან, რომელსაც ასეთი სახელგატეხილი ხელმძღვანელობა და უმეცარი, პროვინციული დემაგოგი თავმჯდომარის მიერ გაცვეთილი ფანდებით მოთვინიერებული გამგებობის დოცლაპია შემადგენლობა ჰყავს, მე ვერანაირ მილოცვას, ჯილდოს, სარგოს თუ პრემიას ვერ მივიღებ!

\*\*\*

აქ პრემია შემთხვევით არ მიხსენებია. ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ ასტკივია და თან შიშსაც დიდი თვალეხი აქვს. რა მაშინებს? თავადაც კარგად მაქვს გასიგრძელებული, რომ ჩემი მოკრძალებული მწერლური ნვალეხა არანაირ ლიტერატურულ პრემიას არ იმსახურებს და, ცხადია, ამის არც პრეტენზია გამაჩნია. მაგრამ მართლა ღირსიც რომ ვიყო და მისი მიღების მოლოდინი მკლავდეს, პრემიების კასტურ-დედოფლური განაწილების მანკიერებაზე დღეს ისეთ-ისეთი მამხილებელი სტატიები ქვეყნდება, რომ მისი ქონა ჩემში შიშს იწვევს.

პრემიების ფეტვივით ბნევა-ხევეჭამ ქართულ მწერლობაში ნამდვილი სპორტული შეჯიბრის ხასიათი მიიღო. ხოლო ჯაყოსებრი მედროვე კალმოსნები ისეთი ურცხვი ონარიტ ზრდიან თავ-თავიანთი ლიტერატურული პრემიების კოლექციას, გეგონება, გინესის რეკორდების წიგნში მოსახვედრად ემზადებიანო!!!

საკუთარ თავს კი არა, მტერსაც არ ვუსურვებდი ამგვარ კოლექციონერობას და გინესის რეკორდსმენობას, მით უმეტეს, თუკი დრო მალევე ფარდას გადახდის დალაბრა ცუდით ნაჩორქნ მათ გრაფომანულ ნაცოდვილარს და კამეჩური მიწლით მოხვეტილი პრემიები უკანვე ჩასაბარებელი გაუხდებათ!!!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოლო წლებში ფეხმოკიდებულ ამ საზარელ მოვლენას მაინც ჩაუკვირდით! დიდმოხელე მწერლები ცამონმენდილზე ერთმანეთს თუ გაუნაწყენდნენ, პრესის ფურცლებიდან განიშმატებულ დედაკაცუნებივით როგორ ნამოაძახებენ ხოლმე: შენ რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის თუ მავანის პრემიის ღირსი სულაც არ იყავი, მაგრამ ცრემლის ფრქვევით ფეხებს რომ მილოკავდი და იხვეწებოდი, მეც ვილა არ შევანუხე და რალა არ ჩავიდინე, შენისთანა მათხოვრისთვის ის საოცნებო პრემია რომ მოეშავებინათ, შენ კი უმადური გამოდექიო.

აბა, მოდი და ნუ გაშეშებები! ფეოდალის გოროზობით გონდაბინდული მაყვედრებელი ასეთი დიდმოხელე აქ იმასაც კი ვერ ხვდება, რომ ამით პირველ რიგში საკუთარი თავის, უპრინციპო ჟიურისა და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელების ყბადღებული კომპრომეტირება გამოსდის: შე დალოცვილო, ის კარდაკარ მავალი უთავმოყვარეო მწერალი თუკი მართლა არ იყო რომელიღაც აკვიატებული პრემიის მინიჭების ღირსი, ქვეყანა ასე ხელმწიფურად შენ რა სინდისითა და უფლებით შეალონე და შეცდომიანი შეიყვანე როგორც მთელი მწერალთა კორპუსი, ისე საზოგადოებრივი აზრი?!

ჰოდა, ახლა ამოდენა ლიტერატურული პრემიების უსტაბაშთაგან რომელიმე მიაშიტმა მართლა თავისი არაპროფესიული უცოდველობით ან სულაც გასაკითხავი ცოთხოვრისადმი გამოჩენილი ბიუროკრატიული გულმონყალებით – ზოგიერთები პრემიებით საცხე ხურჯინებს დაათრევენ, მაშ, ამ სანყალმა რალა დააშავაო და – როგორც უპატრონო კატას ფილტვის ანათალი, მეც ისე გადმომიგდეს რომელიმე პრემია, ამას რა აზრი ექნება?!

ანდა, მთლად უარესი: გაბოროტებულმა ლიტერატურულმა კუკლუსკულანელებმა დამცირების მიზნით მავნებლურად შექმნილ ლაურეატთა ნახირში გასათქვამად „მრგვალი თარიღის“ ამოსაფრებით რომელიმე პრემია „მაუზერის“ ტყვიასავით რომ მომაჭედონ, ცხადია, უკვე თვალახელილი საზოგადოება მაშინვე ამას გაიფიქრებს ან ნამოიძახებს: ეს უთავმოყვარეო ჯემალ მეხრიშვილიც, ალბათ, ვილაცას მტვრიან ჩექმებს ულოკავდა ანდა შეჭყუყუელი კაბის კალთას უკოცნიდა, თორემ ისე ვინ რას მისცემდაო!!!

მერე მიდი და იფიცე – პრემიისთვის არამცთუ არ იბრძოდი, არამედ ჭირივით უფრთხობდი კიდეც!

აქედან გამომდინარე, ყველანაირი ლიტერატურული პრემიის გამგებლებს ადამიანურად ვუხსნი, ვთხოვ და ვაფრთხილებ: მე არანაირ პრემიას არ ვიმსახურებ, არც მოველი და, ცხადია, ვერც მივიღებ! ამიტომ თავს ტყუილუბრად ნურვინ გაინბილებს!

საზენიტო-სარაკეტო პოლკში სამი წელი სულ რიგით ჯარისკაცად ვირიცხებოდი. მერე სხვადასხვა სამსახურშიც მხოლოდ უბრალო თანამშრომელი ვიყავი ხოლმე და სრულებით ბუნებრივად შემსისხლხორცდა უჩინმედლებო, რიგითი მუშაკის საჭიროება, მოვალეობა, მიმზიდველობა, ღირსება და ბევრისთვის მიუწვდომელი მშვენიერება!

ქართულ მწერლობაშიც ერთი რიგითი სუფთასამხრეებიანი ჯარისკაცი ვარ და მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, ასეთივე სუფთასამხრეებიან რიგითი ჯარისკაცად დავრჩე როგორც სიცოცხლის ბოლომდე, ისე სიკვდილის შემდეგაც.

ჯემალ მხრიშვილი

### თანაპელროვე მწერლების მეტი ღვაწლისთვის

#### საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ თამაზ ნიჭინაძეს

ის, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის დღევანდელი მესვეურები ძალიანაც თავს არ იცხებებენ თანამედროვეობის ბევრი დიდი ქართველი მწერლის პატივსაცემად, კარგა ხანია ცხადია და ამაში მრავალჯერ დავრწმუნდით თუნდაც იმით, რომ კავშირი მრავალმა ჭეშმარიტმა მწერალმა დატოვა, რაც ამ გაერთიანების ხელმძღვანელებს დიდ ტრაგედიად არ მიუჩნევიათ. „ლიტერატურული საქართველოს“ 9 აგვისტოს ნომერი სწორედ ამის დადასტურებაა, ნომერი, სადაც გაცხადებულია ქართველ შემოქმედთა გულისტკივილი, რომლის გამოც მათ ოდესღაც ერის სულიერ წინამძღვართა პარნასად მონათლული ეს ორგანიზაცია ერთმანეთის მიყოლებით დატოვეს. განა მართლაც გული არ გეტკინება კაცს, როცა ნაიკითხავიმ სტრიქონებს, სადაც მწერლები წუხილით გამოთქვამენ წყენას მათდამი მოპყრობისა და, საერთოდ, კავშირში არსებული ვითარების გამო? ეს ხომ ის პერიოდი იყო, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ ბელადთა მიერ შეურაცხყოფილი საქართველოს მოსახლეობის ნაწილს ჩარეცხილად აცხადებდნენ, ზოგს უდანაშაულოდ ციხეში სვამდნენ და ქონებას ართმევდნენ, უნივერსიტეტიდან პროფესორებს ყრიდნენ, ხოტბას ასხამდნენ აღვრახსნილობასა და ერთსქესიანთა ქორწინებას, ასწლოვან ჟურნალებს „ცისკარსა“ და „მნათობს“ აუქმებდნენ (რალა შორს ნავიდეთ, განა „ლიტერატურული საქართველო“ სწორედ მაშინ არ დაიხურა?... დიახ, სწორედ ამ ეროვნული უბედურების ჟამს, როცა საქართველოს მოსახლეობას უპირველესად მწერალთა, ერის სულიერ ნარმართველთა გამამხნეველები ხმის გაგონება სჭირდებოდა, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები სწორედ მაშინ დაადგნენ სხვათა უგულვებელყოფის გზას და ყველაფერი თავიანთ თავზე მორგეს: პრემიებიც, მივლინებებიც (რაც კი არსებობდა), ნიგნების გამოცემის შესაძლებლობანიც და მრავალი სხვა პრივილეგიაც, ხოლო იმ უბადრუკი ხელისუფლების მოღალატეობრივი და ერის დამცირება-გადაგვარებისადმი მიმართული პოლიტიკის წინააღმდეგ ხმა ერთი ნამითაც კი არ ალუშალებიათ.

გავიხსენოთ, რამდენი დიდებული მწერალი ნავიდა ამქვეყნიდან გულნატკენი, რადგან აღარავინ აფასებდა, პრემიის ღირსად არ მიიჩნევდნენ, ნიგნებს აღარ უბეჭდავდნენ.

მადლობა ღმერთს, ეს დრო დამთავრდა, რისი პირველი დიდი დასტურიც არის ჩვენი ყველასთვის საყვარელი გაზეთის „ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენა. აი, ახლა უნდა დაიწყოს ქართული მწერლობის აღორძინება და ეს მისია ახლად ჩამოყალიბებულმა (თუმცა, უამრავი ნამდვილი „ძველი“ მწერლის მიერ მხარდაჭერილმა) მწერალთა აკადემიამ უნდა იკისროს.

და, იმედია, იკისრებს კიდეც, რის გარანტიადაც მიგვაჩნია ის, რომ მწერალთა ეროვნულ აკადემიას თქვენ, გამოჩენილი (ანუ „ძველი“, გამოცდილი) კრიტიკოსი უდაგახართ სათავეში, ის პიროვნება, რომელიც უმსგავსოებასა და უსინდისობას ებრძოდა ყოველთვის და თავს არ ზოგავდა მაშინდელი მწერალთა კავშირის კუთვნილი თუნდაც ერთი თეთრის ღირებულების მქონე ქონების გადასარჩენად, ამასთან, მუდამ გვერდში ედევით ქართველ მწერლებს და თავდაუზოგავად ზრუნავდით მათზე.

დიახ, მე ვფიქრობ, დადგა დრო, ქართული მწერლობის ასაღორძინებლად და ქართველი მწერლებისთვის სათანადო პატივის მისაგებად. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ეხება უკვე კლასიკოსებად მიჩნეულ ჩვენს დიდებულ მწერლებსა და პოეტებს, ვისაც ერმა დიდი ხანია მიუჩინა ადგილი იმ მწერალთა გვერდით, ვისაც შთამომავლობა არასოდეს ივინყებს.

ბატონო თამაზ! სწორედ რომ თანამედროვეობის დიდი ქართველი მწერლებისა და პოეტებისთვის გამორჩეული პატივის მისაგებად გთავაზობთ შემდეგ წინადადებას:

მწერალთა ეროვნული აკადემიის (და არა მწერალთა კავშირის!) ეზოში, გამორჩეულ ადგილას გავუხსნათ საპატიო ვარსკვლავები ჩვენს სათაყვანო ქართველ მწერლებს!

უპირველეს ყოვლისა, ვარსკვლავი ეკუთვნის ჩვენს დიდებულ ჭაბუა ამირეჯიბს, რომლის „დათა თუთაშხია“ ეპოქალური ნაწარმოებია და ვინც, მიუხედავად ასაკისა, ყოველთვის მოძღვრავდა და მოძღვრავს ჩვენს ერს. გავიხსენოთ მისი ფრთიანი ფრაზა: „ჭკუით, ქართველებო!“ ეს ბრწყინვალე ნათქვამი ხომ დღესაც ძალაშია!

სხვა არანაკლებ დიდებულ მწერალთა ჩამონათვალს, ვისაც ნამდვილად ეკუთვნის ამგვარი დაფასება (ვარსკვლავის გახსნა), საკმაოდ ვრცელია და ის თქვენთვის მომინდვია, როგორც მწერალთა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელებისთვის, ვინაც (თანხმობის შემთხვევაში) ამ საპატიო საქმის ორგანიზატორობა უნდა იტვირთოს.

ახლა მეორე შემთავაზება:

„ლიტერატურულ საქართველოს“, მე ეს ნამდვილად მწამს, თითქმის ყველა ქართველი მწერალი კითხულობს. მერწმუნეთ, უმრავლეს მათგანს სურს, რომ თავის თანამოკალმეს მიაწოდოს დაბეჭდილი თავისი ნაწარმოები (მინდა მჯეროდეს, რომ ამ შემთხვევაში ნამეტან გულუბრყვილო ადამიანად არ გამოვჩნდები) თუნდაც მცირე ფორმატითა და მოკრძალებული ტირაჟით. იმაშიც მერწმუნეთ, რომ „ლიტერატურულ საქართველოსთან“ ერთად გამოსულ ქართველი მწერლების ნაწარმოებებს (დაე, თუნდაც მცირე ფორმატისას) უამრავი მწერალი იყიდის და ამით ორი მშვენიერი საქმე გაკეთდება: ერთი, რომ მწერალი თავის ნაწარმოებს დაბეჭდილს იხილავს (და, ალბათ, ჰონორარსაც მიიღებს, ეს კი ამ გაჭირვებულ ცხოვრებაში პატარა ამბავი არ არის) და მეორე: ერთი მწერალი მეორის ნიგნს რომ შეიძენს, ამით მწერლებს შორის სოლიდარობაც გაიზრდება, რადგან ხვალ ახლა ამ მწერლის ნიგნი დაიბეჭდება „ლიტერატურული საქართველოს“ ეგიდით.


ვიცი, რომ ეს ბევრ ხარჯთან არის დაკავშირებული, მაგრამ, როგორც იტყვიან, ერთი დაწყება მთავარი, თორემ მერე ყველაფერი კარგად წავა. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, ამ აზრს ბევრი დაეთანხმება.

მე კი ამ წერილს იმით დავასრულებ, რომ თქვენი დიდი მონდომების შედეგად ისევ მიხარია პარასკევის გათენება, რადგან არსებობს მშვენიერი, ან მართლაც მწერლების სამსახურში მდგარი თქვენი და ჩვენი „ლიტერატურული საქართველო“.

პატივისცემით

ანზორ სიფრაშვილი

# ჩენარად, ჩარსულაო, ჩენარად!



გიორგი ხარაბაძე

მსახიობობა ბედია, ხვედრია, ილბალია განგებისად გადაწყვეტილი. სულაც, მე მგონი, ჰამბურგული ანგარიშით, ბედისწერაა, გამოუცნობი, მიუკვლეველი ძალით განსაზღვრული.

ერთხელ ანდრია ბალანჩივაძე იგონებდა: მისი ძმა, ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი გიორგი ბალანჩივაძე მშობლებს ძალით, ლამის ცემა-ტყეპით შეუყვანიათ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. ცეკვა ეზიზღებოდა. ბიძამისი თურმე ოფიცრობისთვის ამზადებდა.

ვახტანგ ჭაბუკიანი თვითონ წავიდა, მაგრამ მაინც გასაკვირია, რამ წაიყვანა ლარობი დიღმელი ხელოსნის შვილი ბალეტში – ბედმა, ბედისწერამ, უზენაესმა ნებამ, სურვილმა, საღვთო შურმა. რაც

გნებავთ, დაარქვით. ფაქტია, რომ წავიდა და ბალეტი შეცვალა, ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

ოკეანის გაღმა ბალანჩინმა შექმნა ახალი ქორეოგრაფია. სად წავიდა ის მაღალი ხელოვნება, სად არის სცენა, სად არიან შემსრულებლები, სად არიან მაყურებლები...

დიდი არტისტები თუ გინდა, დიდი მაყურებლები უნდა გყავდეს. აღარც ერთია, აღარც მეორე. კრიზისია, მსოფლიო ესთეტიკური კრიზისი.

არადა, რა დრო იყო. ხელოვნების სულით ვცხოვრობდით, არტისტიზმით ვსუნთქავდით. როგორ გინდა, ეს აღწერო; როგორ გინდა, ეს გადმოსცე...

## დაკვიტა ლიფტში

დიახ, ზუსტად ასე მოხდა... ერთ-ერთი თბილისური სახლის ლიფტში შესვლას ვაპირებდი, იქიდან უცნობი ქალბატონი რომ გამობრძანდა დიდი, ნაცნობი თვალებით, შეყოვნდა: იქნებ, რამე დანეროთ ვახტანგ ჭაბუკიანზე, ეს მარტო ჩემი სურვილი არ არის, მერნმუნეთო, – მოკრძალებულად



60-იანი წლების დასაწყისია. მოსკოვშიწავანყვანიაფიშას: „ლაურენსია“ - ვახტანგ ჭაბუკიანის მონანილოებით, კრემლის ყრილობათა სასახლის სცენაზე. ეს დარბაზი, თავისი უზარმაზარი სცენით, ახალი აშენებული იყო. ნამყოფიც კი ვიყავი იქ, „დონ კარლოსი“ მქონდა მოსმენილი ზურიკო ანჯაფარაძის შესრულებით. მახსოვდა მისი გაბარიტები და იქ სრულიად წარმოუდგენლად მიმჩნა არა მხოლოდუმიკროფონოდ სიმღერა, არამედ ცეკვაიც.

ბოლოდან დავიწყებ!

დამთავრდა სპექტაკლი. მაყურებელი დიდი ხანია ფეხზე დგას და ხელისგულელებანითლებული, ხმა-ჩახლეჩილი გაჰყვირის „ბრავოს“. ჩვენ, ქართველები, მესამე რიგში ვსხედვართ და თვალზე ცრემლმომდგარნი, ამყინი, გადიდგულელებული მორცხვად ვუკრავთ ტაშს. მიახლოვდებანელში მოხრილი ქალბატონი, მარტო გარეგნობაზე არა, სურნელზეცეცხობა, რომ ბალეტომანია და მეკითხება:

- А знаете, сколько лет этому гению?
- Нет. Вицебреუ габадარულმა.
- Столькоже, сколько и мне.
- А вам сколько? - ვკითხე ახლა მე.
- Пятидесятчетыре! - დამარცვლით მეუბნება ბალეტომანი და ორკესტრის ორმოსკენ ბრავოს ძახილით მიემართება.

და რა ქარიშხლებსატრიალებს ამ ასაკის მოცეკვავე სცენაზე? აი, აქ იწყება აქტიორის ბედის ტრაგიკულობა. ამის გადმოცემა შეუძლებელია! ისევე როგორც შეუძლებელია, სრულფასოვნად აღწერო ჰაერი, ნყალი, ცეცხლიან სულაც გენია? ! სურათის აღწერას კი შეძლებ, რა თქმა უნდა.

ადაჯიოს დროს ჭაბუკიანი გამოდიოდა კულისებიდან – ამ დროს ორკესტრი დუმს – და მოდიოდა სცენის შუაგულამდე და... სადაც დგებოდა თუ არა საწყის პოზიციაში, ტაშით ინგეროდა დარბაზი. დაიწყებდა ჯადოქრობას და გამაყრუებელი სიჩუმე იდგა ... მერე პაუზა და მერე ისევ ბრავო!

მე მინახავს ლეგენდარული ნურიევი, ბარიშნიკოვი, გოდუნოვი... არავის არ მინდა გული ვატიკინო, მაგრამ ჭაბუკიანი სხვაა, უცხოხსტიქიაა, რომელსაც ვერაფერი შეედრება.

სტიქია, რომელსაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხიბლიდა მომწუსხველობა თან მიაქვს სხვა სოფელში...

## МОЛОДЕЦ!

წინა საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, რუსთაველის თეატრში სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ იდგმებოდა დიმიტრი ალექსიძის რეჟისურით. ოიდიპოსს ოთხიმემსრულებელი ჰყავდა: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარაიძე და ეროსი მანჯგალაძე. იყო შეჯიბრი, აზარტი, სიყვარული და ვერაგობა, როგორც ნამდვილ თეატრს შეჰფერის.

თითქმის ოცი წლის შემდეგ, სამოცდაათიან წლებში კი, ჩვენ შევხვდეთ სოფოკლეს ოიდიპოსს... სპექტაკლის რეჟისორი თემურ ჩხეიძე იყო, ოიდიპოსს თქვენი მონა-მორჩილი თამაშობდა.

ხორავა, ვასაძე და ზაქარაიძე უკვე მთაწმინდასა და დიდუბეში განისვენებდნენ, ეროსი კი რაც მითხრა, ახლავე მოგახსენებთ: „ბიჭო, არ გენყინოს, პრემიერაზე რომ ვერ მოვედი და ვერ ვნახე. ცუდი რომ ყოფილიყავი, ნამდვილად მეწყინებოდა. კარგად რომ გეთამაშა, მაინცდამაინც არც ის გამიხარდებოდა... მოკლედ, ეს ორი გულისტკივილი ავიცილე თავიდან!“-ო.

„ოიდიპოსის“ დეკორაცია სამსართულიანი იყო და აი, ერთ-ერთი სპექტაკლის მსვლელობისას, პირველივემოგოლოგის შემდეგ, საშინელი ხმაური გაისმა, რაღაც უზარმაზარი შემეხო, ჩამიქროლა და გამაყრუებელი ხმაურით იატაკს დაენარცხა. ინსტინქტურად ხელი თავზეავიფარე; გაბრუებულმა და დამფრთხალმა, იმ წუთშიმეტივერაფერი გავარკვიე. მხოლოდ ერთი რამ ვიცოდი, სისხლშიმქონდაგამაჯადარი – მოვალეობა ბოლომდე უნდა მომეხება და, სპექტაკლი ბოლომდე უნდა ჩამეყვანა. მოგესვენებათ, ოიდიპოსი სულ სცენაზეა, იწყებს და ამთავრებს სპექტაკლს, ჰოდა, რომ მოვმკვდარიყავი, სცენიდან ფეხს ვერ მოვიცვლიდი...

მაყურებელმა დიდი ოვაციით დაგვაჯილდოვა, მაღლობა გადავიხადე ჩემი წილი აპლოდისმენტებისთვის, კულისებში გავედი და რას ვხედავ: გაოგნებული მსახიობები დასცქერიან იატაკზე დაგდებულ 33-კილოგრამიან პროფექტორს, რომელიც თურმე სპექტაკლის დაწყებისას დეკორაციის მესამე სართულზე მდგარა უწყინრად... მერე ეტყობა, მოსწყინდა, თუ რაც იყო და ძირს გადმოშვებულა. ჯერ მეორე სართულის დეკორაციას დასცემია, მერე ნანილობრივ ჩემს თავს (მთლიანად რომ დამცემოდა, გამჭყლეტდა) და მერე იატაკს. მსახიობები ხან პროფექტორს უყურებდნენ, ხან მე...

მანამდე არაფერი მიჭირდა, მაგრამ ამხელა ცხოველის დანახვაზე გულყრის პირას მივედი. სასწრაფო გამოიძახეს და ტვინის შერყევის დიაგნოზით ორმოცი დღე ლოგინს მიმაკერეს.

საკმარისი დრო რომ გავიდა, ლოგინიდან პირდაპირ მატარებლის კუბეში გადამანვინეს და მოსკოვში გასტროლებზე მიკრეს თავი. სწორედ მაშინ გამაცნო იურა როსტმა ლეგენდარულიკარდიოქირურგი ვიაჩესლავფრანცევი.

სლავა მოსკოვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საავადმყოფოს მთავარი ქირურგი იყო. რუსული ქირურგიის ვარსკვლავი. მხოლოდ ბავშვებს უკეთებდა გულის მანკის ოპერაციებს. პატიოსანი, მართალი, უცნაური და საოცრად მომხიბლავი.

ჩვენი გაცნობა საუნაში მოხდა, ასევე რამდენიმე პროფესორის წრეში. მე ფრან-

ცევის დამარტოხელებას ვცდილობ, მისიკონსულტაციამინდა, უკეთეს ვის ვნახავ? როგორ მოვიქცე ტრავმის შემდეგ? რამდენი ხანი არ უნდა დავლიო და ა.შ. და აი, „ორთქლის ოთახში“ დავჩრით მარტონი. ტემპერატურა თითქმის ას გრადუსს აღწევს. ოფლი ღვარად გვდის. მე ნელა დავინწყე:

- ვიაჩესლავ ივანოვიჩ, ოიდიპოსს ვთამაშობდი; პირველი მონოლოგის შემდეგ პროფექტორი დამეცა თავზე, მე მაინც ვავაგრძელე მონოლოგი და სპექტაკლი ბოლომდე ვითამაშე. მას შემდეგ...

- Молодец! გამაწყვეტინასიტყვასიტყვით გაანგარიშებული მონოლოგი პროფესორმა, ოფლიანი ხელი მამარად ჩამომართვა და საუნიდან გავიდა.

მერე რესტორანში წავიდით, ნამდვილი საუბრები და მეგობრობაც მერე დაიწყო. ამ „Молодец“-ს სწორად ვიგონებდით. აინტერესებდა: როცა სცენაზე ხარ და, ვთქვათ, ოიდიპოსს ან ივანე მრისხანეს თამაშობ, მართლა გჯერა, რომ სხვა კაცი ხარ თუ რახდება შენშიო? ერთხელ კი ასეთი რამ მითხრა: თუ ყველა იმ როლს, რომელსაც აქტიორი სცენაზე განასახიერებს, გულითა და სულით ეძლევა, შეუძლებელია მან სამოც წელზე მეტი იცხოვროს! თუ ძმა ხარ, ოთხმოცი წლის დაჩანჩაკებული ბებერი არ გახდეს, თორემ შენს ნიჭიერებაში ეჭვი შემეპარებაო.

თვითონ სლავას სამოცი წლის ასაკში გაუსკდა გული.

გამონაკლისები ყველგან არიან. ოლივიემ ერთადერთმა ითამაშა მეფე ლირი იმ ასაკში, რომელშიაც მისი გმირი იყო! ■







„სარკვევ, თვალები გადააღლე, სულ აღარ მგავხარ...“

# ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი

და ჩუმად ჩემთვის ვლოცულობდი...  
შენ კი დროს ისე მიუძღოდი წინ,  
როგორც ნახირს.

– ყურთასმენა წაიღეს.  
როგორ კვიან სველ ჭალებში მიკოტები.  
წყალმა თქვა: მოსვლა არ მაცადო, თავად მოდი და  
წყალმა თქვა: მოსვლა არ მაცადო, თავად მოდი და  
შენ ისევე ზიხარ. ცხოვრებიდან გცვივა კოლტები –  
ლოდინის.

ღამის მინურულს, რომელიმე დღის გასაყართან,  
როცა მაჟორულ ნოტზე დილა ფოქსტროტს  
ასრულებს,  
გაგვახსენდება, რომ ოდესღაც ვილაც გვიყვარდა.  
გაგვახსენდება, რომ ოდესღაც მასაც...  
და სადღაც შიგნით, უმომავლო სულის საყდარში –  
სარკვეები – ჩვენს სახელებს იმეორებენ.

**პირი. გეორგი:**

ჩვენ სიყვარული დაგვაბრალეს.  
ჩვენ არ გვიყვარდა.  
ერთმანეთის ხელები შემოგვხვდით და  
ხელოვნურად ვსუნთქავდით ჟანგბადს.  
დაბადებიდან შეგვიძლია ვიყოთ დიდები,  
ჩვენი ბავშვობა  
ბაჯალლოს სქელ რგოლებში ვჟანგოთ.  
ჩვენ ვერ ვისწავლეთ.  
ვერაფერი ჩვენ ვერ ვისწავლეთ.  
და იყო „როდის“, და იყო „მაგრამ“, და იყო „თუმცა“,  
გვინდოდა „მუდამ“.  
ჩვენ ვერასოდეს გვეყვარება, როგორც ვუნდოდით,  
და ვერასოდეს ვეყვარებით, როგორც ჩვენ გვსურდა.  
და, როცა გვიყვარს,  
მერე ვხედავთ.  
მერე შეხება  
იგრძელდება ხელებს და საბანქევმ სიძულვილს  
მაღავს,  
და უჟანგბადოდ აგვიტყდება როცა ხველებს,  
და ერთმანეთის სიძულვილით ვიღლებით როცა,  
ჩვენ დროს ვიცვლივთ.  
სხეულიდან ვშლით ჩვენს საათებს.  
როგორც ქვიშაში თამაშისას, ისე გვრჩება  
ფრჩხილებში ჭუჭყი,  
და ჩვენ ვერავინ გვეხმარება, როცა გვჭირდება.  
და ჩვენც ვერავის ვეხმარებით, როცა მათ უჭირთ.

**და ახლა ჩვენ ვთქვით:**

რომელმან კაცთა,  
ყოველთა კაცთა და მთელ მის ნაშიერთ მოგვაგე  
პური,  
და პური, და წყალი, და ღვინო,  
და ჩვენ კი მაინც მოუხნავს ცელაპავდით ბელტებს  
იმ ცისას, იმ ზღვისას, იმ მთისას  
და ქალაქში ვეძებდით დამჭკნარ სამყურებს,  
იმ ცაში, იმ ზღვაში, იმ მთაში რომ ვძირკვეთ  
და მაინც ზევიდან დავეყურებთ  
სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცოცხლობთ და  
კვდებით,  
და რომელშიც ვივსებით ცოდვით,  
სამყაროს, რომელშიც ვსუნთქავთ, და გვიჭირს,  
და უპაერო სივრცეებს ვგავართ.  
რად არ ჩანდით, ხომ გითხარი, ბოლოს რომ ავხვდი,  
კუბოში მენვა დედამინა. ტიროდა სახლი.  
და უარყოფას ან არყოფნას ვითხოვდი. გთხოვდი,  
და უარყოფად ან არყოფნად ქალაქში ვთოვდი.  
და მოვდიოდი ისევე ისე მოხრილი წელში,  
დასასრულიდან ვინყებდი და საწყისად გწერდი.  
რად არ ჩანდით, ჩამომხედე, წითელი ზონა  
დროს იფართოვებს, მე გადაღმა კაბას ვიზომავ,  
იქ, სადაც ვინმე გაამართლებს სიშორის მიზეზს,  
სადაც მინიდან უცნაური თვალებით მიმზერ –  
მე გეუბნები:  
– გადავშენდი, აქ ველარ მოვალ.

– ყველაფერი გაიღეს.  
ალარაფერი დარჩათ უკვე ჩემთვის სათქმელი.  
წყალმა თქვა: მოსვლა დამაცადე, თავად მოვალ და  
წყალმა თქვა: მოსვლა დამაცადე, თავად მოვალ და  
შენ უკვე ტანით დიდ მდინარეს მიადგაფუნებ  
– ცხოვრების.

დღის დასასრულში, რომელიმე ღამის არყოფნას  
საკუთარ თავში სინანულით რომ დავიმძიმებთ,  
და როცა ციფრი ცხოვრებაზე არ გაიყოფა  
და როცა აბი არ გვჭირდება მისთვის საძილედ.  
ჩამობნელდება იმ ზღაპარში, სადაც ნაყოფი  
ვკრიფთ სიზმრების.  
სარკვეებიც დაგვივინყებენ.

**პირი. მესამე:**

ჩვენ სიძულვილი დაგვაბრალეს.  
არავინ გვძულდა.  
ბრძოლის ველზე ხბორებივით გაგვრეკეს და  
ერთმანეთის გაგვაძლეს ხორციით.  
ჩვენ ერთმანეთი შევითავსეთ, ისიც ხანდახან,  
და, როცა გვიყვარს, მაშინაც კი ერთმანეთს ვცოცავთ.  
ჩვენ მარტოობა დაგვაბრალეს.  
ჩვენ მარტო არ ვართ.  
უსინათლო თვალები ავციხვივს,  
რომ გადარჩენა გვეპოვა კენტად.  
ჩვენ ვერასოდეს გამოვალწვეთ შენი მუცლიდან,  
ვერც ვერასოდეს შევსახლდებით ამაზე მეტად.  
სიჩუმე მოდის.  
ჩვენ არ ვფხიზლობთ და გვეჩვენება,  
რომ ეს სამყარო მზის გადმოსწვრივ ჩავარდა ჭაში  
და, როცა ფიქრებს სამშვიდობოს ჩუმად გავხიზნავთ,  
როცა თვალეში გუბებები დაშრება, მაშინ  
– ჩვენ გავიღვიძებთ.  
ცხოვრებაში გაგვეღვიძება.  
და ისევე ისე გავაგრძელებთ დარდას და გმინვას.  
აღამიანებს არ ელიან, როცა მიდიან.  
აღამიანებს იქ ხვდებიან, სადაც ჩვენ მივალთ.

**და ვთქვით:**

რომელმან შექმენ სამყარო და  
რომელმან შეგვქმენ ჩვენ და რომელსაც გკლავდით,  
ყოველდღე გკლავდით და გძირკვავდით  
და სტომაქებს ვივსებდით სისხლით.  
რომელსაც შიშველს, ხან გასანთლულს, ხან  
დალენილს –  
გიშვერდით მკლავებს  
და მერე სუფთას, ხან გასანთლულს, ხან სისხლიან  
სუღარებს ვხევედით  
და შენ, რომელმან შეგვქმენ ჩვენ  
და შენად და ჩვენად და მსგავსად და ხატად  
და ჩვენ, რომლებსაც გვასწავლეს  
სისხლი და ომი და ზიზლი და კარგვა –  
პირისპირ ვდგავართ.  
ჩვენ ყველაფერი დაგვაბრალეს.  
ჩვენ უბრალოდ გამოგვიგონეს.  
და ყოველდღე ერთმანეთს ვკარგავთ.  
ჩვენ არაფერი გაგვაჩნია, გარდა ხმელეთის,  
მოშიებულის, წყალნაკლული ხმელეთის გარდა.  
– სამშვიდობოს იძინეთ.  
გალვიძებამდე ზამთარია გადასავლელი.  
წყალმა თქვა: წყალზე თუ ჩამოხვალ, ფეხებს  
დაგბან და  
წყალმა თქვა: წყალზე თუ ჩამოხვალ, ფეხებს  
დაგბან და  
შენ უკვე წევხარ. გაღვიძებას უკვე არც ელი –  
ინყები.

გამიმეორე – უნდა ავიხდე.  
თვალი დავხუჭო,  
სიზმარით გამოგეცხადო  
იქ, სადაც უკვე სიზმარია ეს ყველაფერი  
და სადაც, იქნებ,  
არასოდეს დაგვაღებულვართ.

დღის შუაღელში, წუთის თუნდაც მეათასედში,  
საკუთარ თავებს პატიებას თუ შევპირდებით,  
დრო უმიზეზო სტუმარივით დაგვათენდება,  
უკანასკნელად შევიყვარებთ, თითქოს პირველად  
რაც იყო, უკვე აღარ გვახსოვს. და თვალებიდან  
სარკვეები გვპარავენ დუმილს.

**პირი. პირველი:**

ჩვენ დაბადება დაგვაბრალეს.  
ჩვენ გაგვაჩინეს.  
ჟანგინი ონკანებიდან გამოგვიშვეს და  
მდინარეები ჩარეცხეს ჩვენი.  
ჩვენ რა ხანია ფერად სიზმრებს აღარ ვნახულობთ  
და ცხადშიც ჩვენს ნილ გადარჩენას  
საფლავში ვმღერით.  
ჩვენ არ ვარსებობთ.  
ჩვენ საღათას ძილში ვიზრდებით.  
ტანზე შემოკრულ ბედისწერას  
ხელისკანკალით ვუმზადებთ აკვანს.  
და არაფერი გაგვაჩნია, გარდა ხმელეთის,  
მოშიებულის, წყალნაკლული ხმელეთის გარდა.  
იქ, სადაც ვცოცხლობთ.  
სადაც ვკვდებით.  
სადაც ყოველდღე  
გვცოცხავს ეს ჩვენი დაბადება და საბანს ვიხდით,  
და, როცა თვალში მთვარის შუქი შემოგვაკლდება,  
თითქოს ქუთუთო გადმოკეცეს სამპირად, მაშინ  
ჩვენ დავიძინებთ.  
ჩვენ სიზმარში გაგვეღვიძება.  
წამოწეული მდედარივით ჩვენც გვამებს შევჭამთ და  
დავხრავთ.  
ჩვენ აღარაფრის გვემინია, როცა ვმარცხდებით,  
და არ ვმარცხდებით, როცა შიში საფლავში გვახლავს.

**და გაშინ ჩვენ ვთქვით:**

რომელმან შექმენ სამყარო,  
და რომელმან შეგვქმენ ჩვენ, და რომელმან მთელი  
კაცობრიობა მოაქციე მზებებით საგვე ვარცლში,  
და დაარქვი ყანა.  
რომელმან თესე დედაკაცი,  
მამაკაცს თივა გაუხადე ზურგით სათრევი  
და თავთავები მოგვინი,  
და ხან მნიფე, და ხან მკვახეა ჩვენი ქვეყანა,  
რომელშიც ჩვენი გასაჭირი,  
გასაჭირი, რომელიც რძესავით დუღდა.  
ობლის კვერი კი ხან ცხვებოდა,  
ხან პირიქით – გამოუმცხვარს ცელაპავდით დღეებს.  
რად არ ჩანდით, უნდა გითხრა, რამდენჯერ „ქალაქს“  
სავაჭროდ მოველ, ნავაჭრი კი ისევე ვერ გამაქვს  
უკან და გზაზე ამოუსვლელ ჩემივე მზებებს  
ვიღამებ, გარეთ ქარია და სიჩუმეს ზვერავს.  
სასაფლაოდან ამოთხრილი ჩემივე გვამი  
ჩემივე სიკვდილს გახლენილი ვამღივით ჰგავდეს,  
ერთხელ ხომ მაინც მიყვარდი და  
ერთხელ ხომ მწამდი.  
რად არ ჩანდით, ჯერ არ მითქვამს, ბოლოს  
რომ მნახე,  
რა ფერის იყო გაზაფხული, დაჭორფლილ სახის  
ასარიდებლად განაპირა უბნებში სახლებს  
გამოეტანათ თვალეები და ლოცვისთვის დათხრილს  
ძლივს მოვათრევი საუკუნის წინ ჩაყრილ ვენახს



(წიგნი I)

ვინაც ოდესღაც ლექსებს ვერდი აღმაფრენის უამს, იძულებული ახლა სევდის საგალობელს ვქმნი. და, აჰა, კვლავაც მკარნახობენ სათქმელს მუხებზე და სახეს ცრემლით მინამავენ ელვები. ვერარა შიმშია აიძულა, დამშორებოდნენ, არ მიმატოვეს მარტოული ჩემს სავალ გზაზე. ახალგაზრდობას დიდებით რომ აცისკროვნებდნენ, ახლა მოხუცის მნუხარე ბედს სალბუნს ადებენ, ჭირთა სიმრავლემ დააჩქარა სიბერის მოსვლა, ტანჯვამ იხედა სამუდამოდ მასთან დარჩენა. თავზე უდროოდ დაივანა სპეტაკმა ფერმა და ძაბუნ ხეულს დაეკიდა დამჭკნარი კანი, საამო არის აღსასრული არა ღვინის უამს, არამედ მაშინ, როცა ვუხმობთ დამწუხრებულს. თუმცა სმენას იხმობს, არად აგდებს სიკვდილი თხოვნას, ცივად უარობს, დაუხუჭოს ბედკრულთ თვალები... როცა ფორტუნა ფუჭი ძღვენიტ მანებივრება, მაშინ ჩემს თავზე ავებედილი ჩამოვდა უამი, მაცდურმა ბედმა, ვით ღრუბელმა, იცვალა სახე. ცხოვრება მიდის უთიმღამოდ, სვენებ-სვენებით. ძმებო, ბედნიერს რად მეძახდით, რატომ მაქებდით? ვინაც დაეცა, არასოდეს მყარად არ მდგარა.

იმ დროს, როცა საკუთარ თავთან დარჩენილი, მდუგარე, ფიქრებში ჩაძირული კალამს ვანდობდი ცრემლიან სამდურავს, ვიხილე ქალი, თავს რომ მადგა, სახეზე კედებით, მზერააგვიხილავდა, არამინიერი სხივების მფრქვეველი თვალებით, საიდანაც ცინცხალი ფერი და ულვევი ენერგია იღვრებოდა. იგი იმდენად იყო დახუნძლული უამთა სიმრავლით, რომ ვერ ვიფიქრებდი თუ ჩვენს ეპოქას ეკუთვნოდა. ისეთი უცნაური ზომისა იყო, რომ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ადამიანის აღნაგობა ჰქონდა, მეორე მხრივ კი, თავს ცას უწვდებოდა. და, თუ უფრო მალა ასწევდა თავს, შეიჭრებოდა ცის თავანში და მაცქერალთა თვალთახედვიდან უჩინარდებოდა. მისი სამოსი ოსტატურად იყო ნაქსოვი ფაფუკი ძაფით, დაურღვეველ ქსოვილად ქცეული, რომელიც, როგორც მოგვიანებით გავიგე, თვითონვე დაუქსელავს. სამოსის იერი, როგორც კვამლით დაბურული ნიღბები, დაეინყებას მიცემული სიძველის ნისლით დაფარულიყო. კაბის ბოლოზე ამოქარგა ბერძნული ასო π, ხოლო, ზედა ნაწილზე Θ<sup>1</sup> განიჩეოდა. მათ შორის თითქოს ილანდებოდა კიბის საფეხურები, რომლებიც ქვედა ასოს ზედასთან აკავშირებდა. ეს სამოსი გამძვინვარებულ მავანთა ხელებს დაუფლებითა და ნაკუნ-ნაკუნ მიუსაკუთრებიათ. მას კი მარჯვენა ხელით წიგნები ეპყრა, ხოლო მარცხენათი კვერთხი.

როცა იხილა ჩემს სამყოფელში პოეზიის მუხები, რომლებიც ჩემს ცრემლებს სიტყვებდა გარდაქმნიდნენ, ცოტა არ იყოს, აღშფოთდა, თვალები რისხვით აენთო და თქვა: ვინ დართო ამ ავხორც ტაკიმასხარებს ავადმყოფთან მისვლის ნება? ისინი ხომ განკურნების ნაცვლად მის სნეულებას ტკბილი სანამლაავით ასაზრდოებენ. სწორედ ისინი არიან, გონების ნაყოფიერ ნიადაგს გრძობთათა უნაყოფო ეკლებით რომ სპობენ და ადამიანს სნეულებას აჩვენებენ მისგან გათავისუფლების ნაცვლად. თუკი მათი აღერსი ვინმე უბირს გაიტაცებდა, როგორც ჩვევითა, საკლებად ვიძარებდები, რადგან ჩემი ძაღლისხმევა მასში, ცხადია, არ დაზარალდებოდა, მაგრამ ეს ადამიანი ხომ ელვატელთა<sup>2</sup> და აკადემიელთა<sup>3</sup> სწავლებებზეა აღზრდილი? მოშორდით აქედან, მაცდურად დამლუპველო სირინოზებო! დაუთმეთ იგი ჩემულ მუხებს, რათა იზრუნონ მასზე და განკურნონ. ამ საყვედურების შემდეგ სირცხვილისგან განითლვებულმა, დამარცხებასთან შეგუებულმა მუხათა თვდახრილმა დასმა დამწუხრებულმა დატოვა ჩემი სამყოფელი. მე, ცრემლებით თვალმონისლულმა, ვერ შევიძელი, მეცნო ის ქალი, რომელიც ესოდენ დიდ ძალაუფლებას ფლობდა. გაოცებული, თვალდახრილი მდუმარედ ველოდი, რა მოხდებოდა შემდგომ. მაშინ ის უფრო ახლოს მოვიდა და ჩემი სანოლის კიდზე ჩამოჯდა. შემომხედა დარდიანსა და მწუხარებით თავჩაქინდრულს და ლექსებით გამკიცხა იმისთვის, რომ ჩემი სული შფოთვას მოეცვა:

ეჰ, როგორ ჩლუნდებდა მოკვდავი არსების უფსკრულის ნიაღში ჩანთქმული გონება, მას ტოვებს სინათლე, ნყვირად ითრევინ ამქვეყნიური და შავბნელი ძალები ამო ზრუნვათა, ასე რომ მძლავრობენ.

რომაელი მწერალი, ფილოსოფოსი და მეცნიერი, „უკანასკნელ რომაელად“ ნოდებული ანიკიუს მანლიუს ტორკვატუს სევრინუს ბოეთიუსი მოღვაწეობდა გვიან ანტიკურობისა და შუა საუკუნეთა მიჯნაზე (დაახლოებით 475-524 წწ.). დაიბადა ანიკიუსთა წარჩინებულ ოჯახში. ახალგაზრდობაშივე მიაღწია წარმატებას – ჯერ კონსული გახდა, შემდეგ *Magister officium* (ანუ ყველა საკარო და სახელმწიფო სამსახურის უფროსი), ბოეთიუსი აღმოსავლეთ გოთების მეფე თეოდორიკოსთან დაახლოებული პირი იყო, თუმცა მეფემ იგი ლაღატმი დაადანაშაულა და სიკვდილი მიუსჯა. ახ.წ. 524 წელს განაჩენი აღასრულეს.

სასჯელის მომლოდინე, საკანში დატყვევებულმა ბოეთიუსმა დაწერა უმნიშვნელოვანესი თხზულება „ფილოსოფიის ნუგეში“, რომელიც მიჩნეულია მისი შემოქმედების მწვერვალად. თხზულება დაწერილია

პროზისა და პოეზიის მონაცვლეობით – ე.წ. *satura Menippeae* სტილით, შედგება ხუთი წიგნისგან და ფილოსოფიის პრინციპზეა აგებული. ნაწარმოებში ერთმანეთს ესაუბრებიან ბოეთიუსი და ქალად პერსონიფიცირებული „ფილოსოფია“. იგი ანუგეშებს დატყვევებულ ბოეთიუსს და ამქვეყნიური სიტუაციის წარმავლობას უჩვენებს. ნაწარმოების ღერძია მსჯელობა ნების თავისუფლებისა და ღვთიური ყოვლისმჭვრეტელობის შესახებ, რომელიც რთულ ლოგიკურ ჯაჭვზეა აგებული. აზროვნების ისტორიაში ეს უმნიშვნელოვანესი თხზულება ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება.

მთარგმნელი მადლობას უხდის კლასიკური ფილოლოგიის დოქტორს, ქალბატონ ნანა ტონიას განუული დახმარებისთვის.

# ფილოსოფიის ნუგეში

ბოეთიუსი

ვისაც თავისუფლად ჩვეოდა ზეცაზე მნათობთა წრებრუნვას რომ გადავხედავდა,

ვისაც მოვარდისფრო მზის სხივებს უჭვრეტდა, მთვარის ცივ ნათებას მზერას მიაპყრობდა, ის აკვირდებოდა ცდომილთა ხეტილას და მათი ორბიტა უწყოდა მრავალი, ის, ძღვევამოსილი, რიცხვებს შეიცნობდა და იმ მიზეზებსაც, რომლებიც წარმოშობს ქარიშხლებს, მშვიდ ზღვას რომ ზათით აღელვებენ. რა ძალა წარმართავს სამყაროს სიმტკიცეს, ოდეს ჰესპეროსი<sup>4</sup> ეშვება ტალღებში, აღმოსავლეთიდან კვლავ რატომ ამოდის, გაზაფხულს დროის რა კანონებს უწესებს, მინა რომ მოჩითოს ვარდისფერ კოკრებით, ვინ გვაძლევს სიუხვით აღსავსე წელიწადს, რომ მძიმე მტყენებით მორთოს შემოდგომა? ჩვეული ვინც იყო ჩხრეკას იდუმალის, ვინც ჩასწვდა ბუნების მიზეზებს მრავალგვარს, ახლა ძირს განრთხმულა გონისგან დაცლილი, კისრად შემორკალულ ჯაჭვების სიმძიმით დადის მოდრეკილი, მძიმედ თავდახრილი და, მინას უტკიროს, იძულებულია.

– მაგრამ, – განაგრძო მან, – ახლა მკურნალობის დრო უფროა, ვიდრე წუნუნის. – მაშინ მზერა მთლიანად მე მომაპყრო და თქვა: – შენ ის არა ხარ, ვისაც განოვე ძუ-ძუ და გამოგვკვებ, სულიერად მონიფული და მხნე რომ გამხდარიყავი? ხომ გადმოგეცი ისეთი იარაღი, რომლის დახმარებითაც შეძლებდი ურყევი სიმტკიცის შენარჩუნებას, ნაადრევად რომ არ მოგემორებინა თავიდან. ნუთუ ვერა მცნობ, რატომ ხარ ჩუმად? იქნებ, სირცხვილმა დაგადუმა ან გაოცებამ? სირცხვილს ვარჩევდი, მაგრამ შენ, როგორც ვხედავ, გაოცებას შეუპყრიხარ. – და, როდესაც იხილა, რომ არა მარტო ვდუმდი, არამედ მეტყველების უნარი სრულიად ნაშენთვა, მკერდზე აღერსიანად შემახო ხელი და თქვა: – საშოში არაფერია, ტანჯავს ლეთარგია – შემცდარი გონებისთვის ჩვეული სენი. მცირე ხნით დაივინყა, ვინ არის, მაგრამ უთუოდ გაიხსენებს, თუკი მეც მიცნობს მანამ. ხოლო, ეს რომ შეძლოს, მოდი, ცოტათი გადავწმინდოთ ყოფითი საზრუნავის ბურუსით დაბინდული მზერა. – ეს თქვა და ტანსაცმლის კალთის ნაკეცით ჩემი ცრემლიანი თვალები ამოაშრო.

როდესაც ღამე გაიფანტა, ბინდი განქარდა სიცოცხლის სხივი დაუბრუნდა თვალებს ჩვეული. ასეა, როცა დაუბერავს სწრაფი კორუსი<sup>5</sup> საავდრო ღრუბლებს ცის ტატნობზე როდესაც შეყრის. მზე რომ იმალის, დროც არ არის ვარსკვლავთ კიაფის, ხოლო მალდიდან მინისაკენ მოინევს ბინდი. მაგრამ, თუ დათმობს ბორეას<sup>6</sup> თრაკიის მღვიმეს, გამოიქროლებს და ნათელ დღეს ბორკილებს აპყრის, მაშინ ფეხსიცი<sup>7</sup> უცაბედად გამოაჩინებს და გაოცებული თვალებს მოგვჭრის სხვითა კონებით.

სწორედ ამგვარად გაიფანტა სევდის ღრუბლები, ზეცა ვიხილე და ჩემი მკურნალობის სახის ამოსაცნობად გონება მოვიკრიბე. როდესაც თვალი შევემართე და მზერა მივაპყარი, ვიცანი ჩემი ძიძა – ფილოსოფია, რომლის საფარველქვეშ ვიყავი სიყრმედან. შევეკითხე: – ყოველ სათნოებათა მოძღვარო, რატომ დაემევი ზეციდან დევნილი ადამიანის ამ უულ სამყოფელში? ჩემსავით შენც ხომ არა ხარ ცრუ ბრალდებებით დასჯილი? მან მიპასუხა: – ჩემო აღზრდილო, განა მიგატოვებდი და არ ვიკისრებდი შენთან ერთად ამ ტვირთს, ჩემი სახელის მოძულეთაგან რომ გერგო. ფილოსოფია ხომ არასოდეს მისცემდა თავს უფლებას, უდანაშაულო ადამიანი გზაზე უწინამძღვროდ მიეტოვებინა. განა შევუშინდებოდი ბრალდებებს, რომლებიც ვითომც ახალი საშიშროებაა ჩემთვის. ნუთუ გეგონა, რომ სიბრძნე პირველად არის ჩავარდნილი საფრთხეში უზნეობის გამო. განა ძველ დროში, პლატონამდ, ხშირად არ გავვიმარათავს დიდი ბრძოლები სისულელესა და უგუნურებასთან. მართალია, პლატონი გადარჩა, ხოლო მისმა მასწავლებელმა სოკრატემ კი უსამართლო სიკვდილზე ჩემი თანადგო-

მით გაიმარჯვა. შემდგომში, როცა ეპიკურელთა და სტიქოსთა<sup>8</sup> ბრბომ და სხვებმაც მათმა მსგავსებმა სცადეს მისი მეგვიდრეობის ხელში ჩაგდება, ჩემი აღშფოთებისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, მეც ნამათრიეს, თითქოს მათი ნადავლი ვყოფილიყავი. სამოსი, რომელიც საკუთარი ხელით მოვიქსოვე, დახიეს, ნაკუნ-ნაკუნ დაიტაცეს და წავიდნენ იმ რწმენით, რომ სრულად დამისაკუთრეს. და, რადგან ჩემი სიცოცხლის კვალი მათთანაც შეინიხებოდა, უმცერების გამო ისინიც ჩემს ახლობლებად მიიჩნიეს. მრავალი მათგანი შეცდომით ბრბოს უმცერებამ დაზარალა. თუ არაფერი გსმენია ანაქსაგორასის<sup>9</sup> დევნის შესახებ, არც სოკრატეს მიერ შესმულ შხამზე, არც ძენონის<sup>10</sup> ნამებაზე, რადგან ყველა მათგანი უცხოტომელი იყო, გავიანილი გექნება კანიუსის<sup>11</sup>, სენეკას<sup>12</sup> და სორანუსის<sup>13</sup> შესახებ, რომელთა ამბავი ცნობილია და არც ისე დიდი ხნისაა. ისინი დალუპა არ სხვა რამემ, არამედ იმან, რომ ჩემი წესებით იყვნენ აღზრდილი და სხვა უზნეო ადამიანებისგან გამოიჩნებოდნენ. ასე რომ, არაფერია გასაკვირი, თუ ცხოვრების ზღვაში ქარიშხლები ყველა მხრიდან გვიტყვენ ჩვენ, რომელთა უპირველესი მიზანი უღირსთა განბილებაა. მათი ლაშქარი თუმცა კი მრავალრიცხოვანია, მაგრამ ზიზღს იმსახურებს, რადგან უწინამძღვროა, მხოლოდ ალალებდზე მოქმედებს დაბნეული და გონდაკარგული. თუკი იგი, ჩვენ წინააღმდეგ მებრძოლი, უფრო მეტად შეგავავნოვებს, მაშინ ჩვენი წინამძღოლი მთელ ძალებს ციტადელში მოუყრის თავს, სანამ მტერი გართულია ამო ფასეულობათა დატაცებით. ჩვენ ღმილით შევცქერით, როგორ იხვეჭენ მთელ იმ უფასურ ნივთებს და მძვინვარე აურზაურისგან თავისუფალი, დაცული ვართ იმ ზღუდით, რომელთა მიახლოებას უგუნურება ვერც კი გაბედავს.

1. π და θ – ძველბერძნული სიტყვების საწყისი ასოებია და გამოხატავს ფილოსოფიის ორ ნაირსახეობას – პრაქტიკულსა და თეორიულს.
2. ელვატელები – ძვ.წ. V-VI საუკუნეში ძველი ბერძნული ფილოსოფიური სკოლა, რომელიც ჩამოყალიბდა ქალაქ ელვაში (სამხრ. იტალია), ახასიათებდა იდეალისტური ტენდენციები.
3. აკადემიელები – მოაზროვნეები, რომლებიც ძვ.წ. IV საუკუნეში პლატონის მიერ აკადემიისის ქალაქში დაარსებული ფილოსოფიური სკოლის მიმდევრები იყვნენ.
4. ჰესპეროსი – მწუხრის ვარსკვლავი.
5. კორუსი – ჩრდილო-დასავლეთის ქარი.
6. ბორეასი – ჩრდილოეთის ქარი; მითის მიხედვით, მისი მუდმივი სამყოფელი იყო თრაკია.
7. ფეხსი – იგულისხმება მზე.
8. ეპიკურეიზმი და სტიქოციზმი – ფილოსოფიური მოძღვრებები, რომლებიც აღმოცენდა ელინიზმის ხანაში, სოკრატეს მოღვაწეობიდან 1 საუკუნის შემდეგ.
9. ანაქსაგორასი – (ძვ.წ. 500-428 წწ.) ბერძენი ფილოსოფოსი. ბრალი დასდეს უღმერთობაში და სიკვდილი მიუსჯეს, მაგრამ თავს გაქცევით უშველა.
10. ძენონი – ელველი ფილოსოფოსი. წამებისას მის მიერ გამოჩენილი სიმტკიცე ფართოდ იყო ცნობილი, მაგრამ სხვადასხვა ვერსიებიდან გამომდინარე, განსხვავებულია მისი დამსჯელის ვინაობა.
11. კანიუსი – სტიქოციზმი ფილოსოფოსი, რომელიც ახ.წ. I საუკუნეში მოღვაწეობდა. სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა იმპერატორმა კალიგულამ, მან კი სასჯელი მამაცურად აიტანა.
12. სენეკა (უმცროსი) – რომაული სტიქოციზმის გამორჩეული წარმომადგენელი, რომის იმპერატორის – ნერონის აღზრდელი, რომლის ბრძანებითაც იძულებული გახდა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა.
13. სორანუსი – რომელიც სტიქოციზმი, ფილოსოფოსი. სენეკას მსგავსად, ისიც ნერონის ცრუ ბრალდებებს ემსხვერპლა.

ლათინურიდან თარგმნა გვანცა ფოფხაძე

# ანთონისკოყრი სიყვარული

მიომ ტატანაშვილი

ქვა დამრეცი იყო. კლდისგან მოშორებით იდგა უძრავად. სადამდეც ადამიანის ხელი მიწვდებოდა, წარწერებით მოეხატათ... უამრავი სახელი და თარიღი იყო მიწერილი. ქვემოდან ავხედე ცერად, გაუღიმე – ამ ქვასაც ჩაველაპარაკებოდი – გავიფიქრე და ფოსო მოვუსინჯე. დრმა იყო და გამოდგებოდა საყრდენად... ჩავეჭიდე, ახლა ფეხი შევდგი... მარტივი ასასვლელი აღმოჩნდა... ზემოდანაც არაფერი საინტერესო... მალევე მომწყინდა და ჩამოვედი.

დიდი ხანი იქნება, რაც ქვის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამიჩნდა. ბავშვობაში დამაინტერესა და მომწუსსა კლდის ნაფლეთებმა – ასე ამაყად რომ მიყურებდნენ ზემოდან. მათზე ასვლის დაუსრულებელი წყურვილი მქონდა.

ყველა გამორჩეულია რაღაცით და მაშინვე ვინტერესდები, რამდენად რთული ასასვლელი იქნება. სულ ამკვირდა, როგორ ვერ ამჩნევდნენ ან არ აქცევდნენ ყურადღებას სხვები ასეთ სილამაზეს.

დასვენების დღეს ყოველთვის გავდივარ წინასწარ შეგულებულ ქვასთან. ნელ-ნელა, შიშველი ხელებით მივცოცავ და, როცა მის ზემოთ აღმოვჩნდები, სიამაყით სავესე და მშვიდი ვბრუნდები სახლში...

თითქმის არც ერთ ქვაზე არ გამჭირვებია ასვლა, ერთი რთული შემთხვევის გარდა.

პირველად რამდენიმე წლის წინათ დავინახე. თავისთვის მიყუჟულიყო კლდის განაპირას. მის გარდა უამრავი სხვადასხვა ზომის ქვა იყო გარშემო. მაგ-

რამ მან მაშინვე მიიქცია ყურადღება. იდგა და შემომყურებდა – საოცრად სევდიანი და ლამაზი.

მისი შემხედვარე ვხვდებოდი, რომ ეს არა მხოლოდ გატაცება – უფრო ცხოვრების გამოწვევა იყო.

– შენ ჩემი იქნები-მეთქი - ჩავეუკარი თვალი და გამოვბრუნდი..

როგორც კი თავისუფალი დრო გამომიჩნდა, მივაკითხე და დავათვალიერე. პირველად, შორიდან რომ შევხედე, პატარა და მარტივი მეჩვენა. სინამდვილეში, ლამის კლდე აღმოჩნდა – მიუკარებელი და საღი.

დასაწყისში საყრდენიც არ გააჩნდა, რომ სხეული როგორმე ცოტა ზემოთ ამეზიდა. ამიტომ ყველა კუთხიდან ვათვალიერებდი. უცნაურობა მაშინ შევეამჩნიე, როცა მზემ დააჭირა და ქვას შემოვუარე. ჩრდილის მხარეს მინდოდა დადგომა, მას კი ჩრდილი არ აღმოაჩნდა. თან ხავსი საერთოდ არ მოჰკიდებოდა და ამან გამაოცა. მზის სხივებს ისე ირეკლავდა, თვითონაც მუხსავით ანათებდა გარშემო ყველაფერს.

იმ დღესაც არაფერი გამომივიდა.

მოუთმენლად ველოდი შემდეგ დასვენების დღეს, რომ ისევ მეჩნება. სულ მასზე ვფიქრობდი ძალაუნებურად. თანდათან მივხვდი, რომ მისი დამარცხება ჩემს შესაძლებლობებს აჭარბებდა. თითქოს სხვადასხვა პოლუსზე ვიყავით, ძალიან შორს ერთმანეთისგან.

მოსამზადებელი დრო მივეცი თავს და პარალელურად ქვის ნახვის საშუალებას

არ ვუშვებდი ხელიდან. ვარჯიში რთული იყო და იმედგაცრუებაც გულს მიღრღნიდა. მუდმივად მჭიდვებოდა ძალების მოსინჯვა და რამდენჯერმე ისევე მივაღექი. მოვავლე ხელი და ვცადე, შემემაგრებინა ზედ სხეული. თავი ვერ დავიმორჩილე და ფრთამოტიხილი ჩიტვით დავვეშვი დაბლა.

ის ამაყად იყურებოდა და არც აპირებდა რაიმეს შეცვლას. მოსწონდა თავისი მიუწვდომლობა.

რაღაც დროის მერე იმდენი შევქელი, რომ ორ მეტრამდე ავედი, მაგრამ მეტის საშუალებას თვითონ აღარ მაძლევდა.

მზადებას ისევ განვაგრძობდი. გარშემო აღარავისთვის მეცალა... თუ ვინმე მომიხელთებდა სასაუბროდ, მასაც ჩემს ქვაზე ველაპარაკებოდი. ყველა მირჩევდა, თავიდან ამოვიდე... ბოლოს გიყად ჩამთვალეს და შემეშვნენ. მე კი ისევ ვფიქრობდი გამუდმებით. მაინტერესებდა, აქამდე რატომ ვერ ვიპოვებ ან ახლა რატომ აღარ მიშვებდა თავისთან უფრო ახლოს.

ქვა იმავე სევდიანი გამომეტყველებით იდგა და ვერც წარმოვიდგინა, რამხელა მნიშვნელობა შეიძინა ჩემთვის...

მიუწვდომელი და იღუმალი გახდა. იღუმალება კი მიმზიდველია და მისი მიზიდულობის გამო ქვის ახლომდებარე კარავიც კი მოვანყვე და ყველა თავისუფალ დღეს მის გვერდით ვატარებდი, როგორმე უფრო მეტი რომ შევეტყო მასზე...

ერთხელ ისევ ჩვეულებრივ მივედი. მივესალმე, შემოვუარე გარშემო და სახეტად დავრჩი. იმ ორი მეტრის ზემოთ, სა-



დამდეც აისვლებოდა, გლუვ და მოპრიალებულ ადგილებში ახლა შეუმჩნეველი ბზარები გასჩენოდა. თითქოს გამიგო და საშუალება მომცა, მივწვდომოდი.

ახლა ერთად ვართ, ძალიან ახლოს. ვერც წარმოვიდგენია, ცხოვრება გავაგრძელო და ის არ იყოს ამ სამყაროში. მაგის მეტი რა არისო ქვეყანაზე – მეუბნებიან ახლობლები. მე მწყინს. მერედა რა, რომ განსხვავებულია და სხვა ქვეს არაფრით ჰგავს... მე ის ვიპოვე.

## გაცემოვრები თრინველოები

ბაქანი, რომელიც მხოლოდ ორგანო-ყოფილებიანი, დაბალი მოსაცდელით გამოირჩეოდა რკინიგზის სხვა ნაწილისგან, სრულიად ცარიელი დამხვდა. მატარებლის ამ გაჩერებაზე ხალხი იშვიათად არის ხოლმე. სოფლიდან საკმაოდ შორს არის. ალბათ, ამიტომაც, მატარებლები იშვიათად ჩერდებიან ხოლმე აქ. სწორედ ამ იშვიათ მატარებელს ველოდები საკუთარ ბარგზე ჩამომჯდარი და ვფიქრობ გატარებულ არდადეგებზე.

ვიცი, დაახლოებით ორი საათი მომიწევს ლოდინი. ალბათ, უკვე შეგუებულიც უნდა ვიყო ამ ამბავს. მაგრამ ლოდინი ყველაზე სასტიკი სასჯელად მიმაჩნია და ვცდილობ, დრო როგორმე ისე გავიყვანო, რომ არ მომბეზრდეს აქ დგომა. არადა, ავდგები, დავინყებ წინ და უკან სვირნობას... მატარებელშიც ისევ ფეხზე მომიწევს დგომა და ჯობს, ვიჯდე და ვიფიქრო. ლოდინი სხვანაირადაც შეიძლება გამოიყენო, რომ ისეთი გაუაზრებელი მდგომარეობა არ გამოვიდეს, როცა არ იცი, რა დროს რა უნდა მოხდეს და მხოლოდ ელოდები. მაგალითად ასე – ვიღებ ერთ-ერთ სადგურს, სადაც, სავარაუდოდ, ახლა მატარებელი იმყოფება და მოვეყვები გონებაში სავარაუდო რელსებს ჩემს გაჩერებამდე. ახლა ჯერ სამტრედიას გამოცდებოდა. ალბათ, უკვე იმ დიდ მოსახვევში შედის, სულ რომ ანელებს ხოლმე სიჩქარეს... ბაქანზე ჩერდება. ნელ-ნელა დაიძრა. წინ გვირბაბა... ასე ნამოყვები ჩემს გაჩერებამდე. მაგრამ, როგორც წესი, ძალიან ვუსწრებ წინ მატარებლის რეალურ განრიგს. უკვე მესამედ ჩამოვიყვანე ჩემს ბაქანთან. ის კი შორიზონტზეც არ ჩანს...

ასეთ დროს გონებიდან ბევრი რამის ამოქექვა შეიძლება. შორს რკინის რელსებს სიცხისგან ბული ასდის და ისე ნელა მიიზღავნება დენის ბოძებისკენ, რომ ფიქრის მადას აღგიძრავს ადამიანს.

### ფიქრის სადგური. პირველი გაჩერება.

საათის ისარი თავისთვის, ბეჯითად მიუყვებოდა წრეს, იმის მიუხედავად, რომ იმ დროს არანაირი ღირებულება არ გააჩნდა მის არსებობას.

ადამიანებისთვის იყო მხოლოდ დღე და ღამე. ან შეიძლება, მარტო ჩემთვის ჩანდა ასე. ისედაც და ასედაც, ცხოვრება საქართველოს ერთ მიკარგულ ქალაქში მოქცეული საერთო საცხოვრებლის მეშვიდე სართულიდან უაზროდ მშრალი და დუნე ჩანდა...

ფანჯარაში ნაღვლიანი პეიზაჟით იმზირებოდა სიცარიელე, რომელიც არც წელიწადის დროებს ემორჩილებოდა და არც ამინდს.

ბოლო ვაკეპთილივით დამღლევი და მოსაწყენი მდელოების ბოლოს, უზარმაზარი დენის ბოძების ფონზე, მხოლოდ მზიან ამინდში იკვეთებოდა რკინის დიდი წრე – „ემშაკის ბორბალი“ – რომელთანაც შემდეგ კვირას უნდა წავეყვანეთ უფროსებს. ემშაკის ბორბალი მუდმივ მოლოდინად და იმედის სხივად დარჩა. საიმისო კვირა არასდროს დამდგარა და ლოდინის აუტანლობაც მაშინ შევიგრძენი.

მონუსხული ვაკვირდებოდი მეტალის წრეს, ველოდებოდი კვირას (არ ვიცოდი, თვეში ოთხჯერ თუ დგებოდა) და არ მშორდებოდა განცდა, რომ ცხოვრება იქ,

სადაც, გაცილებით უფრო საინტერესოა და არ შეიძლება იყოს მუდამ ასეთი... ცხოვრება, ალბათ, ბავშვის სამყაროსავით განსხვავებული და საინტერესო უნდა ყოფილიყო, რომელსაც ოთახში შემთხვევით შემოვრენილი ჩიტი ან თანატოლისთვის ნატკენი მუხლებს ჩვენებით მოგვიღილი სიამაყე შეიძლება ყოფნიდეს ბედნიერებისთვის.

ემშაკის ბორბალზე ბევრი მიფიქრია და იმდენად მჯეროდა საკუთარი ფანტაზიის, რომ ხანდახან ბავშვების ყრიაშულიც კი მესმოდა შორეთიდან. მას მერე დიდი დრო გავიდა. ბევრი ატრექციონი ვნახე, თუმცა არც ერთის ნახვისას არ გამჩენია გრძნობა, რომ ჩემ წარმოდგენილ რკინის წრეს მივუახლოვდი. ალბათ, წარმოდგენილი საგნები უფრო მისაღები და მიმზიდველია, ვიდრე რეალურად მიღწეული, ხელშესახები. ანდა ჯერ კიდევ არ მოსულა ის კვირა დღე, როცა ყველანი ერთად გავემართებით ემშაკის ბორბალთან.

### ფიქრის სადგური. მეორე გაჩერება.

აზრი იმაზე გადამვიდა, რომ სამყაროში ყველაფერი კანონზომიერად ხდება. ერთი მოვლენა იმით მოხდა, რომ შემდეგი გამოიწვევა.

ჰოდა, ჩემზე და შენზე ვფიქრობ... ვფიქრობ, შემთხვევითობა ვერ იქნებოდა ჩვენი ტრექტორიების გადაკვეთა ამხელა სამყაროში. ეს შემდეგი მოვლენების დასაბამს უფრო ჰგავდა.

თუმცა დასაშვებია, რომ პირიქითაც ხდება ხოლმე რაღაცები.

ხანდახან ცხოვრებას და ბედს თუ გავუწყობთ, თუ ვუსაყვედურებთ უფერულობის გამო და მოვთხოვთ ცვლილებებს, მერე შეიძლება, ნებისმიერი შემთხვევა ბედის გამოცოცხლებად მივიჩნიოთ.

მოგვეჩვენება, რომ ყველაფერი არ შეიძლება უბრალო შემთხვევა იყოს და ვიჯერებთ, რომ ეს სწორედ ბედაა.

ამ დროს იწყება მთელი რიგი სამუცნობიანი განტოლებები. რომლის პასუხები ვერაფრით მოწმდება ხოლმე და ამიტომ ჩვენვე ვიგონებთ და გვჯერა მათი. შემდეგ ნებისმიერ არასასურველ, კრიტიკულ, საეჭვო კითხვას, ასეთი აბსურდული პასუხებით იკმაყოფილებ, რომ ბედი არ გაანაწყენო და საშუალება მისცე თავს, ცოტა ხნით ბედნიერი იყო.

ეს ყველაფერი ძალიან წააგავს დილით ლოგინში ნებივრობას.

იცი, რომ ეს სიზმარი არ არის.. რომ გლვიძავს.. მაგრამ ისეთი ტკბილია ზმანებები, რომ თავს ვერ ანებებ და ისიც ვითრევს, მთელი ძალით მივერეკება სასურველი რეალობისკენ. ცუდი ის არის, რომ გამოვლიძიებულს ცხოვრება მეტისმეტად რთული და აუტანელი გეჩვენება. შეიძლება, წამოდგომაც აღარ მოგიხდეს ან გული გეტკინოს, რომ ფხიზელი ხარ..

### ფიქრის სადგური. მესამე გაჩერება

ყურსასმენებიდან საყვარელმა მელოდიამ – „Следи за собой“-მ შემოაღწია ჯერ გონებაში... მერე მთელ სხეულში.

გუნებაში აყვევი. თან მსიამოვნებს იმის გაფიქრება, როგორ შეიძლება ცოტა ხნით გამოვპარო სიფხიზლეს ძილის ან თრობის გარეშე.

ყველა ადამიანის ემოციას და განწყობას, ალბათ, გარკვეული მუსიკა შეესაბამება ნებისმიერი ჟანრიდან. ისე, მხოლოდ კლასიკური მუსიკა შეიძლება გამოდგეს ცალკეული ადამიანის, ანდა მთელი ჯგუფის ცხოვრების საუნდტრეკად.

მაგალითისთვის – ადამიანს, რომელმაც ნელან აუჩქარებლად, მხარზე სახრეგადადებულმა გადაიყვანა ცხვრები ლიანდაგზე, ძალიან მოუხდებოდა მოპენის „ტილუდი 25“. შეგიძლიათ, შუმანის „ალეგრო ვივაჩეს“ მოუსმინოთ, რომ წარმოადგინოთ ავლაბრელი შიოს ცხოვრება... სუიცდამდე.

სულ შემთხვევით მომივიდა თავში „მოდერატო“, რომელიც კარგად მიენყო ჩემი თანასოფლელის კახუნელას დაბღვერილ-დაბოღმილ ხეტიალს სოფლის შარაგზეზე. თანაც ისე საოცრად ჩაჯდა რიტმშიც, რომ აღფრთოვანებული დავყვებოდი ხოლმე უკან და რახმანინოვს ვუსმენდი...

სულ ვცდილობ, საკუთარ თავს მოვარგო რომელიმე მუსიკალური ნაწარმოები. მაგრამ გარემო, ხასიათიც და ცხოვრებაც იმდენად სწრაფად იცვლება, რომ ძნელია, რაიმე მელოდია ავიყოლიო თან.


ჯერჯერობით ისევ განწყობის მუსიკას ვუსმენ „Kings of Convenience“ – „Me in you“-ს ასრულებს.

ჯერ ისევ მზით გამთბარ ცაში გადამფრენი ფრინველები ტაატით მიფრინავენ... მონატრებული მატარებელიც გუგუნით ნელ-ნელა მიახლოვდება...



**ფოტოგრაფიკივი ასახული მუსიკა**

რა არის მუსიკა? მას არა აქვს კონკრეტული მნიშვნელობა. ის უბრალოდ სინამდვილეს ირაციონალურად ასახავს მხატვრული ფორმებით... მუსიკას შეუძლია გადმოსცეს ადამიანთა ემოციური მდგომარეობა. ის გამოხატავს გრძნობებთან დაკავშირებულ განზოგადებულ იდეებს.



მუსიკა შეუცვლელია ყოველი ადამიანისთვის. მუსიკოსისთვის მუსიკა მთელი ცხოვრება, საარსებო წყარო და სუნთქვაა. ზოგისთვის კი ის მხოლოდ ჰობი და განტვირთვის საშუალებაა, რომლისგანაც იღებს დიდ სიამოვნებას. მუსიკა შთაგონების წყარო გახდა თანამედროვე ფოტოგრაფებისთვისაც.

„Sonic“ – ეს არის გერმანელი ფოტოგრაფის, მარტინ კლიმასის პროექტი. მისი ფოტოები თითქოს გელაპარაკება მუსიკის შესახებ. ეს არის ფერების აფეთქება. მარტინი ირჩევს მუსიკის სხვადასხვა ჟანრს: როკს, კლასიკას ან ჯაზს. შემდეგ თავისი კამერის საშუალებით ჰაერში იჭერს დაღვრილ საღებავებს. ფერადი საღებავები სხვადასხვა ფორმას იღებენ, თითქოს ცეკვავენ.


კლიმასი 2012 წელს მიცემულ ინტერვიუში აცხადებს: „რამდენ მხატვარს უმუშავია მუსიკასთან ერთად, მაგრამ არასდროს მინახავს ნამუშევარი, რომელიც ზუსტად პასუხობს კითხვას თუ გარეგნულად როგორია მუსიკა...“

ფოტოები საშუალებას აძლევს დამთვალიერებელს, კონცეპტუალურ-ესთეტიკურად შეადაროს ერთმანეთს მუსიკის სხვადასხვა ჟანრი და იპოვოს მათ შორის გადაკვეთის წერტილები, აღმოაჩინოს გამომსახველობითი და არსისმიერი განსხვავებები.

კლიმასის ფოტოების გამოფენა ნიუ-იორკის ერთ-ერთ გალერეაში მოეწყო. ნამუშევრები დადებითად შეაფასეს კრიტიკოსებმა და გამოთქვეს აზრი, რომ ამ ავტორის შემოქმედება არის თანამედროვე ფოტოგრაფიის მნიშვნელოვანი მიღწევა.

**ახალი სიტყვა თანამედროვე მხატვრობაში - პიტარ დოიგი**

„მე არ ვიცი, რის შესახებაა ჩემი ნახატები. თუ ჩემს ნახატებს გავაანალიზებ, მათ ვერ შევქმნი. აუცილებელია, იყოს უცნობი ელემენტები, რათა ნახატი საინტერესო გახდეს“, – ამბობს ბრიტანელი მხატვარი პიტერ დოიგი, რომლის ნამუშევრები სულ ახლახან გამოჩნდა შოტლანდიის საგამოფენო დარბაზებში.



მისი ძალზე ცნობილი ნახატები: „ჩიტით ხელში“, „სოლო მოგზაური“, „კაცი ლამურა“ და ა. შ. გამოირჩევა ეგზოტიკურობით. მათი უცნაური, მისტიკური ელემენტები

ბი კი საშუალებას აძლევს დამთვალიერებელს, თავისებურად აღიქვას ისინი.

ნამუშევრების დასრულებას წლები სჭირდება, თუმცა, როგორც პიტერი ამბობს, მას არ სურს, ბოლომდე დაასრულოს ისინი. ავტორის თქმით, ნახატის დასრულება კლავს მას და მხატვრული საზრისის სიცოცხლისგან ძარცვავს.

მხატვრის აზრით, საჭირო არ არის, ნახატი იყოს ელეგანტური, ლამაზი. მასში მთავარია სიცოცხლე იყოს. სწორედ ეს ხდის ნახატს განსაკუთრებულს.

**პეიჯ ბრედლის ორიგინალური სკულპტურა**

კრეატიული ადამიანები დღეს ხელოვნებაში სხვადასხვა სიახლეს გვთავაზობენ.



მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო სა-ნახაობა ფოტოშოპის გარეშე შექმნილი სცენები, რომლებიც ხელოვნების დარგის სხვადასხვა წარმომადგენლები მნახველებს აოცებენ.

„რა იქნებოდა, რომ შეგვეძლოს, გაეტეხოთ ჩვენი მიწიერი საზღვრები, რათა აშკარა გახდეს ჩვენი შინაგანი „მე“ ამ სამყაროში“.

სურათზე პეიჯ ბრედლის ნამუშევარია, რომელიც კონცეპტუალურად შეიცავს კლასიკური დიზაინსა და თანამედროვე თემების მეტად საინტერესო სინთეზს.

მან შექმნა საოცარი ქმნილება სახელწოდებით „explanation“ – შიშველი ქალბატონის ქანდაკებას სხეულის დახეთქილი ნაწილებიდან სინათლე ამოსდის. ქანდაკება დამზადებულია ბრინჯაოსგან და მასში ჩამონტაჟებულია განათების სისტემა.

პეიჯ ბრედლი ამბობს, რომ ადამიანის ემოციები დახურულია. სკულპტურა აჩვენებს ინდივიდის მისწრაფებას კავშირების, კომუნიკაციების დასამყარებლად.

მისი ნამუშევარი აღიქმება, როგორც ბრძოლის სიმბოლო. ხალხი მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან მიემგზავრება ლონდონში ამ საოცარი ქანდაკების სანახადად, რომელიც მათზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

**ბრაიან დეტმერი აქველი ნიგნებს ახალი სული შთაბარა**

ბრაიან დეტმერი – ამერიკელი თანამედროვე ხელოვანი, რომელიც ქირურგიული იარაღების საშუალებით ჭრის ძველ ნიგნებს, რუკებს, ალბომებს იმისთვის, რათა შექმნას ვიზუალური ხელოვნების ახალი მიმდინარეობა,



ამბობს: „ნიგნის სიღრმე და სიმდიდრე არის აღმოუჩენელი მონოპოლია, რომელიც გიპყრობს და გკვებავს დიდი

ხნის განმავლობაში. ნიგნის როლი თანამედროვე ცხოვრებაში მკვეთრად შემცირდა. მისი ახალი ფორმებით წარმოჩინებამ კი მოულოდნელი ფუნქციები ამოატივტივა“.

ბრაიანი მხოლოდ იმ ნიგნებზე მუშაობს, რომლებმაც, მისი აზრით, ფუნქცია დაკარგა და საზოგადოებისთვის ღირებული აღარ არის.

ის ირჩევს ნიგნის ზომას, განსაზღვრავს კომპოზიციის სიუჟეტსაც, ამუშავებს მის მიერ გამოგონილი სპეციალური და სპეციფიკური მეთოდით, რის შედეგადაც ნამუშევარი საკმაოდ შთაბეჭდილი და ორიგინალური გამოდის.

**იაპონელმა ხელოვნმა დროის სივრცული ასახვა სცადა**

ვფიქრობ, მკითხველს ძალიან დაინტერესებს ცნობილი იაპონელი მხატვრის, ნობუჰირო ნაკანიშის ნამუშევრები, რომლებმაც თანამედროვე მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო.


ეს ნამუშევრები გრადაციებით გადადის ნახატის სხვადასხვა შრეებზე ისე, რომ ვიღებთ კონცეპტს, რომელიც თითქოს ექებს დროს, სივრცეს. ნამუშევრები ქრონოლოგიურად არის დალაგებული.

ნახატების ტრანსცენდენტალური თანმიმდევრობა კი სამყაროში მომხდარ სხვადასხვა ისტორიულ თუ მითოლოგიურ მომენტებს ასახავს.

ნაკანიში პანელებს შორის ტოვებს ნაპრალებს, რათა შემდგომ დამთვალიერებელმა თავისი წარმოსახვის შესაბამისად შეავსოს.

მხატვრის ნამუშევრები მაცურებელს სთავაზობს უნიკალურ, მულტისივრცით განზომილებას, რათა დაინახოს დრო, ანუ შესაძლებელი გახდეს მისი სივრცული და ვიზუალური წარმოდგენა-გააზრება. ის იმ მომენტებს გამოყოფს, რომლებიც ადრე ჩვენთვის შეუქმნეველი იყო.


იაპონელი ხელოვანის ცნობილი ნამუშევრებია: „მზის ამოსვლის შრეები“, „ტყის შრეები“, „ნაყინი“ და ა. შ. ნამუშევრების გამოფენა მოეწყო აომორის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში და მორის ხელოვნების მუზეუმში. სტუმრების აზრით, ნობუჰირო ნაკანიშის ნამუშევრები საკმაოდ ორიგინალური და ეფექტურია.



**„ელვაჰესაპარავით მსოფლიოს გახსნა“ – ჯინ კატაგავას პროექტი**

იდეის ავტორი არის ადამიანი, რომელიც ქუჩის მხატვრობით სრულიად შემთხვევით გახდა ძალზე პოპულარული. ელვა თითქმის ყველა ტანსაცმელს აქვს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, გაგვიჭირდება წარმოვიდგინოთ ის, როგორც ხელოვნების ნიმუში. ჯინ კატაგავას წყალობით კი იაპონელებს ამის საშუალება უკვე ეძლევათ.

ერთ-ერთი მისი გასაოცარი ნამუშევარია უზარმაზარი სამგანზომილებიანი ელვა, რომელიც საიდუმლოებით მოცულობის ეფექტს ქმნის და მაცურებელს უჩენს კითხვას თუ რა იმალება ელვის მიღმა. ელვები გამოიყენება როგორც ოთახის დეკორისთვის, ასევე ბუნებაშიც.



„იმისთვის, რომ დამთვალიერებელი უფრო ახლოს ჩავახედოთ დედამიწის ნიაღში, ჩვენ ვიყენებთ უბრალო, ყველასთვის ნაცნობ ნივთებს“, – ამბობს ჯინ კატაგავა.

*მომზადდა მარიამ თეთრაქია*

# მიტი და რეალობა გენო კალანდიას პოეზიაში

ღრმა აზრისა და მნიშვნელობის დამტკიცება გენო კალანდიას სულისშემძვრელი პოეზიაში. კითხვებს მის პოეტურ ქმნილებებს და გრძობს, როგორ ელვისებურად იჭრება სულში „ძლევამოსილი სულიერი დამპყრობელი“ (პოლ ვალერი)...

გენო კალანდიას პოეტური აზროვნება კონკრეტულად ადასტურებს ქართველი კაცის ლტოლვას ბედნიერებისკენ, სიცოცხლის სიყვარულს, როგორც თვითგამოხატვის თავისებურ ფორმას. მიუხედავად ძმათამკვლელი ომის რუმულური შედეგებისა და დევნილობისა, რომელშიც ის აღმოჩნდა, გენო კალანდიამ შექმნა, დამტკიცებინა საკუთარი ხმა. იგი შემართებული ენერგიით იჭრება მარადისობაში და გარდახილ-განცდილის უსაზღვროებაში ანართოზს თავის სულს, რათა კიდევ ერთხელ განგვაცდევინოს მარადიული ტრაგიკიზმის სიღრმე: „კრწანისის ველზე დარჩენილი სამასი ხარი“, „ტყვიით განგმირული ცისარტყელები“, „ტანმოხატული ხობბებივით დახოცილი ცისკრები“, „ამდენი ცრემლი, ამდენი სისხლი, ამდენი ჯვარცმა და მკვდართა კორდი“, „მწუხარე ნივთის ფურცელი, მრავალტანჯული მინა იბერთა“ და „გადასხეპილი ჰორიზონტები“ – ასეთი პოეტური მეტაფორებით ვლინდება დროთა მარადიული კავშირის ქვეყნარტის ლოგიკა, დროში შეზღუდული მარადისობა და მარადისობაში განფენილი დრო...

აფხაზეთის თემაზე დაწერილი ლექსები გენო კალანდიას ევროპული პოეზიის ერთ-ერთი მძლავრი შენაკადია, რომელიც თავის სათქმელს ამბობს განსხვავებული ინტონაციით, სტილით, ამიტომაც სრულიად ბუნებრივად იბადება აზრი: იქ, სადაც დანაკარგია, ყოველთვის ნარმოშობა სევდა-ნაღველი; სადაც ხელყოფილია იდეალი და ღირსება, მომხდარის გამო წუხილი და ცრემლი ბუნებრივად შედეგია და: „ფრთაბოტები შაშვივით ღამე ცრემლად ვიღვრები, ყელი გამოჭრილი მაქვს მშობლის ძველი სიმღერით, უსინათლო ბერვით გეძებ ცხელი თითებით, გული გაგლეჯილი მაქვს ზღვის მშფოთვარე ზვირთებით, რაც სოფელი გავიგე, ვცოცხლდები ჩემი ფესვებით, სული დაფრთხილი მაქვს სულ ქართული ლექსებით“. ძალიან მეღამეაზეა ეს სტრიქონები, სადაც მოვლენები, საგნები ფილოსოფიურ ჭრილობაში გააზრებული და პოეტური გრძობებისა და განცდების აფეთქებაა...

გენო კალანდიას პოეზიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს მითოსს, პოეტმა მითოსური პასაჟებით და სიმბოლოებით მიგვანიშნა აფხაზეთის ომის მწარე შედეგებზე: „ოქროს სანძისა“ და „ლოტოფაგების ოდისეას“ მითები ორიგინალურად დაუკავშირა ქართულ-აფხაზურ სინამდვილეს და ღირსეულად განაგრძო ქართული მწერლობის მამხილებელ-მეამბოხური ტრადიცია, რითაც სათავე დაუდო ამავე ტრადიციის ეგზისტენციალური შეფერვლით ნარმოქმნას.

გენო კალანდიას მხატვრულ სამყაროში მთავარი მხოლოდ ხილულის დანახვა კი არ არის, არამედ უხილავის წვდომაც. ლექსის არქიტექტონიკა მარტო მინაზე ჩენილი ნაგებობა როდია, არამედ ეს არის ღრმად ჩაფლული საძირკველი, რომელსაც იგი ეფუძნება და მაინც, „რასაც გარეგანი გრძობები ალიკვამენ, მხოლოდ ნაწილია სამყაროსი; სულთან ნიღნავარი უნდა იყო, რათა შეძლო მის გამოცხადებათა გადმოტანა გრძობად სამყაროში“ (შტაინერი). პოეტის რწმენით, ღმერთისგან შექმნილი მისტიკური საუფლო მარტო სევდისმოგვრელი ერთფეროვნებით როდი განიცდება, არამედ სიყვარულისა და სიკეთის, ერთგულებისა და თანადგომის, ურთიერთგატანისა და ერის გადარჩენისთვის ბრძოლის ქვეყნარტ დემონსტრირებად...

„მედეას დიალოგი ძიძასთან არგონავტების ჟამს და მიწურულს“, – პოეტის ერთ-ერთი ბრწყინვალე ლექსია, რომელიც მკაფიოდ მეტყველებს მისი ნიჭის ინდივიდუალობისა და პოეტური ხილვების, ინტუიციის ამაღლებულ-ლობაზე. კითხვებს ლექსს და მეხსიერებაში სამუდამოდ რჩება საოცარი სურათი: „უცხო ხომალდი მოადგა ნაპირს, ვინ უნდა იყვნენ, ძიდა? ლუზა ჩაუშვეს ოქროს ყურეში, ნეტა რა უნდა, ძიდა? ბრინჯაოს კაცები ჰგვანან ივრით, ვინ უნდა იყვნენ, ძიდა?“ – ეს სულისშემძვრელი კითხვა არ ასვენებს პოეტს...

გენო კალანდიას პოეტურმა მუშამ არგონავტები არესის ჭალებთან დალანდა და ჩვენს დღევანდელსაში შემოიყვანა. პოეტის სულიერი სამყარო, შინაგანი წვა და სულის ტკივილი ირეკლება მთელ ლექსში: „მზე ჩადის, მცივა... და მაყრიალებს, მთხარი, რა

ვქნა, ძიდა, რას ნიშნავს შავი ხარის სიკვდილი, – თქვი, ამისხენი, ძიდა? ხავსივით მწვანე წყალში ვიდექი, – ნეტა რას ნიშნავს, ძიდა? ნაპირზე ვეღარ ამოვდიოდი, – ნეტა რას ნიშნავს, ძიდა? ვგრძობ უცნაურის მოახლოებას, – მითხარ, რაღა ვქნა, ძიდა?“ – პოეტის ინტუიცია წინასწარ გრძობს საკუთარი ქვეყნის ტრაგედიას... ღრმა ფილოსოფიური განსჯითა და მიგნებებით არის ნარმოქმნილი ბიბლიური მითის მხატვრული გარდასახვა მისი კალმის მადლიანი ძალით...

რს დიდებულად თქვა კამიუმ: „მითებს თავისთავად სიცოცხლე არ გააჩნიათ, მითი გველოდება, როდის შევასხამთ მას ხორცს, თუნდაც ერთი კაცი რომ გაეხმავოს ამ ქვეყანაზე მითის ძახილს, უმალ მოგვეცინოს იგი სურვილს დაუშრეტელი წვენი, ჩვენი საქმე შევინარჩუნებთ მითებში, ვიმოქმედოთ ისე, რომ მითის ძილი მომაკვიდნებელი არ იყოს, რომ შესაძლებელი გახდეს აღორძინება“.

გენო კალანდიას მიერ გამოხმობილ მითებში მთელი ისტორია და წარსული მთიდან მოვარდნილი ნიაღვარივით მოედინება და მაინც არა მარტო პოეტური სტრიქონი, არამედ თვით პოეტის მთელი სულიერი სამყარო და მის მიერ ჩამოქმნილი სურათი გაჯერებულია მითური ხატოვანებით. მისი უნიკალური პოეტური ნარმოსახვა, თვითმყოფადი გენია, მისი ფილოსოფიური აზროვნება წინ გადაგვიშლის ხელით მოუხელთებელ სამყაროს, საიდანაც მომხიბლავი მხატვრული სახეები, ფორმები და ხატები იმზერებიან... ვფიქრობ, მის მიერ გამოხმობილ მითებში მთავარი მაინც მეტროლოჟიკური მითების ქადაგებაა, რაც კაცის, ერის, ქვეყნის ხსენს ერთადერთ საშუალებად არის დასახული და უპირისპირდება ბოროტებას და უზნეობას, რამეთუ ბოროტებამ, თავაშვებულმა უზნეობამ და სიძულვილმა დაასამარა მისი ოცნებები პოეტის ადგილის დედას, „ნაცრისფერი სამეგრელოს, დვთაბერეი სულს“ დასტრიალებს თავს და ისევ ცდილობს სამყაროს პირველქმნილი მდგომარეობის მოძიებას. ეს ის სტადიაა, როცა დედამიწა მითებმა დატბორეს; დატბორეს იმისთვის, რომ ამ მიწას მდინარეთა თვალებით ეცქირა ცისთვის... „ახლა ეს ლექსი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი მარხია ხალხი, ციხეში ვზვიარ, გარეთ მთავრეა, შორს გაუსხლავი ლურჯი ბალია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი მარხია ხალხი“ (ტერენტი გრანელი). გავივლი დრო და ჩვენი თანამედროვე პოეტი იტყვის: „ტაძარი შენი დაქცეულა, მკვდრები ცოცხლებში არეულა, ის გულგრილია და ჭაბუკები სულ თითო-თითოდ დახოცილან, ტაძარი შენი დანგრეულა!“

გენო კალანდიას პოეზიაში დუმილი და იდუმალება, სამყაროსადმი დამოკიდებულება, თვით ჩვენი სინამდვილე შინაგანად დაუხეტული უზნეაისის ხილვის მოლოდინით, მითით შენობიერი დიალოგის ფორმად არის განცდილი. მას გაცნობიერებული აქვს სამყაროს საიდუმლოებაში წვდომისა და თვითწარმავებისკენ სწრაფვის მისწერი ინსტიქტი: „აგერ კორინთო, აგერ ქალდეა, აგერ შავტუხა სპარტა, მიდია... მაგრამ სხვა არის ჩემთვის მედეა, ოქროს სანძისი სულ სხვა მითია. როგორც ბრძანებდა ძე პელოპისის, იმ ძველ კოლხური ნელთარცხვიდან, მთელი ეგვიპტე, მთელი ნილოსი შენს მწუხარებად არ ღირს, იდია! ქალი ხარ, დედა – შეღმომკვეთილი, უსასტიკესი, მწარე ხვედრისა, ვისთვის შუმერთა შთამომავალი, ვისთვის პირიმზე ჩემი ქვეყნისა“. ეს გახლავთ პოეტ-ვიზიონერის წვდომა მითისა, მისტიკური ატმოსფერო მძაფრდება თანადროულობის შეგრძნებით. პოეტის მზე-რა თანადროულობიდან წვედება შორეულ წარსულს; ოქროს სანძისის ხილვა მისთვის დვთაბერივი მოვლენების ტლოფარდია და სწორედ აქ ჩნდება მითისა და სინამდვილის საოცარი ნული, მისტიკური და ამოუცნობი მზე-რა წარსულისა. მხატვრულად შეგრძნობილი ბერძნული ქალაქები და თვით კოლხეთი, ფაქტობრივად, ვიზუალური მხედველობით, გრძობით აღიქმებიან და საკმაოდ მკვირვ სემანტიკურ წრეს ქმნიან... ბავშვობის უმთავრესი ზღაპრული სამყაროდან, მითებიდან და ლეგენდებიდან გა-

მონვეული პერსონაჟებიც შემოგვანათებენ: „შვიდი აბრაგი შვიდი შავი თოხარით, შვიდი გუდა არაკით“, „თუთარჩელა თელიას ეპითალამა“, „სასძლოს მძებნელი კაცისა და ქალის ეპითალამა“ და ა.შ. გენო კალანდიას ხელნეწვები, მთელი არსებობა ამოთქმის ასეთი უღამაზესი სტრიქონები: „...ობლის ცრემლი ხარ გამჭვირვალე და ჩუმად მოთქვამ ოქროს ბედეზე და დაკარგულზე. მედეას შმაგი სიყვარულის მსხვერპლო დიადო, გახვეული ხარ ლეგენდების ცისფერ ბურუსში. აჩხილი ხარ საკუთარი დავითფერულით და მხცით მოსილი ლამაზი თავი გიდევეს ნანგრევთა თავსასთუმალზე“...

გენო კალანდიას ახასიათებს ფათერაკიან საბრუნველ გავლის გამბედაობა, უცხო მხრისკენ სწრაფის დაუოკებელი ჟინი და ალლო. და მაინც, ჩემი ღრმა რწმენით, შინაგანი თავისუფლება აძლევს მას შემართებას პოეტური ენერგიის შესაძლებლობების მთელი არსებით გამჟღავნებაში. მის პოეზიაში მითის გამოყენება ორიგინალური ფორმით გამოვლინდა, რაც საუკეთესო საშუალებაა პოეტის ხელნეწვის, მისი ინდივიდუალობის ნარმოსახენად. საგულისხმოა ისიც, რომ მის პოეზიაში ძალუდად იგრძობა ძველი და ახალი აღთქმის ბიბლიური ვარიაციები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ოლიფანტი“. ეს არის ლექსი გროტესკული საბურველით, ოლიონდ, გროტესკულობის მიუხედავად, აქ ადგილი არ რჩება დაცივნისთვის, გამეტებისთვის... „ის გროტესკი, ის ირონია გლოვაა უბედურებისა, ცრემლია მწარე ღიმილის საბურველი, რომელიც მაინც საოცრად გამჭვირვალეა და ისიც მკაცრად გამოიხსნის, გნებავთ, გაანგარიშებული უხადო პოეტური ინტუიციის წყალობით – რომ არსად, არც ერთ სტრიქონში შემთხვევით არაფერი ხდება, სხვათა შორის არაფერი თქმება; რაკი რითმაც უარყოფილია, რითმისთვისაც არაფერი კეთდება“ (თ. ამყოლაძე).

პოეტისთვის აფხაზეთის ომი – ეს არის სამასი ათასი ადამიანის სასომხიდილი, ჩაფერვლილი თვალები, უსინარულო და უსიცოცხლო დღეები, უკუბოვო ცხედრები, ღიად დარჩენილი საფლავები; ეს არის სულიერ ძალთა შესაკრებელი, სადაც საკუთარი სული უნდა გამოფინო, რათა შეეს გენეტიკურ ნარმომავლობას კიდევ ერთხელ გაუსხა ხაზი და საგულისხმო ილუსტრაციად აქციო... საკენ-ჭებერის გოლგოთაგამოვლილი რაინდი პოეტი და მისი მსგავსნი ცხოვრებამ ვერ აქცია ლოტოფაგების მითურ კასტად. „თავსად დაგვიტყვი, ოლიფანტი, უხვად გექნება წლეულს ლოტოსი, მიორთვი, კარგად მიეძაღე“ (5.216). ნარმოსახვის თვალი უნდა გაახილო კაცმა და ფიქრი შემოიჯარო, რომ სრულად აღიქვა, რას ძერწავს პოეტი; სხვაგან უფრო სინატიფე და აღქმის სიმძლავრეა საჭირო, რომ გაითავისო პოეტის მიერ დახატული იდეალური სურათი: „ჩვენ მშვიდობა გვინდა, ოლიფანტი, რა დროს შიდა ქართლია, შე კაცო, რა დროს აფხაზეთია, როცა ქვირთისფერ მტკვარსა და ლიახვს ქორივით დაპყრებს სკითი და ხაზარი. მიორთვი, უფარდელად მიორთვი, კარგად მიეძაღე“ („ოლიფანტი“). ამ სტრიქონებიდან მირონივით იღვრება პოეტური ძალმოსილება. „ქვირთისფერი მტკვარი და ლიახვი“ – როგორ იტევს მდინარის ფერსაც, განწყობილება-საც, სიამაყესაც და სამშობლო მინის უნაპირო სიყვარულის და ეს პირდაპირი ხატი მიიღვენებს სტრიქონს: „ქორივით დაპყრებს სკითი და ხაზარი“. ამჯერად მთავარი მაინც ის არის თუ საიდან იღებს სათავეს ამ ლექსის სტილური ნიშანი, მასშტაბური მიწორო, მსგავსი კოსმიური უქსიმოზმისა. ვფიქრობ, ის არ მოდის არც რომანტიკული იმპულსებიდან და არც სხვა რაიმე მოვლენიდან, არამედ იმ დიდი ტკივილიდან, რომელიც სინამდვილემ, რეალობამ შთააგონა პოეტს.

უჩვეულო ღირიზით და მხატვრულ-ასოციაციური აზროვნებით გამოირჩევა ლექსი „ძიძვილის ეპითალამა“. პოეტს ნებისმიერი მოვლენა მხატვრულ რეგისტრში აჰყავს და უკეთილშობილეს იდეას აზიარებს: „ძიძვილის ერთგულება ძიძვილის წესია!“ ამ ლექსში სრულად ბუნებრივად ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ძაფები აკაკისთან იბნება: „ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის, ძმა ძმაზედ ლესავს ხანჯალსა, იღუპებიან ორივე, არც ღონეს ზოგვენ,

არც ძალსა... რა დროს მტრობაა ძმებისა და რა დროს განზე დგომაა, შეერთდით, ძმებო, შეერთდით! ხელი ხელს მივცეთ ძმურადა, და მტერს დაუხვდეთ გარემუს, თამამად, ვაჟკაცურადა“ (აკაკი).

საგულისხმოა, რომ გენო კალანდიას მთელ რიგ ნაწარმოებში ასახულია მითოსური ხატი წარმართული თუ ქრისტიანული ყოფისა. ამ მხრივ მისთვის ამოსავალი თქმულებები და ლეგენდებია. მორდულობა-ძიძვილობა არაერთხელ არის ხაზგასმული მის ნაწარმოებებში. საინტერესოა ისიც, რომ ამ ლექსში წარმოდგენილი სახე-სიმბოლო „ბედისნერის შავი ხიდი“, რომელიც „შიგ წარჩეში ჰკიდა“, ამყარებს ლექსში აღწერილ შინაარსს და თვით სათაურის მნიშვნელობას. ასევე იკვეთება „შავი ცხენის“ მისტიკური ფუნქცია და ურთიერთკონტრასტული სახე-სიმბოლოები. და მაინც, პოეტისთვის ამოსავალი ნერტილი რწმენისადმი ერთგულება და ღვთისადმი სიყვარულია.

ლექსში „აგერ კორინთო, აგერ ქალდეა“ მედეას მითის გენო კალანდიასეული პოეტური ინტერპრეტაცია საგულისხმოა მოქალაქობრივი პათოსითაც. პოეტისთვის მითი სივრცეა, რომელშიც ადამიანი ქაოსის ალაგმვას ცდილობს. ამ ქაოსის დასალაგებლად, როგორც მითიდან ვიცით, მედეა მოქმედებას იწყებს. ოქროს სანძისი დაკარგულია, შვილები – დახოცილი, იახონი – უჭირისუფლო, მედეა – ყველაზე ტრაგიკული ქალი; ტრაგიკულია იმიტომ, რომ დაკარგა ის დასაყრდენი, რომელიც ერთადერთია ადამიანის ცხოვრებაში – სასუკუვარი სამშობლო და მშობლიური კერა, კოლხეთიდან საბერძნეთში გადახვენილ მედეას გუნდი უმღერის: „სამშობლოვ, კერავ, ნუმც მოვესწარი მე იმ დღეს, რომ უსამშობლოდ ვიმინუნული, გნებავთ, გაანგარიშებული უხადო პოეტური ინტუიციის წყალობით – რომ არსად, არც ერთ სტრიქონში შემთხვევით არაფერი ხდება, სხვათა შორის არაფერი თქმება; რაკი რითმაც უარყოფილია, რითმისთვისაც არაფერი კეთდება“ (თ. ამყოლაძე).

პოეტისთვის აფხაზეთის ომი – ეს არის სამასი ათასი ადამიანის სასომხიდილი, ჩაფერვლილი თვალები, უსინარულო და უსიცოცხლო დღეები, უკუბოვო ცხედრები, ღიად დარჩენილი საფლავები; ეს არის სულიერ ძალთა შესაკრებელი, სადაც საკუთარი სული უნდა გამოფინო, რათა შეეს გენეტიკურ ნარმომავლობას კიდევ ერთხელ გაუსხა ხაზი და საგულისხმო ილუსტრაციად აქციო... საკენ-ჭებერის გოლგოთაგამოვლილი რაინდი პოეტი და მისი მსგავსნი ცხოვრებამ ვერ აქცია ლოტოფაგების მითურ კასტად. „თავსად დაგვიტყვი, ოლიფანტი, უხვად გექნება წლეულს ლოტოსი, მიორთვი, კარგად მიეძაღე“ (5.216). ნარმოსახვის თვალი უნდა გაახილო კაცმა და ფიქრი შემოიჯარო, რომ სრულად აღიქვა, რას ძერწავს პოეტი; სხვაგან უფრო სინატიფე და აღქმის სიმძლავრეა საჭირო, რომ გაითავისო პოეტის მიერ დახატული იდეალური სურათი: „ჩვენ მშვიდობა გვინდა, ოლიფანტი, რა დროს შიდა ქართლია, შე კაცო, რა დროს აფხაზეთია, როცა ქვირთისფერ მტკვარსა და ლიახვს ქორივით დაპყრებს სკითი და ხაზარი. მიორთვი, უფარდელად მიორთვი, კარგად მიეძაღე“ („ოლიფანტი“). ამ სტრიქონებიდან მირონივით იღვრება პოეტური ძალმოსილება. „ქვირთისფერი მტკვარი და ლიახვი“ – როგორ იტევს მდინარის ფერსაც, განწყობილება-საც, სიამაყესაც და სამშობლო მინის უნაპირო სიყვარულის და ეს პირდაპირი ხატი მიიღვენებს სტრიქონს: „ქორივით დაპყრებს სკითი და ხაზარი“. ამჯერად მთავარი მაინც ის არის თუ საიდან იღებს სათავეს ამ ლექსის სტილური ნიშანი, მასშტაბური მიწორო, მსგავსი კოსმიური უქსიმოზმისა. ვფიქრობ, ის არ მოდის არც რომანტიკული იმპულსებიდან და არც სხვა რაიმე მოვლენიდან, არამედ იმ დიდი ტკივილიდან, რომელიც სინამდვილემ, რეალობამ შთააგონა პოეტს.

უჩვეულო ღირიზით და მხატვრულ-ასოციაციური აზროვნებით გამოირჩევა ლექსი „ძიძვილის ეპითალამა“. პოეტს ნებისმიერი მოვლენა მხატვრულ რეგისტრში აჰყავს და უკეთილშობილეს იდეას აზიარებს: „ძიძვილის ერთგულება ძიძვილის წესია!“ ამ ლექსში სრულად ბუნებრივად ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ძაფები აკაკისთან იბნება: „ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის, ძმა ძმაზედ ლესავს ხანჯალსა, იღუპებიან ორივე, არც ღონეს ზოგვენ,

არც ძალსა... რა დროს მტრობაა ძმებისა და რა დროს განზე დგომაა, შეერთდით, ძმებო, შეერთდით! ხელი ხელს მივცეთ ძმურადა, და მტერს დაუხვდეთ გარემუს, თამამად, ვაჟკაცურადა“ (აკაკი). საგულისხმოა, რომ გენო კალანდიას მთელ რიგ ნაწარმოებში ასახულია მითოსური ხატი წარმართული თუ ქრისტიანული ყოფისა. ამ მხრივ მისთვის ამოსავალი თქმულებები და ლეგენდებია. მორდულობა-ძიძვილობა არაერთხელ არის ხაზგასმული მის ნაწარმოებებში. საინტერესოა ისიც, რომ ამ ლექსში წარმოდგენილი სახე-სიმბოლო „ბედისნერის შავი ხიდი“, რომელიც „შიგ წარჩეში ჰკიდა“, ამყარებს ლექსში აღწერილ შინაარსს და თვით სათაურის მნიშვნელობას. ასევე იკვეთება „შავი ცხენის“ მისტიკური ფუნქცია და ურთიერთკონტრასტული სახე-სიმბოლოები. და მაინც, პოეტისთვის ამოსავალი ნერტილი რწმენისადმი ერთგულება და ღვთისადმი სიყვარულია. ლექსში „აგერ კორინთო, აგერ ქალდეა“ მედეას მითის გენო კალანდიასეული პოეტური ინტერპრეტაცია საგულისხმოა მოქალაქობრივი პათოსითაც. პოეტისთვის მითი სივრცეა, რომელშიც ადამიანი ქაოსის ალაგმვას ცდილობს. ამ ქაოსის დასალაგებლად, როგორც მითიდან ვიცით, მედეა მოქმედებას იწყებს. ოქროს სანძისი დაკარგულია, შვილები – დახოცილი, იახონი – უჭირისუფლო, მედეა – ყველაზე ტრაგიკული ქალი; ტრაგიკულია იმიტომ, რომ დაკარგა ის დასაყრდენი, რომელიც ერთადერთია ადამიანის ცხოვრებაში – სასუკუვარი სამშობლო და მშობლიური კერა, კოლხეთიდან საბერძნეთში გადახვენილ მედეას გუნდი უმღერის: „სამშობლოვ, კერავ, ნუმც მოვესწარი მე იმ დღეს, რომ უსამშობლოდ ვიმინუნული, გნებავთ, გაანგარიშებული უხადო პოეტური ინტუიციის წყალობით – რომ არსად, არც ერთ სტრიქონში შემთხვევით არაფერი ხდება, სხვათა შორის არაფერი თქმება; რაკი რითმაც უარყოფილია, რითმისთვისაც არაფერი კეთდება“ (თ. ამყოლაძე).

პოეტისთვის აფხაზეთის ომი – ეს არის სამასი ათასი ადამიანის სასომხიდილი, ჩაფერვლილი თვალები, უსინარულო და უსიცოცხლო დღეები, უკუბოვო ცხედრები, ღიად დარჩენილი საფლავები; ეს არის სულიერ ძალთა შესაკრებელი, სადაც საკუთარი სული უნდა გამოფინო, რათა შეეს გენეტიკურ ნარმომავლობას კიდევ ერთხელ გაუსხა ხაზი და საგულისხმო ილუსტრაციად აქციო... საკენ-ჭებერის გოლგოთაგამოვლილი რაინდი პოეტი და მისი მსგავსნი ცხოვრებამ ვერ აქცია ლოტოფაგების მითურ კასტად. „თავსად დაგვიტყვი, ოლიფანტი, უხვად გექნება წლეულს ლოტოსი, მიორთვი, კარგად მიეძაღე“ (5.216). ნარმოსახვის თვალი უნდა გაახილო კაცმა და ფიქრი შემოიჯარო, რომ სრულად აღიქვა, რას ძერწავს პოეტი; სხვაგან უფრო სინატიფე და აღქმის სიმძლავრეა საჭირო, რომ გაითავისო პოეტის მიერ დახატული იდეალური სურათი: „ჩვენ მშვიდობა გვინდა, ოლიფანტი, რა დროს შიდა ქართლია, შე კაცო, რა დროს აფხაზეთია, როცა ქვირთისფერ მტკვარსა და ლიახვს ქორივით დაპყრებს სკითი და ხაზარი. მიორთვი, უფარდელად მიორთვი, კარგად მიეძაღე“ („ოლიფანტი“). ამ სტრიქონებიდან მირონივით იღვრება პოეტური ძალმოსილება. „ქვირთისფერი მტკვარი და ლიახვი“ – როგორ იტევს მდინარის ფერსაც, განწყობილება-საც, სიამაყესაც და სამშობლო მინის უნაპირო სიყვარულის და ეს პირდაპირი ხატი მიიღვენებს სტრიქონს: „ქორივით დაპყრებს სკითი და ხაზარი“. ამჯერად მთავარი მაინც ის არის თუ საიდან იღებს სათავეს ამ ლექსის სტილური ნიშანი, მასშტაბური მიწორო, მსგავსი კოსმიური უქსიმოზმისა. ვფიქრობ, ის არ მოდის არც რომანტიკული იმპულსებიდან და არც სხვა რაიმე მოვლენიდან, არამედ იმ დიდი ტკივილიდან, რომელიც სინამდვილემ, რეალობამ შთააგონა პოეტს.



### ცირა შალაშვილი

#### კავკასია

როგორც მამის მხრებს,  
მიყრდნობილი ვარ კავკასიას! –  
თვალწინ სუპერობს  
მობასხასე ალაზნის მოლი,  
დგას ალავერდი  
ყოფნასა და არყოფნას შორის  
და მის ტერფებთან  
ჟამს მაცდური ხიბლი გასცლია...

როგორც მამის მხრებს,  
მიყრდნობილი ვარ კავკასიას!

აპრილის ცაში  
ჩუმი ჟრუნით წრიალებს ქორი,  
წყაროს სარკეში ოქროს დაღალს  
აელვებს წნორი, –  
ირგვლივ ყოველი  
პირველყოფის მადლით სავსეა –

როგორც მამის მხრებს,  
მიყრდნობილი ვარ კავკასიას,  
როგორც მამის მხრებს,  
მიყრდნობილი ვარ კავკასიას!

#### ცირცე

ეს რა ჰქენ, ცირცე,  
აიეტის გრძნეულო დაო,  
მზის აივანზე გადმომდგარხარ  
მოკლე შორტებით  
და მზერა თვალებს  
დამცინავი ღიმილით ახელს –  
დათარეშობენ ქვეყანაში  
ლორის კოლტები  
და ყოველ მათგანს  
ისე მოსწონს თავისი სახე,  
არც მომავალს და,  
მით უმეტეს,  
არც წარსულს დაობს...  
ეს რა ჰქენ, ცირცე,  
აიეტის გრძნეულო დაო!  
ისე ნაღდი და ნამდვილია  
ყველა ნილაბი,  
ანმყოფი მაძღარს  
ბეჭდად აზის შენი მისნობა, –  
ჰგავს ნუთისოფლით ნაკარნახევს  
შენი იგავი –  
ბედნიერია კვლავ  
ლორული მარადისობა.

#### ახალ ყივჩაღთა ჰაიგანი

მუხრანში გავონილ-ჩანერილი

შემომეყარნა ყივჩაღნი  
სამზღვარსა ჟამთა ცვლისასა,  
„პური მთხოვეს და ვაჭმიე,  
ვურჩევდი თავთუხისასა,

ხორცი მთხოვეს და ვაჭმიე,  
ვურჩევდი ხობობისასა,  
ღვინო მთხოვეს და ვასმიე,  
ვურჩევდი ბადაგისასა,“  
„ვაშა“ მთხოვეს და ვიყვირე,  
ქუხილს ემსგავსა ცისასა,  
ტაში მიბრძანეს, დავუკარ,  
ტკაცანსა ჰგავდა ზღვისასა,  
შვილი მთხოვეს და მივეცი  
ზარბაზნის ლულის სატენად,  
ცოლი მომთხოვეს – სად მყავდა!  
ღამეს ჰარემში ათევედა!  
სახლი მთხოვეს და ვუბოძე,  
ტყეს შევეხიზნე ბრისასა,  
ტყეც მოესურვათ, გავიქეცე, –  
ხრიოკს გავვარდი ქვისასა,  
მდინარეს ხვრეპდა ვილაცა,  
ბელტად ყლაპავდა მიწასა,  
ანაზდად ჯვარქვეშ დავლანდე  
ნიშანი სატანისასა,  
მთას აველ – ამყვენ, ზღვას ჩაველ –  
ჩამომყვენ, – ვაი, მტრისასა.  
მიწას ვთხოვე და გამეხსნა –  
ქვესკნელშიც მოვხვდი სხვისასა,  
ღმერთო, წამგვარე ამ ჟამსა,  
არაქართულის ზნისასა!

#### ქსანჯე

კლდით გადმოდგება ქსნის ციხე,  
შუბლშეკვრით, განა ღიმიტა,  
ხელს მოიჩრდილავს მარჯვენას,  
მიმზერს პაპაჩემივითა.  
იმ სიმაღლიდან სანუთო  
ჩანს, ალბათ, მცირეზე მცირითა,  
ნადულაბები წარსული  
ქონგურებშილობს კირითა,  
საით გასცურავს მყობადი  
სოფლის ზღვას ჟამის ტივითა!  
რომ მკითხოს, მამულს რა სჭირსო,  
რა ვკადრო ანმყოს პირითა,  
„ვახარო“, მამულ-დედული  
გაცემულია ქირითა?  
გამწყდარან ერისკაცები  
პირველკაცობის ქირითა,  
არსახვალიოდ ჰყოფნობენ  
თავის ცოლით და შვილითა?  
როგორ შევბედო: ქრისტეს სჯულს  
სჯაბნის სატანის ლაშქარი,  
ძვირად შემორჩა ქვეყანას  
კაცი მრთელი და მართალი.  
მეფეთა ხმლით მოხაზული  
ზღვარნი კვნესიან ნაშალნი,  
ბრძენ ხელმწიფეთა საუფლო  
ტახტად ქცეულა მასხარის...  
სამყაროს ენა – ქართული,  
ლაზარე – საფლავს შთენილი,

სიცოცხლის წიგნი საუფლო,  
ღვთის ხელით გადაწერილი,  
გამოკეტილი ბჭეები –  
ჩემი სამშობლო ეს არი;  
ფუძეთა ანგელოზები –  
ოლოლებივით მკვნესარი...  
უცხო თესლს ანაყოფებენ  
დედაკაცები წიალით,  
სენი შეჰყურია ქვეყანას –  
ნათელზე უფლობს წყვილიადი.  
ქართული სისხლის უხსოვარ,  
დაფარულ იდუმალეობას  
ისე გასცემენ სასხვისოდ  
უხვად და დაუნანებლად,  
საგინებელი გამხდარა  
სრულად მამულიშვილობა,  
ალარსად მადლი ქართული,  
არც სადმე ზნეკეთილობა...

კლდეს ეჯარვიან ღრუბლები,  
ლამის გავარდეს მეხიცა,  
მახსოვს, ტირილში ჩავთვლიმე,  
ნეტავ,  
სად გამომეღვიძა!

#### ვატრიაძი

მწყემსო კეთილო, გაბნეულ ფარას  
უკან ახედებს შენი ხმის ექო,  
ოდესღაც ყველას სახელი გვერქვა –  
რად დამავინყე, რა მერქვა, ღმერთო!  
რად დამავინყე,  
მქონდა სამშობლო,  
მზის ამოსვლიდან მთვარის ჩასვლამდი  
ცის კარს მიღებდა მზე ყოველ დილას  
და, რომ ვარ, იმას სულაც არ ვგავდი!  
შენ უწყი მხოლოდ,  
პლანეტა მიწას  
რად ვეძახოდი მარტო მე – დედას,  
მე ვაერთებდი ცას დედამიწას  
და გული მისი სიცოცხლით ძგერდა.  
ახლა კი რა ვქნა!  
ფესვებგადაჭრილს  
საიდან საით მახეთქებს ქარი,  
ამ მოტორტმანე დედამიწაზე  
რას შევაფარო, უფალო, თავი!  
მეწყერი მომდევს,  
როგორ გავუძლო,  
ანიღვრებულ ჟამთა ამინდებს,  
მეგზურად სხივი მაინც მანიშნე,  
სამშვიდობოზე როგორ გავიდე!  
მგონი, დავბრმავდი, წამერთვა ძალაც,  
მაგრამ გული რა  
ნათელით ფეთქავს!  
მწყემსო კეთილო,  
გაბნეულ ფარას  
უკან აბრუნებს შენი ხმის ექო.



ყოჩივარდები დამჭკნარიყო ლარ-ნაკში.

სათითოდ გადაარჩია იმ იმედით, იქნებ რომელიმეს გადარჩენა შეიძლებოდა.

„სამწუხაროდ, ყველა დამჭკნარა.“ ხელში კარგა ხანს ეჭირა. ვერ გადანყვიტა, რა უნდა ექნა დამჭკნარი ყოჩივარდებისთვის.

ბოლოს მოიფიქრა და კედელზე დაკიდებულ „ჭორიკნებს“ ჩაუყარა ქოთანში.

„იყავით „ჭორიკნებთან“... ცოლი რომ ყოფილიყო სახლში, ასე მალე არ დაჭკნებოდით.“

სალამოვდებოდა.

„რა ვაკეთო ახლა?!“ სულ ნატრობდა მარტო დარჩენას. სახლში მისი საკონცერტო მზადება ოჯახის წევრებისთვის ძნელი ასატანი იყო – დღეში შვიდი-რვა საათი ფორტეპიანოს ხმა ოჯახურ სიმყუდროვეს შეუძლებელს ხდიდა.

ახლა კი, როცა მეუღლე და შვილი დასასვენებლად წავიდნენ, დაიბნა. თითქოს მათი სახლში ყოფნა აუცილებელი გახდა, რომ ინსტრუმენტთან დამჯდარიყო.

ფორტეპიანოს სახურავი ახადა. ცოტა ხანს გამებში წაივარჯიშა. არა, ეს არ იყო მუშაობა! სერიოზული მუშაობა კი რატომღაც უიმათოდ არ შეეძლო.

ისევ დახურა.

„რა ვაკეთო ახლა?!“ – ყმანვილო, რა ვაკეთო-მეთქი, მირჩიე, – მიუბრუნდა ძალს, რომელიც ხალიჩაზე იწვა და პატრონს თვალს არ აცილებდა.

ძალმა თვალეები დაახამხამა, ესიამოვნა პატრონის ყურადღება, მაგრამ ემოციის გამომჟღავნება აუცილებლად არ ჩათვალა და ამიტომ არ განძრეულა.

„ხომ არ გამესიერნა ვლადიმერთან ერთად?!“

ვლადიმერი ძალს ერქვა.

მერე მოაგონდა, რომ, სადაც იყო, დაღამდებოდა.

– არა, მეგობარო, ღამით სიარული არ ღირს!

ძალმა ისევ დაახამხამა თვალეები.

– ჩაი ხომ არ დაგველია? ეჰ, ცუდია, ყმანვილო, თქვენ რომ ჩაის არ მიირთმევთ. წესიერ ვახშამს კი მაშინ ველირსებით, როცა ჩემი მეუღლე დაბრუნდება.

სამზარეულოში გავიდა. ჩაიდან დადგა. ისევ შემობრუნდა. ოგინსკის „პოლონეზი“ წაიღილინა, ტელევიზორი ჩართო, სავარძელში ჩაჯდა და შალი შემოიხვია.

ტელევიზორში რაღაც კლიპს უჩვენებდნენ.

– ვლადიმერ, ყმანვილო, ცხოვრებაში ვერ მივხვდები, რა არის საინტერესო ამ უაზრო კლიპებში. მაგალითად, ეს სიმღერა მუსიკის ახლო ნათესავიც კი არ არის, ტექსტზე ხომ უკვე აღარ ვლაპარაკობ. ო, ეს „ემანსიპირებული“ ქალები ვერასდროს შენს გულს ვერ მოიგებენ, დარწმუნებული ვარ!

ვლადიმერი, ალბათ, დაეთანხმა.

ტელევიზორი გადართო. ცოტა ხანს უსმინა – რომელიღაც ჟურნალისტს საპარლამენტო არჩევნების წინ რომელიღაც პარტიის ლიდერთან ინტერვიუ ჰქონდა.

– ხედავ, ვლადიმერ, რა ხდება?! ისე მშვიდად ლაპარაკობს მომავლის გეგმებზე, თითქოს მონესრიგებული სახელმწიფოს არჩევნებზეა ლაპარაკი.

„თუ გვინდა ნერვებს გავუფრთხილდეთ, არ არის საჭირო პოლიტიკა... ხან ეს გახდის ქალები ამ კლიპებში, ხან პოლიტიკა! ცოდვია ვლადიმერი!“

ოთახში ცხელი ჩაითა და ვარდის მურაბით შემობრუნდა.

შილერი ისევ თაროზე დადო და თავის საყვარელ სავარძელს დაუბრუნდა. ჩვევად ჰქონდა, ჩაი და ყავა ოთახში უნდა დაეღია, სამზარეულოში მხოლოდ სადილობდა და ვახშობდა. „სამზარეულოს იმისთვის ჰქვია სამზარეულო, რომ მზარეულმა სადილი მოამზადოს, სოლიდური ასაკის კაცმა კი ჩაი ოთახში უნდა დალიოს.“

ჩაი მოსვა.

კედელზე რომელიღაც ჟურნალიდან ამოჭრილი ჩაიკოვსკის პორტრეტი ეკიდა.

– ბატონო პეტრე, – მიმართა პორტრეტს, – თქვენი ბიოგრაფები ამტკიცებენ, რომ საქართველოში არასოდეს ყოფილხართ. მაშ, ამისხენით, გეთაყვა, თქვენს შემოქმედებაში საიდან არის ეს ქართული ჰანგები?! მაგალითად, „ინდური ცეკვა“ ნამდვილი ქართული



სიციხო ბრატიაშვილი

სახურავზე მტვერი რბილი ჩვრით გადაწმინდა. მერე ახადა. მუყაოს ბუდიდან ფირფიტა ფრთხილად ამოიღო, მხოლოდ ორი თითით შეეხო კიდეებზე, დისკოზე დადო და ფირსაკრავი ჩართო.

გარდა იმისა, რომ ჩვევების ერთგული იყო, მთელი ეს პროცესი მევიოლინის კონცერტზე გასასვლელ მზადებას აგონებდა. ასეთივე სიფრთხილი იღებს მუსიკოსი ბუდიდან ვიოლინოს, ასეთი სიფრთხილი უსინჯავს ხეში სიმებს და სცენაზედაც ასეთივე მღელვარებით გადის.

ახლაც ზუსტად ამ განწყობით მოემზადა მუსიკის მოსასმენად. მას კიდევ ერთი ჩვევა ჰქონდა, რასაც ვერ უმხელდა ვერავის, იცოდა, ვერავინ გაუგებდა – ოჯახის წევრებიც კი... მუსიკის მოსმენისას ოთახი კუთხიდან უნდა ყოფილიყო განათებული, „მენდელსონის სავიოლინო კონცერტზე“ ჩვეულებრივი განათება უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ძალიან სუსტი. ვივალდის დროს – მწვანე, ბახს კი მოიასამნისფრო განათებაზე უსმენდა. თვითონ ამ დროს ოთახის ჩაბნელებულ კუთხეში იჯდა და ფიზიკურად გრძნობდა, როგორ შემოდოდა მუსიკა ჯერ სმენაში, შემდეგ სხეულში და როგორ გადაიქცეოდა თვითონ მუსიკად...

ახლაც, როგორც კი ოთახში პირველი აკორდები გაისმა, თანდათან გაქრა ის საგნები, რომლებიც ამ მოუხერხებელ ბინაში ხანდახან ასე აღიზიანებდა. მხედველობიდან გაქრა სკამები, მაგიდა, კედლის ავეჯი, თაროები...

სამყარო თანდათან მოიასამნისფრო ხდებოდა და ეს სამყარო, მოიასამნისფრო მთელი სამყარო საცხე იყო ბახით. ველარც სავარძელს გრძნობდა, რომელშიც თვითონ იჯდა, არამედ გრძნობდა უნონობას, ლივლივს და მოიასამნისფრო ბახს... იასამნისფერ სიზმრის მსგავს მუსიკას.

.....  
...რალაცა მოხდა!..

ჯერ ვერ მიხვდა, რა მოხდა. ყველაფერი თანდათან თავის ადგილზე დადგა... გარკვევით დაინახა მაგიდა, სკამები, თაროები. იგრძნო სავარძელიც, რომელშიც იჯდა.

...მუსიკა ჯერ არ დამთავრებულიყო..

...რალაცა მოხდა!..

თანდათან მიხვდა, კარზე ვილაც აკაკუნებდა..

უფრო სწორად, კი არ აკაკუნებდა, ვილაც აბრახუნებდა ორივე ხელით... დაიბნა...

როგორც იქნა, მიხვდა, რომ სავარძელიდან უნდა ამდგარიყო და კარი გაეღო...

ადგა...

ძლივს მივიდა კართან... წვლებით მონახა საკეტი... წვლებით გააღო კარი...

ღია კართან ქურთი მეზობელი იდგა ხუთივე შვილით:

– შენი უბორნიიდან წყალი ჩამოდის!

# უკუხი

პროტესტის ნიშნად ტელევიზორი გამორთო.

ნიგების თაროზე შილერი მონახა და ისევ სავარძელში მოკალათდა.

– სისულელეების მოსმენას გენიოსების წაკითხვა ჯობია, – თქვა თავისთვის და „ხელთათმანი“-ს კითხვა ხმა-მალლა დაიწყო:

„...ესერის სახეში, შორდება წყენით: – არა მჭირდება წყალობა თქვენი!“

ეს ფრაზა უკვე ფეხზე წამომდგარმა წაიკითხა და განსაკუთრებული პათეტიკითაც. ამ დროს მისი ყურადღება რაღაც შიშინმა მიიქცია.

– ოოო, ჩაი! – სამზარეულოში სირბილით გავიდა. ჩაიდან თითქმის დამშრალიყო. წყალი დაამატა და, სანამ ადუღდებოდა, იქვე დარჩა, „რომ გავიდე, კიდევ დამავინყდება“.

„იავნანას“ იმპროვიზაცია... არა, რას ბრძანებთ, პირიქით, მე ბედნიერი ვარ, თუკი ქართულმა მუსიკამ თქვენზე ასეთი გავლენა იქონია.

ჩაი ისევ მოსვა.

– ბატონო პეტრე, – მიმართა ისევ პორტრეტს, – გულისტკივილით მინდა გითხრა, ხალხს უკვე აღარ აინტერესებს კლასიკური მუსიკა. კონცერტებზედაც მხოლოდ მუსიკოსები დადიან ან მუსიკოსების ახლო ნაცნობ-მეგობრები, ისიც დიდი ხათრით. ჭეშმარიტ ხელოვნებას შოუ ურჩევნიან, ბედნიერების შეგრძნება იავ მხიარულებაზე გაცვალეს და დიდი ბედნიერება – კმაყოფილებაზე. არადა, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, კლასიკური მუსიკა სულს ისევე ასუფთავებს, როგორც ლოცვა.

ჩაიკოვსკის თავისი შინაგანი ბუნებით რატომღაც ჩეხოვს ამსგავსებდა, ბეთჰოვენს კი გალაკტიონს.

„ის შინაგანი ცეცხლი...“

გაახსენდა, გაზქურა ჩართული დატოვა.

– ეჰ, ვლადიმერ, მე მგონი ცოტა გულმავინყი გავხდი.

ადგა. სამზარეულოში გავიდა. გაზქურა გამორთო.

ვლადიმერსაც კი არ უმხელდა, რომ შინაგანად აფორიაქებული იყო.

ბახის „პრელუდიები“! აი, რა გვინდა ჩვენ!“

„ჩვენ!“, ესე იგი, მხოლოდ და მხოლოდ თვითონ, მუსიკაზე არასდროს არ ლაპარაკობდა ვლადიმერთან.

ფირფიტებში ბახის „პრელუდიები და ფუგა“ მონახა. შვილის ოთახიდან ძლივს გამოიტანა ფირსაკრავი.

„ათასჯერ ვუთხარი, ნუ ამტვერიანებთ, ხშირად გადანმინდეთ-მეთქი“, მერე გაახსენდა, რომ შვილი მთელი კვირა სახლში არ იყო. მერე ისიც გაახსენდა, ეს ძველი ფირსაკრავი სახლში მის გარდა არავის სჭირდებოდა და, თუ აქამდე ვინმეს არ აჩუქეს ან არ გადააგდეს, მხოლოდ და მხოლოდ მამის ხათრით. ცოლი ისე უყურებდა, როგორც „ყოვლად უფარვის“ ნივთს, შვილს კი, რაც მოსწონდა, ყველაფერი დისკებზე ჰქონდა ჩაწერილი... და, რაც მის შვილს მოსწონდა, ის ნამდვილად არ იყო ბახი!

თვითონ კი ყველანაირ „დისკებს და კომპიუტერებს“ ფირსაკრავი ერჩია (!!!).





### ირინა კვიტაშვილი

\*\*\*

მე არაფერი არ მინდა შენი, ოღონდაც მყავდე სვიანად, კარგად, ეგ სევდიანი თვალები შეველის არასდროს მთვლიდნენ უაზრო ბარგად.

მე არაფერი არ მინდა შენი, ოღონდაც დამსვი სიცოცხლის მცველად, ეგ სევდიანი თვალები შეველის არ დაიღვრება არასდროს ცრემლად.

ხარ სიყვარული, ასე რომ მშველის, მიგულვე მტერზე შემართულ მუშტად, ოღონდ თვალები, თვალები შეველის ნუ შემომხედავს ნურასდროს კუშტად.

თვალებში სითბო გედვრება შეველის და მინდა დიდ ხანს, დიდ ხანს გიყურო; ტკივილიანი იღბალი შენი, მსურს, საბანივით გადავიხურო.

### სიკვდილის შიში

ეს მერამდენედ ჭინჭარივით მისუსხავს კანჭებს...  
ეს მერამდენედ, დავუძვერი სიკვდილის კლანჭებს, თუმცა ყოველთვის წაგებაზე როდი თამაშობს  
ერთხელაც თავის რკინის თითებს ისე ჩამასობს,  
რომ გამიტაცებს წინილივით, ვითარცა ქორი,  
და საუფლომდე მიმაცილებს ნარნარა ქროლით,  
მაგრამ ვერ მნახავთ, გეფიცებით, თვალბეცრემლიანს,  
თუ შემახვედრებს, ვინც მიყვარდა, ყველა ჩემიანს,  
თუკი დავრწმუნდი, ზედმეტი ვაი და ვიში –  
სიკვდილის მართლაც არასოდეს მექნება შიში.

### ყაყაჩო

ცერად მიყურებს მინდვრის ყაყაჩო, საბრალო ლამის ბოლმამ დაახრჩოს...  
ერთი შეხედვით ლალი და მშვიდი შურიანია და თანაც ფლიდი.  
ფიქრობს, მოვტაცე წითელი კაბა, გაბუტულია და თვალებს ნაბავს.  
ჰგონია, ღანვთა წავართვი ფერი, ხავერდოვანი თვალების ჩქერი, რომ დავესესხე ეშხსა და ხალებს,  
რაც ასე ძლიერ ამშვენებს ქალებს –  
ურცხვად წავგლიჯე წამწამთა ჯარი,  
... ცრემლის ვადინე ღვარი.  
ჩემი ბრალია თუ ბრალი სხვისი, მეტოქეობის რომ გავხდი ღირსი?

ცერად მიყურებს ყაყაჩო ველის, მონანიებას ამაოდ ელის.

### დრო უღემოპელია

დრო არ გვპატიობს შეცდომებს, უფლებაც არ გვაქვს გვემის...  
ჩემი პატარა სამშობლო, ჩემი ლამაზი გრემი!

გაუტანლობა ოდითგან...  
გული დაღალა აზრმა,  
უცხოოდ მზირალი კლარჯეთი, ოშკი, ხახული, ზარზმა...

ქართული ბედოვლათობა, უჭკუობა და კრახი...  
გასხვისებული ბიჭვინთა, გაჩუქებული კახი.

მიუსაფარი, ობოლი და გულში ჩასაკრავი –  
ჩემი პატარა ქვეყანა, გზაბნეული კრავი.

დრო არ გვპატიობს შეცდომებს, დრო სისხლის ფასად იწვის...  
დავდნებით, უცხო წაგვართმევს კუმურდოსა და ყინვისს.

უნიათობა ქართველთა აი, თავი და თავი.  
ჩემი პატარა სამშობლო –  
ჩემი „შაგრენის ტყავი“.

## რეკლამიდან „მთიანეთი ღამის ღაზბერძნობა“

### აზრების შიში

ამ მთებში მუდამ ქარი იქროლებს, მძაფრდება იგი მაღლა და და მაღლა...  
ამდენი ქროლა ვერ დავიგროვე და ველარ მომაქვს ის თქვენთან ახლა...

სხვა ყვავილები, სულ სხვა ჩიტები, სხვა ჩანჩქერები ჰკივია ზემოთ, და გჯერა, ახლა შენც გაფრინდები...  
და ენის წვერზე ზის ღრუბლის გემო...

როდესაც მაღლა, ძალიან მაღლა, ცად აიჭრები, დახედე მინას...  
ხმელეთზე მაშინ უეცრად ნახავ, მინის გარეშე ამქვეყნად ვინც ხარ...

როცა შეგიპყრობს შიში ან სევდა და გაქროლების პირქარი გგუდავს...  
ო, ახლა ქვემოთ თუ რამე ხდება, მიხვდი, რომ ცაშიც ატარო უნდა...

და გეშინია საკუთარ ფრთების, არ ჩამოვარდე იქ, სადაც იშვი...  
სადაც უეცრად იხილე მთები და ცად აფრენის პირველი შიში...

### მეშვიდე ცაში

ჩემი სიმღერა პროზაულია, სადაა, როგორც ბებოს ზღაპარი...  
გალაქტიკებზე მოგზაურია და აშლილი აქვს მუდამ ფაფარი...

ის ადვილია, ღრმაა და ტკბილი...  
უცებ ჩაგძირავს, დაგათრობს უცებ...  
არ გასცდენია ჩემი ხმა თბილისს, რადგან გულის ხმას არავინ უსმენს...

და ყველა სიტყვა აქაურია, უბრალოა და ყველას არ ესმის...  
სიმღერას ჩემსას სათაური აქვს, მას არ უგრძნია ვინმეს ალერსი...

ის იბადება ამ შავზნელ დროში, აქ ნამდვილ მსმენელს შია, სწყურია...  
მას არ უჭირავს მახვილი ხელში და მისი პროზაც პოეტურია...

იგი გროვდება შემდეგ რაკრაკით, მოედინება უდაბნოს გულზე...  
იგი თხრობაა და ლაპარაკი, მაგრამ სიკეთით დაგიპყრობს უცებ...

სიმღერა მუდამ ანთია, იწვის...  
თუ არ ანთია, არაფერია...  
და მან თავისი სათქმელი იცის, და მოსვლა იცის, როგორც ფერია...

ჩემი სიმღერა ბრძენია ზოგჯერ, ზოგჯერ შეშლილი, ზოგჯერ უხეში...  
დამარცხებულიც სიმადლეს მოგცემს და აგიტაცებს მაღლა ღრუბლებში...

### ისე, ზოგადად

ო, როგორ მინდა, იცხოვრო უკეთ, ამაღლდე უფრო, იწამო რამე...  
გახსოვდეს, ნათელს ნუ გაამუქებ და გაუფრთხილდი ამ დათვლილ წამებს...

მართლაც გიყვარდეს, თუ ვინმე გიყვარს, თუ რამეს დარგავ, უნდა ახარო...  
და, სადაც შენი იღბალი მიგყავს, არასდროს დათმო შენი სამყარო...



### ილია ერქვანია

მოხვდები ერთხელ უდაბურ ტყეშიც, ბნელი სიჩუმე შეგზარავს მყისვე...  
თუ საკუთარ თავს აიყვან ხელში, გზა გაიხსნება უეცრად მზისკენ...

გელის ხაფანგი, გელის უდაბნო, გელის, ძნელია რისი გაძლება...  
იცოდე ერთხელ და სამუდამოდ, ვერავინ ველარ ჩაგენაცვლება...

შენ უნდა გაძლო, შენი ანო, რომ დასკდეს თუნდაც ყოველი ძარღვი...  
არწივი თუკი აღარ არწივობს, მისი მეფობა არაფრად არ ღირს...

შენ მომავალი გქვია სახელად, მეც დამინახე ჩემი შეცდომით, ნეტავ, ჩემს სულში შემოგახედა, შეძლებ საკუთარ თავის შეცნობას...

შეძლებ, რომ უკეთ შეხედო ყველას, მიხვდე, რას ნიშნავს მოკვდავი შენთვის...  
არ შეგეშალოს, ვის უნდა შეველა, მას იმსახურებს ათასში ერთი...



**ომის ქარ-ცეცხლი**

*ავღანეთის ომში ერთ დღეს შეიძლება ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა და ცხრა დაიჭრა/*

ომის ქარ-ცეცხლმა გახსნა მირაჟი ტყვიების სეტყვა იყო მქუხარე. სიცოცხლის მხსნელად არ ჩანს ბლინდაჟი, სიკვდილი მეტროპოლს აქცევს მწუხარედ.

დღე თენდებოდა ადვილი სევდით, თუმცა მზის გული იყო ნათელი. ინგნენ ბიჭები დაფლეთილ მკერდით.

დააკლდით ერსა შეიძლი ქართველი. სიკვდილს ხომ ფრონტის მხლებელი ჰქვია.

დარდმა მოიცვა უტყუი ხალხი. მდულარე ცრემლის ნაკადსა ღვრიან, ოჯახის წევრებს ჩააცვით თალხი. ძირს დაშვებულან ჩვენი დროშები, გლოვის ნიშანი ერში ეს არი.

ავღანეთიდან, ვით შორს ბოშები. თქვენს დაბრუნებას ველარ შევხარით.

ქვეყნის გულისთვის გასწორეთ თავი.

რაც ტოლფასია დიდი გმირობის. თქვენს გამო ჩვენს ერს აქვს დარდის ხვაივი.

ხართ შემსრულები თქვენი პირობის.

გვწამს ხალხის გულში იცოცხლებთ მარად,

რომ უკვდავების შეგრჩათ სახელი. სამშობლოს წინსვლას ედევით ფარად

თქვენ უცხო ქვეყნის თანამზრახველნი.



**ალექსი ნამორაძე**

მაჯადოებს მათი ხილვა ფული არ მაქვს, ვხარობ ნატვრით. ძონი, ლალი, სარდონიქსი და მზინავი აგერ ქარვა ვიხიბლები მათი მზერით ზოგს ეწყება გულის ბზარვა.

აღზევების მწვეარვალზე ვარ მზერას მტაცებს იაგუნდი. ვერ ვყიდულობ, მაგრამ დიდად კმაყოფილი გამოვბრუნდი.

**რუსთაველი**

დიდი სიბრძნის გონით სავსე ღმერთმა მოგვცა რუსთაველი. ხალხს სიკეთის მადლით ავსებს ერის წინსვლას მუდამ ველით.

უკვდავების გვირგვინდადგმულს საქართველოს ერი ლოცავს. ჩვენს სამშობლოს და ჩვენს მამულს ცა ეხსნება გასაოცარს.

**შეშობილის გარჯა**

მწერლები და პოეტები მუშაობენ მარადის. გონებრივი ნააზრევი ქალაქებზე გადადის. ზოგი ძეგლად შეფასდება უკვდავების ღირსებით. ზოგს დრო გაჰყავს სალალობოდ, ასეთია თვისებით.

ზოგი ერს წინ წარუძღვება გენიოსის ტიტულით, რადგან სხვას აღემატება სიბრძნით, როგორც მზის გული. სამშობლოზე ფიქრით მოღლილს, ქვეყნის ერთგულ მეუფეს. გამარჯვების გვირგვინს ადგამს ერი გარჯას შეუქებს.

**სტიქიონები**

ქარი ართავდა ნისლების ფთილებს. შავი ღრუბლები იწყებდა წვიმას. ღრუბელთა მბრძანებელს ვინ გააფრთხილებს. შეწყვიტოს დარტყმა, უსმინოს წმინდანს.

სტიქიონების შეტევა დიდი. ცოდვის ჩამდენი, გულშემზარავი. აიკლებს ხმელეთს და მერე მიდის. მთებს დგამს წუხილის როგორც კარავი. ხალხის ცოდვაში ჩამდგარი მტრობა უნდა დაემოს ღმერთის ბრძანებით. და სტიქიონთა შეტევა, სპობა, წარხოცება მზით დაქარებით.

**საქართველოს მიწაზე**

ყველას თვალი უჭირავს საქართველოს მიწაზე. ვინც იხილა, გაოცდა, აქ ცხრათვალა ინვა მზე. მოსავალის სიუხვე. აი, მისი შედეგი.

თუმც ჰესები გაყიდეს, კვლავ შენდება შემდეგი. ბუნებაა ედემის. შიგ ღვთის თვალი ტრიალებს. სასმელები ზადავის ტკობით გვივსებს ფიალებს. მინის ქვეშეთს ფერადი ლითონების სიმდიდრე ღმერთმა უხვად გვიბოძა საქართველო იმკვიდრებს.

ერის ოქროს საბადო სხვის ნავთობზე ძვირია. გაგვიყიდა მთავრობამ ჩვენი გასაჭირია. ზეატყორცნილ მწვერვალზე სიყვარულით ვიხსენებ. ჩანჩქერების დიდ ქუხილს კალმახები ისმენენ.

ქვეყნის ავლადიდებას ერისკაცი განაგებს. სოფლებსა და ქალაქებს გამრჯე ხელით ანაგებს გაფრთხილება სჭირდება ქვეყნის გადასარჩენად. სიბრძნით მართვა სამშობლოს სასიკეთოდ დარჩება.

**ღამაჰ ძვითა გამოვიანა**

მე ვიხილე ძვირფას ქვების საოცნებო გამოფენა. ვხედავ სადაფს და სარდონს ვგრძნობ შინაგან აღმარენას. ბრწყინვით შორიდან მიზიდავს ზურმუხტი და ბრილიანტი.

ერთხელ მეგობარმა ნატაბლში წინის საერთაშორისო ფესტივალზე მიმიპატიჟა. სასწაული ქალაქია ნატაბლი – დემოკრატიის უზადო აკვანი დღესაც განაგრძობს აქეთ-იქით რწევას, ტრადიციული ფესვები, რომელიც წინსვლას ხელს უშლიდა, ძირშია გადაჭრილი. ამიტომაც ნატაბლელიებმა ქალაქის გერბზე მახრა გამოსახეს, რომელსაც საცეცხეში ადათ-ნესები მოუქცევია და გულმოდგინედ ხრავს. ასეთ საინტერესო და ორიგინალურ სიმბოლიკას ვერსად შეხვდებით, თუ არა ნატაბლში.

სტამბის სუნი ტრიალებდა ქალაქში – ყოველ ნატაბლელს ხელში უჭრნალი ან წიგნი ეკავა და სხვადასხვა შეკრებაზე დასასწრებად მიიქაროდა.

**ნატაბლში**

ჩემმა მასპინძელმა მირჩია, ფეხით გავისეირნოთ, ქალაქსაც დაათვალიერებ და სხვადასხვა ღონისძიებებსაც დავესწრებითო, რაზეც უსიტყვოდ დავთანხმდი. პირდაპირი მეგობრები ნატაბლის ქუჩებს – ბანკი, ბანკი, ბანკი, აფთიაქი, ისევ ბანკი, ბანკი, ბანკი, აფთიაქი. ამდენი ბანკი შევიცარიის არც ერთ ქალაქში არ მოიძებნება. უნამუსო უნდა იყო, სულ ცოტა, ათასდოლარიანი კრედიტი რომ არ აიღო, შემდეგ აფთიაქში უნდა შეხვდეთ, ნერვები დაინწყარო, ჯანმრთელობას მიხედო, მერე ისევ ბანკი, ბანკი და ბანკების ჯარი. ყველა საღად მოაზროვნე მიხვდება, რომ ნატაბლი მსოფლიო საბანკო სისტემის ჭიპია.

მეგობარმა ამხსნა, რომ ძალიან ცუდ ტონად ითვლება, თუ კრედიტი არ გაქვს აღებული და თხემით ტერფამდე ბანკდამოკიდებული არა ხარ.

გზა გავაგრძელეთ. პირველი, რასაც შევესწარი, ძეგლის გახსნა იყო. არ გეგონოთ, თითქოს ვინმე ცნობილ ადამიანს უხსნიდნენ ძეგლს, არა, გაცოდებით და, ქვეყნის მთავარი ძეგლთამცველი საუკუნოვანი უფროსების ქანდაკებებთან იდგა, ხელში მაკრატელი ეკავა და ნითელ ლენტს ჭრიდა. ახლოს მივიწვი, რათა კომპოზიციას კარგად დაგვეკვირდებოდით. მოქანდაკეს თვალცრემლიანი შეექმნა უფროსები: „დიდა“ და „ცისკარი“. გამიკვირდა, რა საჭირო იყო ატირებული უფროსების ძეგლის დადგმა, მაგრამ მთავარმა ძეგლთამცველმა ისეთი, ისეთი მხურვალე სიტყვა წარმოთქვა, რომ ყველაფერს ნათელი მოუფინა – დემოკრატიის განვითარებას აფერხებდა ორივე გამოცემა და ისეთი ქალაქი, როგორც ნატაბლია, ამას ვერ შეეგუებოდა. სამაგიეროდ, ხალხს ოცდამეერთე საუკუნის ტალღებზე მოლივლივე უფროსი „ახალი იათა“ წარუდგინა.

მთავარმა ძეგლთამცველმა პაუზა დაიჭირა, ხუჭუჭა ჭაღარაზე ხელი გადაისვა, ჰალსტუხის კვანძი შეისწორა, მშვიდი გამომეტყველება მიიღო, უფროსი გადაშალა და ბარბას ლექსების კითხვას შეუდგა.

ტრიბუნასა და ხალხს შორის დიდი მყავალი იდგა, რომელშიც არც ცეცხლი ენთო და არც ნაკვერჩხალი ეყარა, უბრალოდ, შამფურები ტრიალებდა. თითოეულ მათგანზე ნატაბლელი დიდი პოეტის სახელი ეწერა. შამფურები თავისთვის ბრუნდნენ და რკინის ულარუნი-საგან მელოდიურ ფონს ქმნიდნენ. ასეთ პერფორმანსს ნამდვილად არ ველოდი – ეს ხომ საუკუნის ბოლო წამოყვინება გახლდათ.

თავს უფლებას მივცემ, რათა ბარბას ლექსიდან რამდენიმე პნკარი წაგიკითხოთ:

**333333 33333333**  
**(33333333333)**

1.

33 3333 33333, 333333333 3333 33 33333, 3333333 333333333 3333 333333333

33 3333 33333333 333333333, 333333333, 333333 333333333 33333333 33333333

3333333 333333333,

33 333333333 33 3333333 33 3333333, 33 - 3333 333333333.

ამ ლექსმა ნატაბლელიებში სასწაული ემოცია გამოიწვია, ოვაციებმა და ტაშის გრილმა გააყრუა იქაურობა. ლექსის სასხეულო ასეთი პოეტისა და სივრცული ორგანიზმების შესახებ მდიდარი სემიოტიკური ინფორმაცია არავის მოესმინა. ხალხს ყველაზე მეტად შინაარსი მოეწონა. ძეგლთამცველმა უფროსის რედაქტორი, უჩინარი იათა სცენაზე იხმო და ერთი ლექსის წაკითხვა სთხოვა. ამ შედეგიდანაც მინდა რამდენიმე პნკარი გავაცნოთ:

**zzzzzzzzzz zzzzzzzz**  
**zzzx, zq xzz zz zz zzzz zzzzzzz, zzzzzzzz**  
**zzzzzzzz zz zzzzz,**  
**zzzzz zzzzzzzz zz zzzzzzz, zzz zzzzz,**  
**zzzz zzzzzzzz zz zzzzzzz, zzz zzzzz,**  
**zzzz zzzzzzzzz zz zzzzzzz**

არანაკლები ოვაციები გამოიწვია ამ ლექსმაც, ხალხმა იათა ბისზე იხმო, მაგრამ უჩინარი ისევე გაქრა, როგორც გაჩნდა. ამ ყველაფრის შემხედვარე დიდი შთაბეჭდილების ქვეშ მოვექცევი. ვინც იქ არ იმყოფებოდა, ვიზიარებ მათ მწუხარებას. ასეთი ისტორიული ძეგლის გახსნა, შამფურების ტრიალი და ულტრათანამედროვე პოეზიის ნიმუშების მოსმენა აღემატება ერთი ადამიანის შესაძლებლობებს. კმაყოფილებასა და ბედნიერებას ჩემში გზა-კვალის დაჰკარგვოდა. და ბოლოს, რაც მთავარია, ძეგლთამცველმა საკუთარი, ოცი წლის წინათ დაწერილი ლექსების კრებულის პრეზენტაციაზე მიგვიპატიჟა, შემდეგ ნიკოლოზის დროინდელ მდივან წინოს უხმო და ასევე ნიკოლოზის დროინდელი მძღოლის გამოძახება დაავალა.

მეგობარმა – ნავედითო, მითხრა და

**სტუმრობა**

სხვა ღონისძიებაზე წამიყვანა. სულ მალე მოვეხდით ქალაქის ცენტრში, რომელსაც ცისფერ მოედანს უწოდებდნენ. იქაურობა ხალხით იყო სავსე. მარცხნივ მამაკაცები, მარჯვნივ კი ქალები იდგნენ. ალბათ, რამე რელიგიური თავშეყრა-მეთქი, გაკვირვებულმა გავიფიქრე, მაგრამ ყველაფერს მივხვდი, როცა პატარა ბიჭუნამ მამაკაცს შარვალზე მოქაჩა და უთხრა:

– დედიკო, სახლი წავიდეთ, დავილაღე.

– ნუ შემწახუხე, ცოტაც გაუძღლი, – პატარას ნახად გაუწყრა დედობრივი გრძნობით ანთებული ნაკაცარი, შემდეგ თავის მეორე ნახევარს გადახედა, – რა ვქნათ, ბავშვი დაილაღა, არ წავიდეთ?

– ძვირფასო, ჯერ რატის ლექსებს მოეუფლებით და შემდეგ, – სიყვარულით მიუგო მენწყვილები.

ძალაუვნებურად თვალი სცენისკენ გაემქცა, სადაც ნატაბლელიების საყვარელი ადამიანი, ლაშა იდგა და ტლიკინისგან ოფლად იღვრებოდა. გვერდს რატი უმშვენებდა, რომელიც თავის ჯერს მოთმინებით ელოდა. მათთან ახლოს ყველას დამცველი პიერო ცრემლად იღვრებოდა, ხოლო დაგრანტული ელენე ნადედაკაცარებმა „შვილები“ ხელში აიტაცეს; ატყდა, მაგრამ რა ატყდა, მთელი ცისფერი მოედანი ერთხმად გაიძახოდა:

*ლაშაა და რატი*  
*ნადი დემოკრატი!*  
*ლაშაა და რატი*  
*ნადი დემოკრატი!..*

ამის გამგონე ბედნიერი ყველას დამცველი პიერო უფრო ატირდა, ცრემლი დაბაღუპით ჩამოსდიოდა, ხოლო დაგრანტული ელენე ცხვირსახოცების ცვლას ვერ აუდიოდა – პიეროს ამშვიდებდა და სახეს უმშრალებდა. მოსალამოვდა. ამდენი დადებითი ემოციისგან ვერც დაღლას ვგრძნობდი და შიშისგან გრძნობაც წულზე მქონდა დასული. მეგობარმა გამახსენა, რომ ჩემი ავტობუსი მალე გავიდოდა, ტაქსი გავაჩერეთ და სადგურისკენ გავიხეთ. ყველგან რაღაც თავყრილობას მიადგებოდი, ხალხი საყვარელ ხელოვანებს შესციცინებდა და ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე იყო.

ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი, რომელსაც გზად შევხვდით და ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, ის იყო, რომ მწერლებს თავისი საყვარელი გმირების ფორმები ეცვათ და „ნიკოლოზუს“ სიმღერაზე – „ზოგი ასე უბერავს“ – ჯაგიჯუგობდნენ. თვალში საცემი იყო მწერალთა დირექტორი, რომელსაც ბელურის ფორმა ეცვა და სირის კოსტუმორგებულ ერეკლესთან ერთად იმპროვიზულ სალონში უბერავდა.

ძალაუვნებურად გავიფიქრე, რა ბედნიერი ხალხია ნატაბლელიები – ასეთი დირექტორის ხელში რა სწორად მიმდინარეობს სამწერლო ცხოვრება-მეთქი.

ეჰ, რა ცუდია, რომ ყველაფერს დასასრული აქვს, ყველაფერი კარგი ძალიან მალე მთავრდება, მაგრამ ვერასოდეს დავივიწყებ ნატაბლს მისი შემოქმედებითი დულილის ტემპერატურის გამო.

# ორი... არასერიოზული მსჯელობა ორი... სერიოზული კანონის შესახებ (კავალეტი)

ნამეტნავად უსაყვარლესო (გვულისხმობთ გაზეთს – „ლიტერატურული საქართველო“) და ბატონო თამაზ!

უაღრესად რთულმა, სადღეისო და საჭიროებოთო საკითხმა გადაგვანყვეტინა, თქვენთვის მოგვემართა:

ძაან ჭკვიანურმა და სერიოზულმა საუბარმა მათთან, ვინც ჭკვიანი და სერიოზული არაა, იქამდე მიგვიყვანა, რომ თვითონაც დაიჯერეს: ეტყობა, ძაან ჭკვიანნი და სერიოზულნი ვართო!

არადა, მთლად მასეც რომ არაა საქმე?

გადავწყვიტეთ, გთხოვთ გამოგვიყოთ თქვენი გაზეთის ერთი გვერდი (ხანდახან და შეძლებისდაგვარად!), რათა ხელისუფლების მაღალ წრეებს, სრულიად უფასოდ და უანგაროდ მივანოღოთ ჩვენი „ლიტერატურული რჩევები“, ანუ, მოკლედ რომ ავიხსნათ, თავს „პრემიერ-მინისტრის „ლიტ. კონსულტანტებად“ ვინიშნავთ!

ჩვენო თამაზ! ჯერჯერობით ეს უხელფასო და დაუფასებელი თანამდებობაა, მაგრამ თუ გაგვიმართლა?

პირველი: იმდენი ჰონორარი გვექნება, რომ შენი გაზეთის მთლიანად დაფინანსებას შევძლებთ!

თუ არადა: შენ შეძლებ ჩვენს დაფინანსებას გლდანის ციხეში (ორთავენი ნითელ „ასტრას“ ვენეციოთ)!

ძმაო, თამაზ!

თუ ჩვენ მოკრძალებულ თხოვნას დააკმაყოფილებ, იმ მატარებელიდან, გრიშა ბიძიას დეპოში რომ მიაცილებს, თეთრი ხელთათმანი გადმოვიგდევ და ჩვენც თანხმობის ნიშნად მივიღებთ!

### კანონი მეორე

რატომ კოცნიან ერთმანეთს რესპუბლიკელები და... ნაციონალები და ახალი კანონი რატომ უკრძალავთ ამას

### ბატონო ბიძინა!

ასეთი „ჭკვიანური“ პარლამენტის შექმნა თქვენ თვითონ მოიფიქრეთ თუ „დასავლეთიდან“ დაგეხმარათ ვინმე?

თორემ კოცნის „აკრძალვამ“ ამაღენ დროს რომ დახარჯავენ, ცოტათი ეჭვი კი უნდა შეგებაროს მათ გონებრივ „გაბარიტებას“ და... მამაკაც-ქალობაში!

ერთ-ერთ საბჭოურ გაზეთში („კომსომოლსკაია პრავდა“) კაი ხნის წინათ გამოქვეყნებული სტატია გაგვახსენდა: ვინმე ტანია (კომკავშირელი!) ტირილით ჰკითხავდა რედაქციას: ვანიამ (კომკავშირელი!) მაკოცა და ანი როგორ მოვიქცეთო?

და იცით, რა უპასუხა რედაქციამ? იკოცნავეთ, თქვენი დედაც და მამაცო!

ზუსტად ასე დაბეჭდეს! ჰოდა, პარლამენტი ამ კანონს რომ მიიღებს, მერე ნახეთ, რა ამბავი ატყდება!

მარტო სააკაშვილი ეყოფა ყველას! ვეტოც გამზადებულად ჩათვალეთ!

ეგენი ასწავლიან სააკაშვილს კოცნა-ხვეწას და... სხვა რამეებსაც?

თუ ჩვენი არ გჯერათ, ახლანდელი მონვევის (და ძველისაც!) საკმაოდ მრავალ დეპუტატ-ქალბატონს შეეკითხეთ!



ჰკითხეთ ყოფილ მინისტრ ქალბატონებსაც!

ჰკითხეთ უცხოელ მემასაყუებს!.. შინაურებს!..

გარეულებს!..

შავგვრემანებს, ყვითლებს... ცისფრებსაც!..

ფერიანს და უფეროს!..

ესაა თქვენი კოჰაბიტაცია?

ვთქვათ და, ჩვენს „ემოციურ პრეზიდენტს“ (ანუ, ჭკუა დაუშლის თუ თანამდებობა), ვინმე „შემოერიორა“ (ახალი სიტყვაა და ნიშნავს: შემოერიოტა, შემოებარტყა – არამკითხები.), ადგებით და დაიწყებთ ახლა: ამა და ამ დადგენილებით, ამა და ამ მუხლით, მიშა, ჯარიმა გადაიხადეთ?

ისე თქვენ არ აგიდგეთ გვერდები! ასე რომ გავყვეთ, ცხრა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ტოლა თანხის დაბრუნება მოუწევს პრეზიდენტს უკან!

კოცნასაც გააჩნია, რომელია: ქართული, სომხური, აზერბაიჯანული... ფრანგული!

ვის კოცნი, იმაზეც ხომ უნდა დაფიქრდე?

სხვათა შორის, თარგამაძეს (გივის!) და ბოკერიას (გიგას!) მტერმა აკოცა!

არადა, როცა ასეთი „სერიოზული“ საკითხი განსახილველად გამოგვაქვს, მინიმუმ... რეფერენდუმით მაინც უნდა „შემოვიფარგლოთ“!

აბა, რაში აძლევთ ამ ბედოვლათებს ხელფასს, ბატონო ბიძინა!

ვინ ვის კოცნის, ისიც ხომ გასარკვევია?

ვთქვათ და, პარლამენტის ფოიეში, სადმე მოყურებულ ადგილას ვინმე რესპუბლიკელმა დეპუტატმა ნაციონალი დეპუტატი გადაპროშნა!

როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ?

პირველად ჩაუდენიათ ეს თუ რა, ისე კოცნიან ჩუმ-ჩუმად ერთმანეთს, შენი მოწონებულნი!

ეს ჩვენს დანახვაზეა, ცოტათი ცხვირს რომ იბზუებენ, თორემ, ბაგებზე ერთნაირი (სოროსის ფირმის) პომადა რომ აცხიან, ის რაღაა?

იმიტომ, რომ ერთი ჯიშისა და ჯილაგისა არიან!

ერთი ფერის და ხორცის! ერთი „დედის და მამის“ შობილნი!

კაი, დავანებოთ თავი მათ: ისე უქნიათ, რომ კუჭის წვენიც ამოულიათ ერთმანეთისთვის!

ჩვენ, მწერლებს, რაღას გვერჩოდნენ: რუსთაველიდან დაწყებული ტარიელ ქანტუიამდე დამთავრებული, იმდენი ნაღდი კოცნა გაბნეული ქართულ ლექსებში, რომ ამოვიღოთ, მარტო უფულო „მტლამ-მტლუმი“ დაგვრჩება!

### ბატონო ბიძინა!

ახალი ამბავი რომ არ „გაგიმხილოთ“, გული გაგვიკდება: თუკი პარლამენტი ამ კანონს დაამტკიცებს, ცოტათი „გადახრილ-გადმოხრილი“, საეჭვოდ „მოცელქო“ ლესბოსელ-ჰომოსექსუალები პირდაპირ ქუთაისში აპირებენ აქციის ჩატარებას!

ლოზუნგებიც მზად ჰქონიათ და წარწერებიც ცისფრად მოუგვირისტებიათ:

- „თავისუფლება“ მიშას!
- გაუმარჯოს კოცნას!
- სირცხვილი კოცნისმოძულე პარლამენტს!!!

ახიც იქნება ჩვენზე!

### კანონი პირველი

რა სარგებლობა მოაქვს... პრეზერვატივს (თვრამეტ წლამდე მწერლებს ნაკითხვას არ ვურჩევთ)

თქვე დალოცვილო დეპუტატებო, ერთი უბრალო ჭეშმარიტება როგორ გამოგორჩათ: ჯერ „კოცნა“ და მერე... „პრეზერვატივი“!

ანუ ჯერ „კოცნაზე“ უნდა მიგელოთ კანონი და შემდეგ „პრეზერვატივზე“.

ამიტომაც გამოგვივიდა ასე... შებრუნებული წერილი!..

ხომ იფიქრებს მკითხველი, ამ მართლაც „არამკითხვებს“ კიდევ რაღაცა ეშლებათო, მაგრამ მთლად ასეც არაა: ჩვენც გვიანახავს რაღაცა ცხოვრებაში!

რაც შეეხება, მართლაც, საპოლემიკო თემას, – ბუსუსებიანი პრეზერვატივია უკეთესი თუ უბუსუსებო, ქართველი მწერლები (თვრამეტი წლის ზემოთ!) ერთ დასკვნამდე

უყოყმანოდ მივედით: არაფერი სჯობს კაი გაფითქინებულ ქალთან „გაკრახმალეზულ“ ლოგინში ყოველგვარი პრეზერვატივის გარეშე კოტრი-ალს!

არ გვითხრათ ახლა, ასე რომ არაა!

თქვენ ხომ ხალხისგან „ა-რჩეული“ პიროვნებები ბრძანდებით და ხალხზე ზრუნვით გისკდებათ თავი!

ახლა ისევე პრეზიდენტს მივუბრუნდეთ!

ძალიან გვიკვირს მისგან, რატომ არ დაადო ვეტო ამ „ბრძნულ“ კანონს!

მაგას რა ენაღვლება!.. არ იხმარს იმ „ბუსუსებიანი თუ უბუსუსებო“ პრეზერვატივებს, გოჭებვით მოგვიმრავლებს პატარა „მიშიკობებს“ და ვიმტვრიოთ მერე თავი!..

მათემატიკა რომ რთული მეცნიერებაა, ამაზე არავინ კამათობს და უბრალო ფორმულითაც მტკიცდება:

$X + \text{კოცნა} = \text{პრეზერვატივის ეს } X \text{ რაღაა?}$

რაღა კი არა... ვინღა!

ამაშია მთელი საიდუმლო!

ეს „X“ მამაკაცია, თანაც

დეპუტატი... მმართველი პარტიიდან!

ვთქვათ და... მოუნდა ვინმეს (მმართველი პარტიიდან) „ნაციონალ დეპუტატ ქალბატონთან“ ინტიმური ურთიერთობა!

აქედან გამომდინარე, ფორმულიდან ამოვარდება სიტყვა – „პრეზერვატივი“!

ხომ ხედავთ, შედეგი მთლად მისაღები არაა!

ათასი ინტრიგანია ქვეყნად და ვინმემ იგივე „ფორმულა“:

$X + Y = ?$

რომ შეაბრუნოს და ასე დაწეროს: ნაციონალს + რესპუბლიკელი = ? მერე რაღას შვრებით?

ათასი ავისმოსურნეა მანდ, თქვენთან, პარლამენტშიც!

ძვირფასო დეპუტატებო!

ძალიან რომ არ „გადაგლალოთ“, რამდენიმე არასაკანონპროექტო რჩევასაც მოგცემთ:

- ნუ წამოდგებით ლოგინიდან მარცხენა ფეხით, თორემ მერე პარლამენტში მთელი დღე, ჭაჭანაჭამი ინდაურივით იზოდიალებთ და, რა კანონს მიიღებთ, ღმერთმა უწყის!

– გიყვარდეთ მოყვასი თქვენი (ეს ძირითადად ნაციონალებს და რესპუბლიკელებს შეეხება!)

– გამოინერეთ, რაც შეგიძლიათ მეტი პრემია, თქვენ ხომ ასე „იხარჯებით“ ხალხზე ფიქრითა და ზრუნვით!

ველით თქვენგან ახალ, ამგვარად „დიდებულ“ კანონებს!

### P.S.

ბატონო ბიძინა! გულახდილად გვითხარით, ხომ ნამდვილად ვიმსახურებთ უფასო „ლიტ. კონსულტანტების“ თანამდებობას?

ჩვენ კიდევ ბევრი სიურპრიზი გვაქვს თქვენთვის და ნუ გაგვიბრაზდებით!

და... ბატონო თამაზ! ვფიქრობთ, „ნითელი ასტრის“ რამდენიმე კოლოფის შექმნა ჩვენთვის, მაინც მოგიწევს!

არამკითხენი


ფიქრები ანდრეი ბელის რომანის „პეტერბურგის“ გამო

1. პეტერბურგი უკვე აღარ არსებობს, ამ ქალაქის ცხოვრება ბიუროკრატიული იყო, ბიუროკრატიული იყო მისი დასასრულიც. გაჩნდა ჩვენთვის გამოუცნობი, ჩვენი ყურისთვის უცხოოდ მოსასმენი პეტროგრადი. გაქრა არა მხოლოდ ძველი სიტყვა და მის ადგილას იშვა არა მხოლოდ ახალი, არამედ დასრულდა მთელი ისტორიული პერიოდი და შევდივართ ახალ, ჩვენთვის გამოუცნობ ხანაში. იყო რაღაც უცნაური, რაღაც შემადრწუნებელი პეტერბურგის წარმოშობაში, მის ბედში, მის დამოკიდებულებაში მთელ ამ უზარმაზარ რუსეთთან, ხალხის ცხოვრებისგან მის მოწყვეტაში, მის გაუცხოებაში, მის როგორღაც ერთბაშად მბრძანებლურ დამპყრობლობასა და მოჩვენებითობაში. პეტრეს მაგიური ნებელობით პეტერბურგი არაფრისგან, ქაობების ნისლიდან იშვა. პუშკინმა თავისი „სპილენძის მხედრობა“ საშუალება მოგვცა, პეტერბურგის ცხოვრება გვეგრძნო. სლავიანოვილ-მენიადაგე დოსტოვესკიც უცნაურად არის პეტერბურგთან დაკავშირებული, - უფრო მეტად, ვიდრე მოსკოვთან; მასში იგი რუსეთის შემოღობილი სტიქიას ხედავს, მისი გმირების უმეტესწილად პეტერბურგელები არიან, პეტერბურგის ჯანდლა და თოვლ-ჭყაპთან დაკავშირებულნი. მის ნაწერებში იპოვი გასაოცარ ფურცლებს პეტერბურგის შესახებ, მისი მოჩვენებითობის შესახებ. რასკოლნიკოვი სადავოსა და სენნი-რინოკის ახლომხლო დაეხებება და ჩადენილ დანაშაულზე ფიქრობს. როგორღინი დანაშაულს გოროხოვოზე სწადის. მენიადაგე დოსტოვესკის უყვარს უნიადაგო გმირები, რომელთაც შეიძლება მხოლოდ პეტერბურგის ატმოსფეროში ეარსებათ. ეს ქალაქი, განსხვავებით მოსკოვისგან, კატასტროფული ქალაქია. ასეა გოგოლის პეტერბურგულ მოთხრობებშიც - იქ იგი პეტერბურგულ საშინელებებზე გვიყვება. მოსკოველ სლავიანოვილებს პეტერბურგი საზღვარგარეთულ ქალაქად მიაჩნიათ და ეზინიათ მისი, რისთვისაც აქვთ კიდევაც საფუძველი, ვინაიდან პეტერბურგი მოსკოვურ-სლავიანოვილური დიდსულოვნებისთვის მუდმივი მუქარა, საშინელება იყო, თუმცა ის, რომ სლავიანოვილებს პეტერბურგი სრულიად არარუსულ ქალაქად ეჩვენებოდა, მათი პროვინციული ცდომილება, მათი გამიჯნულობაა. თუმცა მერე და მერე დოსტოვესკიმ თავიდან აიცილა ეს დაბნეულობა.

პეტერბურგის ეფემერულობა წმინდა რუსული ეფემერულობაა, რუსული წარმოსახვითი შემქნელი მოჩვენება. პეტრე დიდი თავით ფეხამდე რუსი კაცი იყო, ხოლო პეტერბურგის ბიუროკრატია პეტერბურგის ბიუროკრატიათა გერმანულის მიმყნობამ შექმნა. ეს ისევე ზუსტია, როგორც ის, რომ რუსული არისტოკრატის თავისებური ფრანგული ასევე რუსული ნაციონალური სტილია, ისეთივე რუსული, როგორც რუსული ამპირი. პეტერბურგული რუსეთი ჩვენი სხვა ნაციონალური სახეა, მოსკოვური რუსეთის რაობის, მისი ხასიათის გვერდით.

პეტერბურგზე რომანის დანერგა მხოლოდ იმ მწერალს შეეძლო, ვისაც კოსმიური ცხოვრების განსაკუთრებული შეგრძნება ჰქონდა, შეგრძნება ეფემერული ყოფისა. დიახ, ჩვენ გვყავს ასეთი მწერალი! ეს ის არის, ვინც რომანი „პეტერბურგი“ დანერგა, დანერგა ზუსტად პეტერბურგისა და რუსეთის ისტორიის პეტერბურგული პერიოდის დასასრულის წინ. რომანი ჩვენი ესოდენ უცნაური დედაქალაქისა და მისი უცნაური ისტორიის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს. „პეტერბურგში“, დოეტოვესკისა და ტოლსტოის დროს შეიძლება ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ რუსულ რომანში, მართალია, არ არის ამ ქალაქის ცხოვრება მთელი სივასით წარმოდგენილი, მთელმა პეტერბურგმა ვერ იპოვა იქ ადგილი, ვინაიდან ავტორისთვის ეს ყველაფერი არც ისე ადვილად ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ ამ საოცარ რომანში სრულად არის შეც-

# სტალინი თბილისი



**ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ნიკოლაი ბერდიაევი (1874-1948) მიმოიხილავს რუსი სიმბოლისტების ნიჭიერი წარმომადგენლის, ანდრეი ბელის (1880-1934) ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო რომანს „პეტერბურგი“. მწერალი გვიხატავს ერთგვარ ანალიტიკურ სურათს. ეს არის ვარდამავალი პერიოდი, როცა ხელოვნება გარკვეულ კრიზისში შედის, გაუფერულებას იწყებს კლასიკურად მშვენიერი ხელოვნების იდეალი, ხელოვნება აღარ ქმნის სილამაზეს, ჩნდება რღვევის ტკივილიანი განცდა, ახალი გზების ძიების სურვილი. ბელის, როგორც ამ ახალი ეპოქის წარმომადგენლის, შემოქმედება არ არის სიმშვიდის, სიხარულის მომგვრელი, ადამიანი აქ გაორებულია, აღარ აღიქმება, როგორც ერთი მთლიანი: იგი კოსმიური მგრძობელობით არის შეპყრობილი, სადაც იყურება, ხან სულიერად ეცემა, ხან სადაც ეძებს, ელოდება, მაგრამ კათარზისამდე ვერასოდეს მიდის.**

ნობილი და წარმოსახული რაღაც ძალიან დამახასიათებელი პეტერბურგისთვის. ეს არის გოგოლისეული ტიპის მხატვრული შემოქმედება, ამიტომაც ადვილი შესაძლებელია, გაგვიჩნდეს ავტორის დადანიშნულების სურვილი რუსეთის მიმართ ცილისწამების, მისი უკეთურობისა და სიმახინჯის განსაკუთრებული აღქმის გამო, ვინაიდან მასში ძნელია, იპოვო ადამიანი, ვინც ღმერთის ხატად იქნებოდა შექმნილი. და მაინც, ანდრეი ბელი ამ ბოლო ლიტერატურული ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მწერალია, ორიგინალური მხატვრული პროზის სრულიად ახალი ფორმის, ახალი რიტმის შემქმნელი. ჩვენდა სამარცხვინოდ, ის ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაფასებული, თუმცა ეჭვი არ მეპარება, რომ გავა დრო და მისი გენიალობა აღიარებული იქნება, როგორც მწერლისა, ვისაც, შეიძლება, სრულყოფილი ქმნილება არ გამოუვიდა, მაგრამ ახლებურად შეიგრძნო რაღაც სოცრად განმაცვიფრებელი და იგი ახალი, აქამდე არარსებული მუსიკალური ფორმით ასახა. დადგება დრო, როცა მას დიდ რუს მწერლებს დაუყენებენ გვერდით, როგორც გოგოლისა და დოსტოვესკის ჭეშმარიტ გამგრძელბელს. ეს ადვილი მან უკვე შემოიფარგლა თავისი რომანით - „ვერცხლის მტრედი“. მხოლოდ ბელისთვის არის დამახასიათებელი ის შინაგანი რიტმი, რომელიც მის მიერ აღქმულ ახალ კოსმიურ რიტმთან არის სრულ შესაბამისობაში. მისმა მხატვრულმა ზემოთაგონებამ გამოხატულება მის სიმფონიებში, მის იმ ფორმებში პოეზია, რომელიც ლიტერატურაში აქამდე არასოდეს შეგვხვდებოდა. ბელი, როგორც მოვლენა, ხელოვნებაში შეიძლება სკრიპინის გვერდით დავაყენოთ. შემთხვევითი არ არის, რომ როგორც ერთთან, ისე მეორესთან შეიმჩნევა მიდრეკილება თეოსოფიისა და ოკულტიზმისკენ, რაც ახალი კოსმიური ეპოქის შეგრძნებასთან არის დაკავშირებული.

2. მხოლოდ ბელისთვის არის დამახასიათებელი სამყაროსეული ყოველგვარი საგნის განფრქვევის, დეკონსტრუქციის, საგნებს შორის დადგენილი საზღვრების რღვევისა და გაქრობის მხატვრული შეგრძნება. მასთან თვით ადამიანთა სახეებიც დეკონსტრუქციანია, იკარგე-

ბა გარემომცველ სამყაროში არსებული საგნების განმაცალკეველები ხაზები, ინგრევა ჩვენი სხეულებრივი სამყაროს სიმყარე, მისი შემოსაზღვრულობა, მისი კონსტრუქციულობა. ერთი ადამიანი გადადის მეორე ადამიანში, ერთი საგანი - მეორე საგანში, ფიზიკური სიბრტყე - ასტრალურ სიბრტყეში, გონებრივი პროცესი - ყოფიერების პროცესში. ხდება გადაადგილება და ეს გადაადგილება სხვადასხვა სიბრტყეების გადაადგილებაა. რომანის გმირი - ნიკოლაი აპოლონოვიჩი არის ქედმაღალი ბიუროკრატის, კოგენიანელისა და რევოლუციონერის ვაჟი-ვილი, ვინც საკუთარ სამუშაო ოთახს გასაღებით კეტავს, როცა ეჩვენება, რომ ისიც, ოთახიც, იმ ოთახის ფარგლებიც და სამყაროსეული რეალური საგნებიც ერთ ნუთში გონებისთვის მისაწვდომ სიმბოლოებად გარდაქმნება, წმინდა ლოგიკურ აზრთანყოფად... ოთახის სივრცეც და თავად მისი მგრძობელობა-დაკარგული სხეულიც ყოფიერების იმ საერთო ქაოსში ირევა, რასაც ის სამყაროს უწოდებს. ნიკოლაი აპოლონოვიჩის სხეულიდან გამოცალკეებული ცნობიერება ელექტრონათურით იმ სანერ მანერდას უერთდება, რასაც „ცნობიერების მზე“ ეწოდება. იკეტება რა თავის სამუშაო ოთახში, ნაბიჯ-ნაბიჯ აწონ-დაწონის რა სისტემის ერთბაშად აყვანილ თავის მდგომარეობას, „სამყაროში“, ანუ ოთახში განფენილ თავის სხეულს გრძობს. სხეულს, რომლის თავი ლამაზი აბაჟურის ქვეშ ელექტრონათურის მინაში ინთხევა. აქ აღწერილია ნიკოლაი აპოლონოვიჩის მედიტაცია, რომლის მეშვეობითაც ხდება მისი საკუთარი ყოფიერების გახლეჩა. ამის უკან ანდრეი ბელის მხატვრული ხედვა იმალება და ამ ხედვაში როგორც მისი საკუთარი, ისე მთელი სამყაროსეული რაობის გახლეჩა ხდება. ირღვევა საზღვრები, რომელიც ეფემერული ყოფითისგან გამოაცალკეებს. რომანში ყველაფერი ბიუროკრატია მამის, სენატორის, დანესებულების ხელმძღვანელის, საიდუმლო მრჩევლის - აპოლონი აპოლონოვიჩი აბლუხოვის და მისგან ძლივს გამოცალკეებული რევოლუციონერი შვილის, პირუჟი ბიუროკრატის - ნიკოლაი აპოლონოვიჩის გონებრივი თამაშია. მწერალი განსაზღვრა, სად თავდება მამა და სად იწყება შვილი. ეს მტრები, ბიუროკრატისა და რევოლუციის ურთიერთდა-

## ნიკოლაი ბერდიაევი

პირისპირების საწყისის წარმომადგენლები, როგორღაც არაკონსტრუქციულ, უფორმო მთელში ირევიან. საზღვრების რღვევისა და ურთიერთშეშრების მსგავსებაში სიმბოლიზდება ისიც, რომ ჩვენი რევოლუცია - ბიუროკრატის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია, და ისიც, რომ მასში ხრწნისა და სიკვდილის თესლია ჩადებული.

ყველაფერი ყველაფერში გადადის, ყველაფერი ერთმანეთში ირევა და იშლება. იცვლება მატერიის განმამტკიცებელი საზღვრები. ბელისთვის, როგორც მწერლისა და მხატვრისთვის, დამახასიათებელია ის, რომ მასთან ყოველთვის იწყება სიტყვებისა და სიტყვათშეწყობის ტრიალი და სიტყვათშეწყობის ამ გრივალში ხდება ყოფიერების განფრქვევა, გადანაცვლება საზღვრებისა. ბელის გამოხატულებითი ხერხები, მისი სტილი, როგორც წესი, ბოლოს ყოველთვის გამაგებულ წრიულ მოძრაობაში გადადის. მის ხელწერაში არის რაღაც შოლტისებური სტიქია. ეს გრივალისებური მოძრაობა ა. ბელიმ კოსმიურ ცხოვრებაში შეიგრძნო და საამისოდ ადეკვატური გამოთქმა სიტყვათშეწყობის ქარიშხალში პოვა. ანდრეი ბელის ენა არ არის კოსმიური ცხოვრების მისეულ შეგრძნებათა წარმოსახვის სხვა, უცხო ენაზე თარგმანი, როგორც ამას ჩურლიანისის მხატვრულად უსუსურ მხატვრობაში ვხედავთ, არამედ ეს არის სიტყვებით კოსმიური გრივალის პირდაპირი ასახვა. მწერალს შეიძლება მხოლოდ თავშეუკავებელი სტილის გამო ვუსაყვედუროთ, ვინაიდან ამ მხრივ ის ხშირად გადადის საზღვარს. ბელის, როგორც მხატვრის, გენიალობა კოსმიური განფრქვევისა და კოსმიური გრივალის თანხედრობაშია, სიტყვების განფრქვევის, სიტყვათშეწყობის გრივალის თანხედრობაში. სიტყვათშეწყობისა და თანხმეორების გრივალისმიერ ნუფრებში ცხოვრებისეული და კოსმოსისეული დაძაბულობის ის კვანძები ჩნდება, რომელსაც კატასტროფისკენ მივყავართ. ანდრეი ბელი ალღობს და განაფრქვევს სიტყვის კონსტრუქციას, სიტყვის მყარ ფორმას, რომელიც მარადიული გეგმება, და ამით გამოხატავს ყოველი საგნის, „საგნობრივი სამყაროს“ კონსტრუქციის ლღობას და განფრქვევას. კოსმიური გრივალეები თითქოს გათავისუფლდა და ანგრევეს, განაფრქვევს მთელ ჩვენ დამჯდარ, კონსტრუქციულ სამყაროს. „სამყაროს ქსოვილი იქ ფურინულ ქსოვილად არის წარმოდგენილი“, - ამ სიტყვებით ა. ბელი კარგად ახასიათებს იმ ატმოსფეროს, სადაც რომანის მიხედვით მოქმედება ხდება. აი, როგორ წარმოუდგენია მას ქალაქი პეტერბურგი: „პეტერბურგო, პეტერბურგო, ნისლით გარემოცული, მანვალემ, მოსვენებას არ მძღღე ფუჭი გონებითი თამაშით, შენ, გულქვევ და დაუნდობლო, შენ, მშფოთვარე მოჩვენება, შენ, ვინც დიდ ხანს, მთელი წლობით მესხმობდი თავს და მეც გავრბოდი და გავრბოდი შენს საშინელ პროსპექტებზე, გაქანებული ავფრინდებოდი იმ თუჯის ხიდზე, რომელიც დედამინის დასალიერში იწყება, რათა უკიდევანო შორეთში წავეყვანე. ნოვოის იქით, დემიმინდენში, იქ, სადაც ოდნავ განათებული მწვანე შორეთია, ისევ ალორძინდა კუნძულთა და მენობათა აჩრდილები, იმ ფუჭი იმედით ცდუნებულნი, რომ ეს მხარე წამდელია და რომ ეს ის არამოზუზუნე უკიდევანობაა, რომელიც პეტერბურგის ქუჩაში ღრუბლების უფერულ კვამლს გადმოაფრქვევს“.

3. ლიტერატურაში ანდრეი ბელის შეიძლება კუბისტი ვუნდოთ, ხოლო მხატვრობაში ფორმალურად შეიძლება პიკასოს დაუყენოთ გვერდით. კუბისტი მეთოდი გულისხმობს საგნების ანალიტიკურ და არა სინთეტიკურ, ანუ მთლიანობაში აღქმას. ფერწერაში კუბიზმი ეძიებს საგნების გეომეტრიულ ჩონჩხს, იგი სხეულს ცრუ საფარს ხდის და ესწრაფვის, ჩასწვ-

►► გაგრძელება 20-21 გვ.

დეს კოსმოსის შინაგან ნაწილს. პიკასოს კუბისტურ ფერწერაში კვდება ხორცშესხმული სამყაროს სილამაზე, ყველაფერი იხრნება, ყველაფერი შრება და იშლება. ლიტერატურაში კუბიზმი თავისი ზუსტი მნიშვნელობით არ არსებობს, მაგრამ იქ შეიძლება კუბისტური ფერწერის რაღაც ანალოგიური, რაღაც პარალელური მოიძებნოს. ბელის შემოქმედება – ეს ის კუბიზმი მხატვრულ პროზაში, რაც ასე თუ ისე შეიძლება პიკასოს ფერწერულ კუბიზმს მივუსადაგოთ. ანდრე ბელისთან სამყაროს სხეულს მთლიანი საფარი ეხდება, ორგანული სახეობები მისთვის უკვე მთლიანი აღარ არის, იგი ლიტერატურაში ორგანული მატერიის ფენებზე დაშლის კუბისტურ მეთოდს იყენებს, თუმცა შეუძლებელია აქ კუბისტური ფერწერის გავლენის შესახებ ვილაპარაკოთ, ვინაიდან დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ბელი მას თითქმის არ იცნობდა. მისთვის კუბიზმი არის მისი საკუთარი, თავისებური აღქმა სამყაროს, რაც ასე დამახასიათებელია რუსული გარდამავალი ეპოქისთვის. ანდრე ბელი, გარკვეული აზრით, ერთადერთი ჭეშმარიტი, ყურადსაღები ფუტურისტია რუსულ ლიტერატურაში. მასში კვდება ძველი კრისტალიზებული სილამაზე სამყაროსი და იბადება ახალი სამყარო, რომელშიც ვერ კიდევ არ არის სილამაზე. ანდრე ბელის მხატვრულ ხელწერაში ყველაფერი ისევე გადაინაცვლებს თავისი ძველი ადგილებიდან, რომელიც მინათილი გვეჩვენება, როგორც ეს ფუტურისტების სააგიტაციო მანიფესტებს, ის სხვა რამეს – სიმბოლისტურ მანიფესტებს წერს და მთელი თავისი არსებითა და თავისი შემოქმედებით ანგრევს ყველა ძველ ფორმას და ახალს ქმნის. ბელის ორიგინალი იმდენად იმპაბო, რომ იგი თავის კუბიზმსა და ფურუტიზმს უერთებს ნამდვილ, უშუალო სიმბოლიზმს მაშინ, როდესაც ფუტურისტები სიმბოლისტებს, როგორც წესი, კატეგორიულად უპირისპირდებიან. მაგალითად, ნათელი დომინო, რომელიც ყველგან გვხვდება კუბისტურ-ფუტურისტულ „პეტერბურგში“, არის შესანიშნავი, შინაგანად დაბადებული სიმბოლო რევოლუციისა, რომელიც მოცემულ ვითარებაში არარსებული, მაგრამ მიახლოებითაა შემოქმედებითი ხერხების მიხედვით ბელის წინამორბედად ევროპულ ლიტერატურაში შეიძლება დაგასახელოთ ჰოფმანი, რომლის გენიალურ ფანტასტიკაში ასევე ინგრევა ყველა საზღვარი, ყველა სიბრტყე, ასევე ირევა ერთმანეთში ყველაფერი, ასევე იყოფა და ასევე გადადის სხვაში. ანდრე ბელი არის აგრეთვე პირდაპირი გამგრძელებელი გოგოლისა და დოსტოვესკის. მსგავსად გოგოლისა, ადამიანის ცხოვრებაში ისიც უფრო მეტ სიმახინჯეს, მეტ სამინელებას ხედავს, ვიდრე სილამაზეს და მყარ, ჭეშმარიტ ყოფიერებას. გოგოლი ბებერ, ორგანულად მთლიან სამყაროს დანაწევრებულად აღიქვამს, მისთვის ადამიანის სახე იშლება, ნანგრევდება, ცხოვრების სიღრმეში იგი იმ მახინჯებს და ურჩხულებს ხედავს, რომლებიც შემდეგში სხვაგვარად ჩნდებიან პიკასოს ნახატებში. გოგოლი სრულიად განწყობილი კავშირი აუშვინის ყოველთვის მშვენიერ, ჰარმონიულ მსოფლმხედველობასთან, მის

მსოფლმხედველობასთან. ასეა ანდრე ბელიც. ბელის არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ის, რომ „პეტერბურგში“ ზოგჯერ მეტისმეტად ბაძავს დოსტოვესკის, მეტისმეტად არის დამოკიდებული მის რომანზე – „ემმაკეზე“. ზოგიერთი სცენა, მაგალითად, სცენები ტრაქტირისა და პოლიციის აგენტის შესახებ პირდაპირ დოსტოვესკისგან არის კოპირებული. ამ ადგილებში ბელი ლაღატობს საკუთარ სტილს, არღვევს თავისი რომან-სიმფონიის რიტმს. მართალია, დოსტოვესკისთან შინაგანად არის დაკავშირებული და ამის გამო არ შეიძლება უსაყვედურო, მაგრამ უთუოდ თავისუფალი უნდა ყოფილიყო თავის მხატვრულ ხერხებში, მტკიცედ დაეცვა საკუთარი სტილი. და მაინც, დიდი განსხვავებაა ბელისა და დოსტოვესკის შორის, ისინი სხვადასხვა ეპოქას ეკუთვნიან. ცხოვრების აღქმა-შეცნობით ბელი უფრო კოსმიურია, ხოლო დოსტოვესკი უფრო ფსიქოლოგ-ანთროპოლოგი. დოსტოვესკისთვის უფსკრული ადამიანის სიღრმეში, მის სულში იხსნება, მაგრამ ადამიანის ხატი გამოყოფილია, ცალკე დგას კოსმიური უფსკრულისგან. იგი ადამიანს აღიქვამს, როგორც ორგანულ მთელს, ადამიანში იგი ყოველთვის ღვთის ხატს ხედავს. ბელი კი ამ ახალი ეპოქის შვილია, როცა ექვემდებარება ადამიანის მთლიანობა, მისი მთლიანობაში აღქმა. ანდრე ბელი ადამიანს კოსმიურ უსასრულობაში ძირავს, კოსმიურ გრიგალებს აძლევს დასაფლვთად. იკარგება ადამიანის ელექტრონათურისგან გამყოფი საზღვარი. იხსნება ასტრალური სამყარო. ფიზიკური სამყაროს მყარი საზღვრები ადამიანის დამოუკიდებლობას საპირისპირო მხრიდან იცავს, იცავს მის საკუთარ მყარ საზღვრებს, მის კრისტალურ მოხაზულობას. ასტრალური სამყაროს, სულისა და მატერიის ამ შუალედური სამყაროს ჭვრეტა კი წმენდს საზღვრებს, ახდენს როგორც ადამიანის, ისე მისი გარემომცველი სამყაროს დეკრისტალიზაციას. ბელი ასტრალური პლანის, ასტრალური მიმართულების მხატვარია, რომელშიც შეუმჩნევლად გადადის ჩვენი სამყარო, კარგავს რა თავის სიმყარესა და გამოკვეთილობას. ყველა ეს გრიგალი ასტრალურის გრიგალებია და არა ფიზიკური სამყაროსი. „პეტერბურგი“ ასტრალური რომანია, რომელშიც ყველაფერი უკვე გადის ამ სამყაროს ფიზიკური სხეულის საზღვრებიდან, ყველაფერი უფსკრულში ინთქმება. სენატორი არა ერთ, არამედ უკვე ორ სივრცეს ხედავს.

4. ანდრე ბელი მხატვრულად ხსნის რუსული ბიუროკრატის განსაკუთრებულ მეტაფიზიკას. ბიუროკრატიაში – ეს ის ეფემერული ყოფაა, ის გონითი თამაშია, რომელშიც ყველაფერი სწორი ხაზებით, კუბებით, კვადრატებით არის შედგენილი. ბიუროკრატიაში რუსეთს ცენტრიდან გეომეტრიული მეთოდით მართავს. ბიუროკრატის მოჩვენებითობა მოჩვენებით რევოლუციას შობს. შემთხვევითი არ არის, რომ ნიკოლაი აპოლონოვიჩი კოგენიანელი ხდება, ანუ თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედვეთი ყოფიერების რეალურობას ვერ შეიგრძნობს და სწორედ ამიტომ იგი სულით ხორციამდე ბიუროკრატისთან არის დაკავშირებული.

იმ ეფემერულობამდე, რომელიც „პეტერბურგის“ ასტრალურ პლანში გადადის, რუსეთის სიღრმეში, ხალხის ცხოვრების ნიალიდან არაფერი აღწევს. რევოლუციური კომიტეტის ცენტრალიზმი ისეთივე ეფემერულია, როგორც ბიუროკრატული დანესებულებების ცენტრალიზმი. ლპობის პროცესი ბიუროკრატიაშიდან რევოლუციონიზმში გადადის, პროვოკაცია საზიზღარ ბულში ხვევს რევოლუციას, ამიშვლებს მის მოჩვენებით-ეფემერულ ხასიათს და ყველაფერი სატანისებურ გრიგალებში ირევა. ანდრე ბელი არ არის რევოლუციური იდეის მტერი. მისი თვალთახედვა სულაც არ არის ის, რაც დოსტოვესკის „ემმაკეზა“. მისთვის ბოროტება, რომელიც რევოლუციას სდევს, ძველი რუსეთის ბოროტებიდან მოდის. არსებითად, მისი სურვილია, მხატვრულად ამხილოს პეტერბურგის პერიოდის რუსული ისტორიის მოჩვენებითი ხასიათი, ჩვენი ბიუროკრატიაში დასავლურობა, დასავლურობა ჩვენი ინტელიგენციისა ისევე, როგორც „ვერცხლის მტრედში“ ამხილა აღმოსავლური სტიქიის სიბნელე რუსი ხალხის ცხოვრებაში. ანდრე ბელი, მსგავსად გოგოლისა, მონოდებულ არ არის, გამოაშკარავს და ასახვს დადებითი, ნათელი და მშვენიერი. იგი ერთ-ერთ თავის ლექსში თავის რუსეთს, რომელიც მას ასეთი უცნაური სიყვარულით უყვარს, მოუწოდებს, განიხნეს სივრცეში. რუსეთზე დაწერილი მისი რომანებიდან გრჩება კიდევ შთაბეჭდილება, რომ რუსეთი განიხნევა სივრცეში, რომ იგი ასტრალურ მტრედში იქცევა. მას უყვარს რუსეთი გამანადგურებელი სიყვარულით, უყვარს და სჯერა, რომ ის მხოლოდ სიკვდილის შემდეგ აღორძინდება... დიახ, ახასიათებს ასეთი სიყვარული რუსულ ბუნებას. მთელი ბიუროკრატული, რევოლუციური და კანტიანური-გნოსოლოგიური მოჩვენებითობა თავს ნიკოლაი აპოლონოვიჩი იყრის. გარდა ამისა, ავტორი მასში კიდევ ერთ სამინელებას ნარმოაჩენს. ანდრე ბელის შიში მონოლოური საფრთხის წინაშე მასში მემკვიდრეობით მოდის ვლადიმერ სოლოვიოვისგან. იგი მონოლოური სტიქიის თავად რუსეთის შიგნით, რუს ადამიანში შეიგრძნობს. ნიკოლაი აპოლონოვიჩი, ისე, როგორც მისი ბიუროკრატია სენატორი მამა – მონოლოია, თურანელია, რუსეთს მონოლოური სანყისი მართავს, ის კი არა, თვით რუსეთის დასავლეთშიც აშკარად მონოლოური აღმოსავლეთი იკითხება. კანტიანელობაშიც კი მას თურანულ-მონოლოური სანყისი ელანდება. ბელი პეტერბურგის დასასრულს, მის საბოლოო განზნებვას ნარმოსახავს. სპოლენძის მხედარმა გასრისა ადამიანი პეტერბურგში. სპოლენძის მხედრის ხატი ბატონობს „პეტერბურგის“ ატმოსფეროზე და ყველგან თავის ასტრალურ ორეულს აგზავნის.

5. ბელიში არ არის რუსული იდეოლოგია და არც სჭირდება მისი მოძიება. მასში უფრო დიდი, უფრო მეტი რამ არის, ვიდრე რუსული იდეოლოგიური ცხოვრებაა, მასში რუსული ბუნება, რუსული სტიქიაა, იგი მთელი არსებით რუსია. მის სულში რუსული ქაოსი ტრიალებს, მისი მონყვეტა რუსეთისგან, ისევე, როგორც გო-

გოლისა, მოჩვენებითია. ბელის კიდევაც უყვარს რუსეთი და კიდევაც უარყოფს მას. ჩაადევსაც ხომ უყვარდა რუსეთი! სულ ცოტა ხნის წინათ ბელიმ გამოაქვეყნა ლექსი, სადაც ასეთი სტრიქონებია: ჩემო ქვეყანავ, მშობლიური ქვეყანავ ჩემო, შენი ვარ! მე შენი ვარ!.. მკერდში ჩამიკარ მოქეთიხე და არასმცოდნე, გადამაფარე დაცვარული შენი ბალახი... ეს ლექსი იმის აღიარებით მთავრდება, რომ მას სწამს, რუსული ღმერთი „ის“ არის, რომ რუსეთის საშინელი წყევლია და ქაოსის იქით ქრისტეა. მან იცის, შინაგანად გრძნობს, როგორი საშინელი, როგორი შემადრწუნებელი და სახიფათოა რუსული ქაოსი, მაგრამ ძალა არ შესწევს, ვერ გრძნობს ძალას თავის თავში, რუსული ნება, რუსული ცნობიერება გააღვიძოს. ნებულობისა და ცნობიერების დისციპლინებს იგი სულ დასავლეთში ეძებს, თუმცა შეიძლება ეჭვიც შეგეპაროს – იპოვის კი იქ იმას?.. ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს ბელი დაუბრუნდება რუსეთს და სინათლეს მის სიღრმეში დაუწყებს ძებნას. „პეტერბურგს“ მხატვრულობის მხრივ ერთი დიდი ნაკლი აქვს; მასში ესთეტიკურად მრავალი რამ მიუღებელია – სტილი ზომიერებას არის მოკლებული, დასასრული მოულოდნელი, შინაგანად ნაკლებ საჭირო და შემთხვევითია. ადგილ-ადგილ იგრძნობა, რომ მეტისმეტად არის დოსტოვესკიზე დამოკიდებული. მის მხატვრულ შემოქმედებაში არ არის კათარზისი, არის ყოველთვის რაღაც მეტისმეტად გამანავლებელი, ვინაიდან, როგორც მხატვარი, არც თვითონ მალდება იმ სტიქიაზე, რომელსაც წარმოსახავს, ვინაიდან იგი თავად კოსმიურ გრიგალსა და განფრქვევაშია ჩანთქმული, ვინაიდან იგი თავდაც კომმარშია. მის რომანში არ არის არა მხოლოდ იდეოლოგიური, ცაცნობიერებული გამოსავალი, არ არის არც კათარზისული გამოსავალი. ის კი არ გათავისუფლებს, არამედ უმძიმეს კომმარში გტოვებს. იგი მშვენიერი, სრულყოფილი ხელოვნების საზღვრებიდან გადის. მისი ხელოვნება მისი ყოფაა, მისი ქაოსია, მისი გრიგალისებური მოძრაობაა, მისი კოსმიური შეგრძნებაა და მასში სწორედ ეს არის ახალი და უჩვეულო. ეს უნდა მიიღო და დაშვებოდა არ უნდა ეძებო. მის შემოქმედებას არ შეიძლება ძველი კრიტიკული ხერხებით მიუდგე, ვინაიდან იგი გარდამავალი კოსმიური მხატვარია, ვინაიდან ლიტერატურას ძველი რუსული ლიტერატურის თემებს ახლებურად უბრუნებს, მისი შემოქმედება რუსეთის ბედთან, რუსეთის სულთან არის დაკავშირებული. ბელი პირველი იყო, ვინც ჭეშმარიტად ასტრალური რომანი დაწერა, რომანი, რომელიც ასე არ ჰგავს ძველი მხატვრული ხერხებით დაწერილ სუსტსა და არამხატვრულ ოკულტურ რომანებს. ანდრე ბელი თეურგა არ არის, მაგრამ თეურგული ხელოვნება მისი ტიპის შემოქმედებაში, შეიძლება, ასტრალური დაშლის, დანაწილების გზაზე დგას.

თარგმნა ლილი მჭედლიშვილი

**მ კ ი თ ხ ვ ე ლ თ ა   ს ა ყ უ რ ა დ ე ბ ო დ !**

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქარესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესქსარესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“  
კოდი: MIBGGE22  
ანგ. № GE61PC0183600100029708

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.**

**რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**ქ ვ ი რ ფ ა ს ო ა ვ ტ ო რ ე ბ ო !**

**რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!**

დაბეჭდილია შპს "ასავალ დასავალის სტამბაში"  
მისამართი: თბილისი, აგლამის ქ. 39  
ტელ: 2343330; ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი  
**თამაზ ნიჟნიაძე**

გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

**E-mail: litsaqaartvelo@yahoo.com**  
**ტელ.: 293 69 77**

**გამოდის პარასკეობით**